# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 1 თებერვალი | № 5 (2784) გამოცემის მე-60 წელი, 1991 | ფასი 40 კაპ.


## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია



29 იანვარს მუშაობა განაახლა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ. სხდომა გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონები:

გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების შესახებ (არჩევნები დანიშნულია 1991 წლის 31 მარტისათვის);

რეფერენდუმის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) საჭირო ცვლილებების შეტანის შესახებ.

სესიაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, რომელმაც დეპუტატებს გააცნო საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა.

დეპუტატებმა განიხილეს სხვადასხვა საკითხები. მათ შორის — სამაჩაბლოში შექმნილი ვითარება;

1991 წელს საქართველოს შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგებში წვევამდელთა გაწვევის დებულებები;

მოსამართლეთა დანიშვნისა და მსაჯულთა არჩევნების წესები.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე სსრ კავშირის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების 1990 წლის 29 დეკემბრის ბრძანების — რომელიც ითვალისწინებს ქალაქებში სამხედროთა და მილიციელთა ერთობლივ პატრულირებას — მოქმედების შეჩერების შესახებ.

30 იანვარს სესიამ განაგრძო მუშაობა.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ წარმოადგინა მოხსენება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ. აზრთა გაზიარების შემდეგ შესაბამის მუდმივ კომისიებს დაევალათ დააჩქარონ მიწის კანონის შემუშავება.

მიღებულია კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი დეპუტატებს ესაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს მილიცია საგანგებო ვითარების რაიონში — სამაჩაბლოში. ახსნა ამ რეგიონიდან მილიციის ცალკეული ქვედანაყოფების გამოყვანის მიზეზები.

გამოითქვა წინადადება, შეიქმნას სამაჩაბლოდან ლტოლვილთა რესპუბლიკური სამთავრობო კომისია.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სახელმწიფოებრიობის ინტერესების დაცვის დროს დაღუპულთა ხსოვნას.

სესიამ განიხილა, აგრეთვე, სხვა მნიშვნელოვანი საკითხები და მიიღო შესაბამისი დადგენილებები. მათ შორის —

— გადაწყდა, რომ მომავალ საკავშირო რეფერენდუმში საქართველო მონაწილეობას არ მიიღებს და 1991 წლის 31 მარტს მოეწყობა რესპუბლიკური რეფერენდუმი, რომლის დროსაც საქართველოს მოსახლეობა გამოხატავს თავის აზრს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხისადმი.

პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ დაამთავრა მორიგი მუშაობა.


დღეს ნომერში

გამოხმაურება, რეპლიკა, მოსაზრება
გვ. 3

ოთარ ჩხეიძე: „მწერლობაა პირველი გამომთქმელი“
გვ. 4-5

პრესა—ჩვენი მემატიანე
გვ. 6

გია ლომაძე: „დიდი ქალაქის პატარა მოთხრობები“
გვ. 8-9

ნათელა არველაძე: „თეატრიც იბრძვის“
გვ. 10-11

ლეო რუხაძე: „საქართველო, ტფილისი“
გვ. 13-14

# გორბი ულეღვისფოთლოდ? ანუ DICTATURA MILITARIS

თავდაპირველად ნება მომეცით გაგაცნოთ ფრაგმენტები ერთი წერილიდან, რომელიც ამასწინათ შემთხვევით ჩამივარდა ხელში:

„ღრმად პატივცემულო მიხეილ სერგის-ძევ!

...როდესაც იპყრობენ სახელმწიფოებს, რომლებიც თავიანთი კანონების მიხედვით ცხოვრებასა და თავისუფლებას არიან ნაჩვევნი, არსებობს მათი შენარჩუნების სამი სხვადასხვა საშუალება. პირველი: მიწასთან გაასწორო ისინი. მეორე: პირადად დასახლდე იქ. უქმედითესი საშუალებაა დაპყრობილ სამფლობელოებში დამპყრობლის გადასახლება: როდესაც დაპყრობილ ქვეყანაში ცხოვრობ, ჩანასახშივე ამჩნევ მღელვარებას და შეგიძლია სასწრაფოდ ჩაახშო იგი. სასარგებლოა ხალხს ისე აჩვენებდე თავს, თითქოს გულმოწყალე, სარწმუნო, კაცთმოყვარე, მორწმუნე და პატიოსანი კაცი ხარ...

ტირანია და მორალური პოლიტიკა ურთიერთშეუთავსებელი ცნებებია. ძალაუფლება მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტ საშუალებებს ფლობს ტირანი ხალხის დასამორჩილებლად. სისასტიკე ერთჯერადი და ერთბაში უნდა იყოს, რათა ხალხს გონს მოსვლის საშუალება არ მიეცეს...

ძალაუფლება მისი ბოროტად გამოყენების გარეშე მთელ თავის მომხიბვლელობას კარგავს!.."

როგორ ფიქრობთ, პატივცემულო მკითხველო, ისარგებლა თუ არა ადრესატმა ყველა ამ შეგონებით? რა თქმა უნდა, ისარგებლა და ერთობ ოსტატურადაც ისარგებლა!... პარადოქსი კი ისაა, რომ ფრაგმენტები ზემოთმოყვანილი წერილიდან დაწერილია ხუთი საუკუნის წინ ნიკოლო მაკიაველის მიერ და მისი ადრესატია არა მიხეილ სერგის-ძე გორბაჩოვი, არამედ (იმედია ამ უწყინარ პუბლიცისტურ ფანდს მომიტევებთ) პიერო მედიჩის-ძე ლორენცო!

ამ ფრაგმენტებში ყველაფერი ტკივილამდე ნაცნობია. დარწმუნებული ვარ, დღეს მერვეკლასელი ბავშვიც კი მოახერხებდა ამ უძველეს ტექსტში ისეთი თანამედროვე გამოთქმების ჩასმას, როგორიცაა: „ინტერფრონტი", „ეროვნული ხსნის კომიტეტი", „კომპარტია", „რუსულენოვანი მოსახლეობა", „კრემლის პოლიტიკა", „წითელი არმია" (რა ზუსტი და სისხლისფერი გამოთქმაა!), „კონსტიტუციური უკანონობა" და სხვ.

ახლა კი, კრემლის ამ უპრეცედენტო ძალადობის ჟამს, ისლა დაგვრჩენია, ხუთასი წლის „კარგად დავიწყებული ძველი" ამბები კიდევ ერთხელ დავივიწყოთ და ჩვენს შემზარავ თანამედროვეობას გადავავლოთ თვალი.

მაშინ, როცა ქართველი ხალხი მის მიერ არჩეული პარლამენტის მეთაურობით პირველ ნაბიჯებს დგამს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ეკლიან გზაზე, დღე არ გათენდება სსრ კავშირის გასამხედროებულმა პრეზიდენტმა ერთმანეთზე ტირანული ბრძანებებით რომ არ „გვაგახაროს"! თანაც იმ „განუმეორებელმა" პრეზიდენტმა, რომელიც, მისივე თავის მართლებიდან გამომდინარე, სსრკ-ში დატრიალებულ ამბებს რადიოსადგურ „თავისუფლებით" გებულობს ორი დღის დაგვიანებით. როგორც ჩანს, მან არ იცის რა მოხდა გუშინწინ თბილისში. გუშინ ბაქოში, დღეს ვილნიუსსა და რიგაში!.. მაშასადამე, არც იმაზე აგებს პასუხს, რაც მოხდება ხვალ, ზეგ, მაზეგ! სამაგიეროდ „ვრემიას" ჩართვისთანავე (რომელიც ენერგეტიკული კრიზისის დროსაც ვერ ამოვილეთ თბილისის არხიდან!) ბოკასას თავდაჯერებით გამოგვიცხადებს, რომ „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით" ჩაგვიტარებს სიმწრით დანაზოგი ფულის კონფისკაციას! „მშვიდობიანი და ბედნიერი ყოფის დასამკვიდრებლად" სადარბაზოებთან დაგვიყენებს ტანკებს! „ადამიანის უფლებების განსამტკიცებლად" სამსახურში და საძილე ოთახშიც სამხედროებს შემოგვისევს ანუ გაურკვეველი დროით ჩამოგვიყენებს კბილებამდე შეიარაღებულ ეგზეკუციას, რომელსაც არამც და არამც არ უნდა დავარქვათ თავისი ნამდვილი სახელი — „სამხედრო დიქტატურა! ამდენი „სიკეთის" პასუხად კი ჩვენ, მოგვეთხოვება მხოლოდ ტაში, მქუხარე, ხანგრძლივი ტაში!

კარგი ბატონო, ვთქვათ გადავირიე და მოძალადე დათვს კიდევ ერთხელ დაგიძახე ბაბა, კიდევ ერთხელ დაგიკარი ტაში, წაიღე ეს შავი დღისთვის გადანახული ფული და როგორც ბებიაჩემი იტყოდა, შავებში მოიხმარე, მაგრამ მაინც რომ არ იქნება შენი საშველი?! ერთხელ წაგირთმევია, ორჯერ თუ სამჯერ! კი, ბატონო, დამიყენე ჭიშკართან ტანკი, დამადექი თავზე ნაჯახით, მაგრამ შენს სამოცდაათწლიან სისხლიან ბატისფეხურს ნაჯახით და ტანკის მუხლუხებით რომ ვერ წაშლი?! კი, ბატონო, ჩამომიყენე კრემლის ჩეკა და დოზანა, მომაყურადე, ჩემს ღმერთს რას ვემუდარები, მაგრამ როგორღა გავუგებთ ერთმანეთს, თუკი მაშინ, როცა მე ვარძიას ვკვეთდი, შენ მხოლოდ არაყის აკრძალვის შიშით იკავებდი თავს ისლამზე და ახე შემთხვევით გახდი „ერთმორწმუნე მეზობელი!"

როგორღა გავუგებთ ერთმანეთს, თუკი ჩვენ სტუმარს ღვთის კაცად ვთვლით და მტერსაც კი რაინდული ღირსებით ვხვდებით („დღეს სტუმარია ის ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა!") შენ კი ახეთი ადამიანის ჭიშკარ ტანკით ეჯახები და იმ მასპინძელს, რომელიც წვიმისთვისაც კი ბოდიშს იხდის, თავში ნიჩაბს ურტყამ! ბავშობაში ამუნიებით გვაშინებდნენ, ახლა ომონებით გვემუქრებიან!

გამიგონია, სკამარისია წურბელა კეფაზე დაისვა და თავის ნებაზე მიუშვა, თურმე იმდენ სისხლს დახარბდება, ვერც კი მიხვდება ისე გასკდება!.. ბუნების ეს უცნაურობა ეტყობა პოლიტიკაშიც მალე იჩენს თავს...

რაკი სიტყვა პოლიტიკაზე ჩამოვარდა, იქნებ ღირდეს, უმარტივესი მიდგომით გავაცნობიეროთ ერთი შეხედვით ისეთი გლობალური ცნებები, როგორიცაა დრო და საზოგადოება.

როგორც ცნობილია ესა თუ ის საზოგადოება იმთავითვე ეგუება და ითვისებს იმ იდეებს, იმ დოგმებს, იმ სოციალურ წყობას, რომელიც ყველაზე თანადროულად ესადაგება ტექნიკის, კულტურის, ინფორმაციისა თუ კომფორტის მოცემულ დონეს... მაგალითად, კომუნიზმის უტოპიურ იდეას, რასაკვირველია, აიტაცებდა ის მუშა, რომელსაც ხელში მაზუთიანი ურო ეჭირა, თავი კი ლოზუნგებით ჰქონდა გამოტენილი!.. გლეხი, — რომელიც სხვის მიწაზე სხვისთვის ღვრიდა ოფლს!.. ინტელიგენტი, — რომელიც მაცხოვრის ნაცვლად ცრუკერპებსაც და პოლიტავანტიურისტებს შეჰღაღადებდა!..

ხოლო იქ, სადაც მუშა საკუთარი კომპიუტერით საკუთარი თავისთვის შრომობს, ფერმერი თავისი თვითფრინავით საკუთარი მინდვრების თავზე დაფრინავს, ხოლო ინტელიგენტი იმდენად თავისუფალია, რომ მხოლოდ ამაღლებულისა და მშვენიერის სამსახურში დგას, რასაკვირველია, სულ სხვა იდეები, მისწრაფებები ვითარდება.

ჩვენ ყველაფერი გამოვცადეთ! — მაზუთიანი უროც, ცრუკერპთაყვანისმცემლობაც, დესპოტიზმიც, ქიმიური იარაღიც!.. სასდელი ბაჟიებივით გადავიტანეთ ყველაფერი და, მადლობა ღმერთს, ახეც რომ მოვიტანეთ რამდენადმე დეფორმირებული ჩვენი ეროვნული სახე. ემბრიონშივე კაცშრომადღედ აღრიცხულებს ხან პროლეტარი გვერქვა, ხან კომუნიზმის მშენებელი, ბოლოს კი ნათლია ლენინმა „საბჭოთა ხალხი" დაგვარქვა და საკუთარი გონებამახვილობით აღტაცებულმა მედლებით გაგანიერებულ მკერდზე სულოვის სისხლიანი ხელით ახალი ჯილდო ჩამოიკიდა. არადა ეს ხომ იგივე იქნებოდა ინგლისელები, ამერიკელები და გერმანელები ეროვნების მაგივრად „რესპუბლიკანელ ხალხად" ან „მწვანეთა ხალხად" მოგვეხსენებინა!

იყო დრო, როცა „ვიწრონაციონალიზმის გამოვლინებად" ითვლებოდა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „სამშობლო", „პატრიოტიზმი", „წინაპართა სახაფლაოც" კი! არადა წინაპრის საფლავს ხომ ყველა ერთნაირად უნდა უვლიდეს და სცემდეს პატივს, მათ შორის, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსიც! თუ, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ რესპუბლიკის ინტერფრონტების შესავსებად არაა გადასროლილი ასწლიანი სპეციალური მივლინებით. სიტყვამ მოიტანა და რუსის გაგონებაზე რა ასოციაციებიც უჩნდებათ მთელი მსოფლიოს ადამიანებს შოვინისტი და ბარბაროსი რუსების კისერზე იყოს, თორემ ისეთი რუსი, როგორიც, ვთქვათ, იური ვლასოვია, შეიძლება მთელი ერის ჩიძღისს განსახიერებდეს. მართალია რომ დიონოვთა მთელი დინასტიები ჯერ კიდევ ამაზრზენად აღრჭიალებენ კბილებს, მაგრამ დღეს სწორედ იური ვლასოვის რუსეთი ილვიძებს და ის, რაც წინათ ანეკდოტებად აღიქმებოდა, ახლა სერიოზულ რეალობად იქცა. ამ ორიოდე წლის წინ ბალტიაში ხუმრობით გადმოისროლეს ლოზუნგი „სსრკ რუსეთის გარეშე!" თბილისში კი მხოლოდ პოლიტიკურ ხუმრობად წარმოგვედგინა „რუსეთის განთავისუფლების კომიტეტის შექმნა... ისე ყველაფერი კეთილად აგიხდეთ, როგორ ეს ხუმრობანი აგვიხდა!

„დალოი ლორ-ბაჩოვ!" — გაისმის კრემლის შემოგარენში!.. უკან დარჩა იმედები, „კონტროლებად-რეგულირებადი" ბაზარი და გლასნოსტი, პერესტროიკა და დემოკრატია.

ერთადერთი, რაც სსრკ-ს „პატრონმა" 5 წელიწადში გააკეთა, ისაა, რომ, როგორც ამასწინათ ბატონი გურამ ფანჯიკიძე წერდა: „სოციალისტური ქვეყნის ოთხკუთხედი ბორბლები მხოლოდ რვაკუთხედად გადააკეთა, რომელსაც სრული დამრგვალება არ უწერია..." ხოლო პუგომ და იაზოვმა ამ ბორბალს ღერძიც გამოაცალეს!

იმპერიის სისხლიან კალენდარზე ავბედითად ციმციმებს 1 თებერვალი! ტოტალიტარული რეჟიმის პრეზიდენტი ჯერ კიდევ სსრკ-ად წოდებულ უზარმაზარ ტერიტორიაზე „კონსტიტუციურად" აგზავნის ე. წ. „შერეულ პატრულს" ანუ კბილებამდე შეიარაღებულ ქორებს, რომელთაც სათავეში ალბათ ცნობილი შავი პოლკოვნიკები ალქსნისი და პეტრუშენკო ჩაუდგებიან!

„რუსი მოდის! რუსი მოდისო!" — შესძახებდნენ თურმე გურიის სოფლებში ეგზეკუციის გამოჩენისას. ეტყობა 1 თებერვალსაც იგივე შეძახილით შევხვდებით...

მე არ ვიცი კიდევ ვის ელოდება ნიკოლაი და ელენა ჩაუშესკუების ბედი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ დღეს უკვე უნილბოდ და ულეღვისფოთლოდ ჩვენს წინაშე ურცხვად გამოჭიმული გორბი, როგორც ყველა დიქტატორი, უკანასკნელ იმედს ზარბაზანზე ამყარებს, და ქართველთა შორის დღეს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძემ უწყის მალტაზე გარიგების საიდუმლო!.. (NB) იქნებ სწორედ აქ დაიდო მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი ხელშეკრულება ფარულ ზრახვათა შორის?

**ამირან კალაძე**

---

# სადეზინფორმაციო პროგრამა „ვრემიას" შახლესი გადაცემის სცენარი

**დიქტორი ქალი:** საღამო მშვიდობისა!

**დიქტორი კაცი:** საღამო მშვიდობისა, ამხანაგებო! ჩვენმა დიადმა სამშობლომ გიგანტური ნაბიჯებით შეაღაჯა სოციალისტურ საბაზრო ეკონომიკაში. უკვე სახეზეა პირველი წარმატებები. ჩვენი კორესპონდენტი პოდხვოსტოვი ესაუბრა საბჭოთა კავშირის წყლის ნაყვის მინისტრს ამხანაგ ტუპოუმოვს.

**კორ.:** ხან ხანიჩ! როგორი წარმატებებით ხვდება თქვენი სამინისტრო მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ლენინის დაბადების 121-ე წლისთავს?

**მინისტრი:** პალ პალიჩ! უნდა მოგახსენოთ, რომ წარმატებები მართლაც თვალსაჩინოა. მოვამზადეთ ორი გიგანტური ქვასანაყი; ერთ-ერთ მათგანში ჩაედინება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმავალი მდინარეები, მაგალითად ვოლგა, ხოლო მეორეში — ჩრდილოეთის ოკეანეში ჩამდინარე წყლები. დაბრკოლებას, როგორც ყოველთვის, გვიქმნის საქართველო, რომლის მდინარეები არა საბჭოთა მიმართულებით — დასავლეთისკენ, ან აღმოსავლეთისკენ მიედინება...

**კორ.:** როგორ ფიქრობთ ამ დაბრკოლების გადალახვას?

**მინისტრი:** ახლა მზადდება ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლითაც გამოცხადდება მორატორიუმი ამ ქართულ სეპარატისტულ მდინარეებზე.

**კორ.:** სხვა პრობლემები ხომ არ გაქვთ?

**მინისტრი:** იმპერიალისტური გარემოცვის პირობებში პრობლემებს რა გამოლევს, მაგრამ ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვჩვევია უკან დახევა. სამწუხაროდ, ქვების სამინისტრომ დაგვიგვიანა სათანადო ფილთაქვის დამზადება. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს იქნება მსოფლიოში უდიდესი და უმტკიცესი ფილთაქვა. გვპირდებიან, რომ მალე დაამზადებენ და მაშინ საქმეს წინ აღარაფერი დაუდგება, რადგან წყლის ნაყვაში საბჭოთა სახელმწიფომ უდიდესი გამოცდილება დააგროვა.

**კორ.:** გისურვებთ წარმატებას!

**მინისტრი:** გმადლობთ!

**დიქტორი ქალი:** მდგომარეობა ლიტვაში. საკდესის კორესპონდენტი ვიტალი ზიტროპისკუნი გვატყობინებს: გუშინ გამძვინვარებული ლიტველი დიასახლისები თავს დაესხნენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების სატანკო კოლონას, რომელიც ვილნიუსის ქუჩებში ყვავილების მოსარწყავად მიემართებოდა. ჩამჩების დარტყმით და ჩანგლების ძგერებით გაიხვრიტა შვიდი ტანკის ჯავშანი, ხოლო ორ ტანკს მუხლუხოებში ცოცხი ჩააყოლეს და მწყობრიდან გამოიყვანეს. ტანკისტები იძულებულნი გახდნენ თავი დაეცვათ და „როგატკები" დაუშინეს თავდამსხმელებს. სამწუხაროდ, არის მსხვერპლი: ერთ ქალს თვალი ჩაულურჯდა, ხოლო ოთხი მამაცი ტანკისტი ჰოსპიტალიზებულია. ჩვენი კორესპონდენტი ანატოლი კრივდა ესაუბრა ამ ფაქტთან დაკავშირებული მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგის მონაწილეებს.

**ვიდეოფირი:** ზღვა ხალხი, მოჩანს აუარებელი ლიტვურ ენაზე დაწერილი ტრანსპარანტი, რომელთაც კაცისშვილი ვერ წაიკითხავს, რამდენიმე კი რუსულია. ტელეკამერა განსაკუთრებით მათზე ამახვილებს ყურადღებას: „ძირს ლიტვური ბურჟუაზია", „საბჭოეთის ძმურ კავშირში — აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!" მიკროფონთან მოდის ომისა და შრომის ვეტერანი არხიპ ნემისლიშჩი. მკერდს უმშვენებს ორმოცამდე მედალი, მათ შორის „ზა ოტვაგუ", „ზა ტრუდოვოე ოტლიჩიე", „ვოროშილოვსკი სტრელოკ". იგი ამბობს: „ჩვენ აქ სისხლი დავღვარეთ, ჩვენ აქ ოფლს ვღვრით, ლიტველი ავანტურისტები კი ჩვენს სისხლს ღვრიან და ცდილობენ ჩვენი მიწა ყაჩაღურად გამოსტაცონ მშობლიურ საბჭოთა დერჟავას. ამას არ დავუშვებთ!"

**დიქტორი კაცი:** თქვენ ნახეთ ამხანაგებო, რომ მართლაც მძიმე მდგომარეობაა. დროა, ჩვენმა მთავრობამ დაიცვას ლიტვის რუსულენოვანი ერის, ანუ მშრომელთა ინტერესები.

გადავდივართ საზღვარგარეთის ამბებზე. ნიამ-ნიამის ტომის იმპერატორმა კარზაკურჩა ბრაჯმანანაიამ მიიღო საბჭოთა კავშირის ელჩი ამ რესპუბლიკაში ამხანაგი პოდკოპილინი და ესაუბრა სპარსეთის ყურის კრიზისის საკითხებზე. მან გამოთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირი დროზე ალაგმავს პრეზიდენტ ბუშის აგრესიას მშვიდობისმოყვარე ერაყის მიმართ. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა პოლკოვნიკმა ალქსნისმა, მისმა პირველმა მოადგილემ პოლკოვნიკმა პეტრუშენკომ და იასირ არაფათმა სადილი „სოობრაზილი ნა ტროიხ". სადილზე მირთმეული უხა რატომღაც წიწაქიანი გამოდგა და სტუმარმა არ ჭამა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. სამაგიეროდ მოეწონა რახათ-ლუხუმი და გემრიელად გეახლათ.

**დიქტორი ქალი:** „ახლახან გადმოგვცეს ცნობა საქართველოდან. აღმოსავლეთ საბერძნეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქ წალკაში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა, ხოლო მის მეზობლად — სამხრეთ რუსეთის საბჭოთა დუხობორული რესპუბლიკის დედაქალაქს — სოფელ ბუდიონოვკას ქართველმა ექსტრემისტებმა ბალისტიკური რაკეტები დაუშინეს. ეთნიკური დაძაბულობის შესანელებლად ამ რეგიონებში, აგრეთვე თბილისის გლდანის რაიონის ქურთთა ავტონომიურ კვარტალში შემოღებულია საპრეზიდენტო მმართველობა.

**დიქტორი კაცი:** ალლა ულულუკოვნა! მეც მივიღე ერთი ახალი ცნობა. ხვალიდან ლიტვასა და საქართველოში მიმდინარე პროცესების საპროტესტოდ მთელს საბჭოთა კავშირში ცხადდება 70 წლის წინათ დაწყებული უვადო შიმშილობა.

ისმის მხნე რევოლუციური სიმღერის ჰანგები — «Мы смело в бой пойдем за власть Советов»...

**შენიშვნა:** „ვრემიას" გადაცემის სცენარი დამტკიცებულია სსრკ ფედერაციის საბჭოს სხდომაზე თავდახზმის (ყოფილი თავდაცვის) სამინისტროს, სუკის და პოლიტბიუროს რეკომენდაციით.

**რომან მიმინოშვილი**



მხატვარი ლერი ფალეიშვილი

# ეროვნული ორდენი

ეროვნული მოძრაობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როდესაც ოპოზიციური ძალების უდიდესი ძალისხმევის შედეგად ქართველ ხალხს სამოცდაათწლიანი ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა გამოეხატა თავისი პოლიტიკური ნება, აუცილებელია ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ გადადგას ისეთი ნაბიჯები, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო სრული პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მოპოვებას, არამედ ახალ ეტაპზე აიყვანს ერის სულიერი განსპეტაკების, მისი ეროვნული თვითშეგნების ზრდის პროცესს. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო სიმბოლიკის (დროშა, ჰიმნი, გერბი) შეცვლასთან ერთად, სრულიად გამორჩეული და განსაკუთრებული მისია უნდა შეასრულოს ქართული ეროვნული ორდენის დაარსებამ.

ათეული წლების მანძილზე ცენტრიდან უხვად დარიგებული ორდენები, წოდებები თუ სამეცნიერო ხარისხები ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს, საცნაური გაეხადა ყველასათვის ქართული (ისევე როგორც ესტონური, უკრაინული, სომხური თუ უზბეკური) შემოქმედებითი გენიის კუთვნილება იმ ეფემერული ცნებისათვის, რასაც საბჭოთა (სინამდვილეში კი რუსული) ხელოვნება, მეცნიერება, პოლიტიკური აზროვნება, შრომითი თუ სპორტული მიღწევები ჰქვია. ამ მავნე ტრადიციამ განსაკუთრებული გაქანება ე. წ. უძრაობის პერიოდში მიიღო, როდესაც „ვარსკვლავთცვენამ“ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. სწორედ ამ პერიოდში დაიძრა მოსკოვისაკენ სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩინ-მედლების მაძიებელთა ის არმია, რომლებმაც შემდეგ, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი ვერაფერი შემატეს სამშობლოს მეცნიერებას, ხელოვნებას თუ ეკონომიკას (საბედნიეროდ, არსებობენ გამონაკლისები). მიზეზი ერთია, ხშირად ის, რასაც ხმარდებოდა ქართველი კაცის ნიჭი და გარჯა, სასარგებლო და მისაღები იყო არა საქართველოს, არამედ მხოლოდ ცენტრის ინტერესებისათვის.

დიდ ინდოელ მოაზროვნეს ვივეკანანდას ეკუთვნის შეგონება იმის შესახებ, რომ „ყოველი კაცის მოვალეობაა თავისი ხალხის იდეალების შესაბამისად იქცეოდეს. კაცმა ის უნდა აკეთოს, რაც აამაღლებს და სიქველით შემოსავს მას თანამემამულეთა თვალში“. დიახ, თანამემამულეთა და არა მეზობლის, უცხოქვეყნელის, თუნდაც ყველაზე უფრო კეთილმოსურნის თვალში. მეორეს მხრივ, ერს უნდა შეეძლოს თავისი უთვალსაჩინოესი მამულიშვილების ღვაწლის ღირსეული დაფასება, იმ მამულიშვილების ღვაწლისა, რომლებიც წინ მიუძღოდნენ და კვლავაც გაუძღვებიან თავის ხალხს ისტორიული კატაკლიზმებით სავსე გზაზე. მადლობა ღმერთს, საქართველოს ყოველთვის ჰყავდა, დღესაც ჰყავს და კვლავაც ეყოლება ასეთი ღირსეული მამულიშვილები.

ხოლო მათ მიმართ ქართველი ხალხის უზენაესი სიყვარულის გამომხატველ სიმბოლოდ უნდა იქცეს ეროვნული ორდენი.

საქართველო, დღეს არსებული საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვითაც კი, ითვლება სუვერენულ რესპუბლიკად, რომელსაც სრული უფლება აქვს გააჩნდეს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ყველა ელემენტი. მითუმეტეს აუცილებელია იგი მომავლის საქართველოსათვის.

და ბოლოს, ამ წერილის ავტორს არავითარი პრეტენზია არა აქვს ეროვნული ორდენის დაარსების იდეის ავტორობაზე. წერილის მიზანი მხოლოდ ამ იდეის განხორციელების დაჩქარებაა.

**მერაბ ნიჟარაძე**

ჰონორარი გთხოვთ გადარიცხოთ საქართველოს დემოგრაფიულ ფონდში.

# მარჩილი — ქართული ფული

გაზეთ „სახალხო განათლება“-ში (№ 47, 22 XI. 90) დაიბეჭდა ნიკო ჯავახიშვილის წერილი „რა დავარქვათ ქართულ ფულს?“. წერილი მეტად საინტერესო, საჭირო და დროულია. ამ საკითხზე, ალბათ, ბევრი სპეციალისტი (და არა მარტო სპეციალისტი) ფიქრობს და მუშაობს. ამჯერად მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო წერილში გამოთქმულ ერთ მოსაზრებას და მოკრძალებით მოგახსენოთ ჩემეული ვარაუდიც.

ქართული ფულის ჭეშმარიტად ეროვნულ სახედ ერთხმადაა აღიარებული ქართული (კოლხური) თეთრი. რასაკვირველია, არსებობს დიდი სურვილი ეროვნული ფულის ერთეულის ამავე სახით აღდგენისა, მაგრამ უხერხულობას იწვევს ორსიტყვიანობა და ერთგვარი „ნარატიულობა“ ტერმინისა.

არსებობდა თუ არა ქართული თეთრის შესაბამისი ერთსიტყვიანი, კომპაქტური, კეთილხმოვანი ადექვატი?

ბატონი ნიკო ჯავახიშვილი საქართველოში გავრცელებულ ნუმიზმატიკურ ერთეულთა შორის, რომელთაც სავსებით სამართლიანად არაქართულ წარმოშობას მიაკუთვნებს, მოიხსენიებს „მარჩილს“. ავტორი აღნიშნავს, რომ იგი მე-17 საუკუნის საქართველოში იჭრებოდა და „გავრცელებული იყო ევროპული მონეტის — ტალერის აღსანიშნავად. არსებობს ვარაუდი, რომ სიტყვა „მარჩილი“ იტალიური წარმოშობისაა და მომდინარეობს ვენეციური ვერცხლის მონეტის — „მარჩელოს“ სახელწოდებიდან“.

ამ ვარაუდის გააზრებისას რამდენიმე კითხვა იბადება. 1. მ. ჭაბაშვილის 1964 წ. გამოცემულ „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ტალერ-ი გერმ. Taler — ძველებური გერმანული ვერცხლის ფული“. ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველმა კაცმა საქართველოში მოჭრილ ფულს გერმანული შესაბამისი ერთეულის აღსანიშნავად იტალიური სახელი უწოდა!

მარტვილის რაიონში არის სოფელი ტალერი და ამ სიტყვის ხმარება სრულიად არ უჭირთ არც ადგილობრივებსა და არც ჩამოსულებს.

2. საქართველო ყოველთვის განიცდიდა მეზობელთა ეკონომიკურ — პოლიტიკურ ექსპანსიას, მაგრამ მის შიდა ბაზარზე ძირითად ნუმიზმატიკურ ერთეულად არასოდეს გამოჩენილა არამოსაზღვრე მეზობლის ფულადი ერთეული, არც მისი სახელწოდება.

3. მე-17 საუკუნეში საქართველოს ისეთი გაჭირვება ადგა მეზობელი მუსლიმანური იმპერიებისაგან, რომ იტალიასთან მსგავსი ეკონომიკური, თუნდაც ნომინალური დაახლოება წარმოუდგენლად მეჩვენება. ეს ურთიერთობა, სამწუხაროდ, რამდენიმე ათეული მისიონერი პატრის მოღვაწეობისა და სულხან-საბას სევდიან-ჰეროიკულ მოგზაურობაზე შორს არ წასულა.

4. სწორედ მე-17 საუკუნის მოღვაწეა დიდი სულხან-საბაც. მის ლექსიკონში კი არაფერია თქმული ამ „ახლადმოჭრილი“ ფულის იტალიური წარმოშობის შესახებ. მითუმეტეს, რომ იტალიურ სამყაროსთან მისი სიახლოვე სრულ საფუძველს იძლეოდა იმისა, რომ ეს შესაძლო ფაქტი ფართოდ და გამოკვეთილად დაფიქსირებული-ყო.

მაშ, საიდან მოვიდა სიტყვა „მარჩილი“?

გადაწყვეტილად რაიმეს თქმა შეუძლებელია, მაგრამ ქართულენოვან სამყაროში გამოუცდელი თვალის გადავლებითაც შეიმჩნევა საყურადღებო მომენტები. ეს უპირველესად ეხება „არჩ“-ძირიანი სიტყვების სემანტიკურ შესწავლასა და მის მითოლოგიურ ასპექტებს.

1986 წელს, არნ. ჩიქობავას რედაქციით გამოსულ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ გარკვევით წერია, რომ „მარჩილ-ი ძველი ქართული ვერცხლის ფული“-ა და „უდრიდა სამ აბაზს“.

ე. ი. მარჩილი ვერცხლის ფულია. ვერცხლი ქართულ მითოლოგიაში, ზეპირსიტყვიერებასა თუ ლიტერატურაში ყოველთვის თეთრის სინონიმად (ანდა პირიქით) იხმარებოდა. აქედან იყო ქართული (კოლხური) თეთრიც.

დავიწყოთ იქიდან, რომ „ვერცხლი“ მეგრულ-ჭანურად „ვარჩხია“. ვ-არჩ-ხი. უეჭველია, აქ ვერცხლის აღმნიშვნელი „არჩ“ არის.

არსებობს სამეგრელოში ჩაწერილი ერთი ხალხური ლექსი (სხვადასხვა ვარიანტით):

„ჟამხაის ძღაბი ბძირი,
მუს მარჩია, მუს მასკვამა“...

(„კვირადღით ქალი ვნახე, რა სითეთრის, რა სილამაზის“...) ე. ი. მეგრულ-ჭანურში თეთრის („ჩე“) ერთ-ერთი აბლაუტია „მარჩია“. აქვეა, მთელი რიგი „არჩ“-ძირიანი სიტყვებისა: არჩევანი, არჩვი, სახელი — არჩილი, გვარი — არჩაია და სხვ. ისინი, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, უკავშირდებიან შუმერულ-კოლხურ მთვარის (მთოვარე) ღვთაებას და უკვე თავისთავად არიან გაიგივებული თეთრთან, ვერცხლისფერთან. აქედან საინტერესოა სიტყვა „მარჩხი“. იგი არნ. ჩიქობავას ზემოთხსენებულ ლექსიკონში ახსნილია, როგორც „ჭროლა, ჭრელი თვალები“. ხოლო სულხან-საბას ლექსიკონში მისი ფონეტიკური სახეცვლილება — „მარლი“, „თვალთეთრი“-ა. აქაც „მარჩხ“ თეთრთან იგივდება. არ არის გამორიცხული, რომ „მარჩენალი“ სახლში თეთრის (ვერცხლის) მომტანი პირია, ხოლო „მარჩიელი“ ვერცხლის ფულზე მკითხავი, ანდა ვერცხლით გასამრჯელოს მიმღები მჩხიბავია.

„მან“ წინსართის არსებობა „არჩ“ ძირთან მოულოდნელი არ არის, იგი ქართულში წარმომავლობის, წარმოშობის მაჩვენებელია და სიტყვა „მარჩილი“, აქედან გამომდინარე, შეიძლება „ვერცხლისა“-დ გაიშიფროს.

აქამდე არსებულ და ცნობილ ქართულ ნუმიზმატიკურ ერთეულთა შორის მარჩილი ყველაზე ქართული, შინაარსის გამომხატველი და კეთილხმოვანია. მითუმეტეს, რომ ამ ფულის ერთეულის აღდგინა სურდა პირველ ქართულ პარლამენტს, 1918-1921 წლებში, მაგრამ არ დასცალდათ.

ზემოთქმულ მოსაზრებას, იმედია, კატეგორიულობის ტონი არ ახლავს. ინტერესით და მადლობით ველი ყველა გამოხმაურებას.

**რევაზ შენგელია**



მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე ქართული ქანდაკების კლასიკოსია და ყოველი მისი ქმნილება არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ხელოვნების ფასდაუდებელი განძია, და რაოდენ სამწუხაროა, რომ საქართველოს დედაქალაქში ანადგურებენ იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილ ძეგლს და ამ ფაქტს არაფრად აგდებენ. უკვე თვეზე მეტია ლესელიძის ქუჩაზე, პატარა სკვერში, ლესელიძის ბიუსტს ვიღაც ველურებმა მოაგლიჯეს ცხვირი, ყურები და ხელოვნების ეს მნიშვნელოვანი ძეგლი გამვლელ-გამომვლელს ევედრება შველას, გამკითხავი კი არავინაა. ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით მკითხველს შევახსენოთ, რომ იაკობ ნიკოლაძე პირველი ქართველი მოქანდაკეა, რომელმაც განავითარა თანამედროვე ქართული ქანდაკება, აღზარდა მოქანდაკეთა მთელი თაობა, რომლებიც დღეს ქართული ქანდაკების განვითარების მძიმე უღელს ეწევიან და არცთუ უსახელოდ.

# განუკითხაობა

თუ თანამედროვე ქართული ქანდაკება უდიდესი მხატვრული ძალისა და შესაძლებლობისაა, თუ ის ერთ-ერთი მოწინავეა მთელ მსოფლიოში (ჩვენ თამამად ვამბობთ ამას და ერთი წუთითაც არ გვეპარება ეჭვი ამ მოსაზრების სისწორეში), ეს არის იაკობ ნიკოლაძისა და ნიკოლოზ კანდელაკის დამსახურება. ნიკოლაძის ნამუშევრები ხაოცარი გამომსახველობითი ძალით შეერწყა თბილისის ბაღებსა და სკვერებს და უდიდეს სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებს თბილისელებს, ხელოვნების ყველა მოყვარულსა და სპეციალისტს. და რამდენად სამწუხაროა, რომ დღეს, როცა ქართველი ხალხი იბრძვის დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოსათვის, ვანადგურებთ ჩვენი სათაყვანებელი წინაპრების მიერ სიყვარულით შექმნილ ძეგლებს. სავალალო მდგომარეობაშია ოპერის სკვერში მდგომი აკ. წერეთლის ბიუსტი და, ვინ იცის, საქართველოში კიდევ რამდენი ძეგლი ითხოვს შველას!

უცქერი და ბრაზი გახრჩობს, რომ ვიღაც ბოროტმა ადამიანმა ხელყო ჩვენი დიდი განძი. ამდენი ხნის მანძილზე კი ქალაქში არავინ აღმოჩნდა, რომ შეემჩნია ეს უმსგავსობა, რომელიც საშინელი ტკივილით შემოდის ისედაც გაუბედურებული და დაღლილი ქართველი ადამიანის შეგნებაში. ვინ მოვა ჩვენ შემწედ და მშველელად? ადამიანთა გადაგვარება ხელოვნებისადმი უსულგულო დამოკიდებულებით იწყება. ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს. აქ შეიძლება ითქვას ერთი ტრაფარეტული აზრი — რას ვეტყვით შთამომავლობას, ეს საკმაოდ ძლიერი არგუმენტია, მაგრამ ჩვენ პასუხი უნდა ვაგოთ, აგრეთვე, ჩვენი თანამედროვეების წინაშეც, ესაა დღეს ჩვენი მოვალეობა.

**ამირან ჩხარტიშვილი**

# „ენციკლოპედიური“ დეზინფორმაცია

ამას წინათ შევიძინე დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის „ყოველწლიური“, (Ежегодник БСЭ, 1990), რომელიც გამოდის 1957 წლიდან და ყოველი ტომი ასახავს წინა წლის მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორც სსრკ-ში, ასევე მსოფლიოში. ამავე დროს იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ საცნობარო ენციკლოპედიურ გამოცემას, ავსებს რა მონაცემებით ადრე გამოსულ ტომებს. წინ მდებარე 34-ე გამოშვებაში (ე. ი. 1990 წლის) არის ცალკე ამოყოფილი ქვეთავი (გვ. 49): „1989 წელს სსრკ-ში მომხდარი უმნიშვნელოვანესი შინაური მოვლენების კალენდარი“. გავიფიქრე, ნუთუ 9 აპრილი და მასთან დაკავშირებული მოვლენები არ ქნება-მეთქი ასახული და გასვლები მღელვარებით ჩავათვალიერე „კალენდრის“ ფურცლები: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი — არის. მაგრამ ეს რა ბოდვაა, რა საშინელი მონსტრი. რა შეურაცხყოფა მთელი ერისა. ა რა წერია იმ დღეზე, რომელიც ერთდროულად ჩვენი გმირობის დღეცაა და „შავი დღეც“. «В ночь на 9 апреля в г. Тбилиси, на площади у Дома правительства в ходе пресечения несанкционированного митинга пострадала группа гражданских лиц и военнослужащих». ესეც შენი ენციკლოპედიური სიზუსტე. თავი დავანებოთ ინტერპრეტაციას „არასანქციონირებული მიტინგისა“. ამისთანა საშინელი სიცრუე, მზაკვრული ოინი, გამიზნული მილიონიანი რუსი და არარუსი მკითხველის დეზინფორმაციისათვის. უსუსური ბავშვები, ქალები და მოხუცები დაგვიხოცეს, ასობით კაცი დაასახიჩრეს, ათასობით ხალხი დაწამლეს და ყველაფერი ეს თურმე „სამოქალაქო და სამხედრო პირთა დაზარალება“ ყოფილა. ამის შემდეგ რა გასაკვირია ის საშინელებანი, რისი მომსწრენიც ჩვენ დღეს ვართ.

**გიორგი მრევლიშვილი**
თსუ პროფესორი

# სიფრთხილე გვმართებს

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ 1989 წელს გამოსცა ბიბლიოგრაფიული საძიებელი. როგორც შესავალშია მითითებული, ბიბლიოგრაფიული საძიებელი შეიცავს 1988 წელს ქართულ, რუსულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე გამოცემულ სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომების, მონოგრაფიების, კრებულების, უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების, დისერტაციების, ავტორეფერატების, სტატიების, დოკუმენტური და უწყებრივი ხასიათის მასალების, წელიწდეულების, მიმოხილვების, სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის და სხვა სახის წყაროების აღწერილობას. უეჭველია, რომ ნაშრომი დაეხმარება ქართული სამეცნიერო ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველს. ჩვენ, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარნი, ძირითადად დავინტერესდით ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ გამოქვეყნებული კრიტიკული თუ სამეცნიერო მასალის აღწერით და, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ბიბლიოგრაფია არასრულია. გამორჩენილია არა მხოლოდ ცალკეული წერილები, როგორებიცაა მაგ.: 1. ირაკლი კობიძე, „ქურციკის“ სახე-სიმბოლოს მხატვრული კონცეფცია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“, „მაცნე“ № 3, 1988 წ. 2. ბაქარ გიგინეიშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონოლოგია, „მნათობი“ №8, 1988 წ. 3. რევაზ ბარამიძე, „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თუალახმა ვისმე“, „მნათობი“, №9 1988 წ. 4. რევაზ სირაძე, „ვიცი რაჲსათვის ვარ“, „ცისკარი“ №10, 1988 წ. 5. ოლეგ გოლიაძე, „ამირანდარეჯანიანის“ ლიტერატურული ეტიკეტისათვის“, „კრიტიკა“ № 1, 1988 წ. 6. მიხეილ მახარაძე, „XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული კულტურის რენესანსული ხასიათის შესახებ“, „კრიტიკა“ № 1, 1988 წ. და სხვ.

ამასთან, ნაშრომში საერთოდ მოუძიებელია მასალები ისეთი მნიშვნელოვანი ჟურნალ-გაზეთებიდან, როგორებიცაა „ლიტერატურული საქართველო“ და „სკოლა და ცხოვრება“. არაფერს ვამბობ ცალკეულ მონოგრაფიებზე. ამგვარი ლაფსუსები საცნობარო ლიტერატურაში ყოვლად დაუშვებელია. უმჯობესი იქნება, თუ შემდგომში მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენთ.

**ნინო ზედგინიძე**

# მწერლობაა პირველი გამომთქმელი

მწერალი ოთარ ჩხეიძე ესაუბრება ჩვენს კორესპონდენტს ივანე ამირხანაშვილს

— ბატონო ოთარ, მართალი მოგახსენოთ, ბევრი ვიფიქრე, რით დამეწყო საუბარი. ბოლოს სტილზე შევჩერდი. რატომღაც მგონია, მკითხველიც ამას მოელის.

ნათქვამია, სტილი თავად ადამიანიაო. „ადამიანში“, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, მწერალს გულისხმობენ და მართალნიც არიან, მაგრამ ერთიც უნდა ითქვას — ამ გამონათქვამის ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ დასტურდება, როცა მწერალი მიაგნებს თავის სტილს, ანუ თავის თავს, თორემ სხვაგვარად, ყოველი კალმისმომსინჯველის ნაწერს სტილს ვერ ვუწოდებთ და ვერც მწერალს დავინახავთ ამ „სტილში“. ერთი სიტყვით, საკუთარი სტილის, ანუ საკუთარი თავის მიგნება იოლი საქმე არაა, მითუმეტეს ძიებას უმეტესწილად შორიდან, წინამორბედთა მემკვიდრეობის შეთვისებით, ან სულაც მიბაძვით ვიწყებთ.

— სტილი უფრო ფართო ცნებაა. სტილი ადვილად არ ისწავლება, ანთუ შესაძლოა რო სულაც არ ისწავლება. მე აქ მხოლოდ იმას არა ვგულისხმობ, ჩვენს სასწავლებლებში რო არ ისწავლება სტილი, — ან სხვა რა ისწავლება, ეს რო ისწავლებოდეს, — უფრო იმასა ვგულისხმობ, სტილი რო თვისებაა ადამიანური, სტილი რო ადამიანური მთლიანობაა და სამწერლო სტილიც, თუ ადამიანი მწერლობას მოეკიდება, უფრო აქედან მომდინარეობს, შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს. სტილი მაინც უნდა ისწავლებოდეს, არა იმიტომ, რო მიჰბაძო, უფრო იმიტომ, რო დახვეწო საკუთარი სტილი. მიბაძვა მავნეა ლიტერატურაში, სტილური მიბაძვა უკვე მარცხია, ველარაფერი ველარ გადაარჩენს ასეთ ლიტერატურასა. მიბაძვა ხელოვნურობაა. ხელოვნებასა და ხელოვნურობას შორის დიდი მსგავსებაა: იგი სხვაა, სიძვა სხვააო, — ამხელა მსგავსებაა, თუმცა არის ისეთი მაგალითებიცა, გენიალობანი რო ამოზიდულან მიბაძვაშიცა. შექსპირზე უფრო ნათელი მაგალითი რა უნდა იყოს: ჰო ამბობენ, რო არაფერია შექსპირში ორიგინალურიო, — სიუჟეტებიცა და სტილიც წინამორბედი ინგლისელი დრამატურგებისაგან გადაიღოო?.. ამბობენ და ამტკიცებენ კიდევაცა. მაგრამ ის შექსპირია, ის გენიალური მოვლენაა, გენიალური მოვლენები იშვიათია ლიტერატურაში და ვისაც მირონი არ აცხია გენიალობისა, იშვიათი მაგალითი არ გამოადგება. და აქ ისიცაა მხედველობაში მისაღები: შექსპირის შინაგანი ხასიათისათვის ბუნებრივი რო აღმოჩნდა წინამორბედთა მთლად მონაპოვარი თუ არა, მინაგნები მაინცა, შექსპირსაც რო ცოტა რამ მაინც დავუტოვოთ, მათი მხატვრულ-ესთეტიკური იდეალები შინაგანი აღმოჩნდა, თვისობრივი აღმოჩნდა, ბუნებრივი აღმოჩნდა, მისი მთლიანობის განმსაზღვრელად იქცა.

„ეს სტილია!..“ იტყოდა ხოლმე პავლე ინგოროყვა თუ ვინმე მოეწონებოდა. უბედურება ის იყო, იშვიათად რო იტყოდა, იშვიათად რო ვინმე მოეწონებოდა. ეპოქა ისეთი დამდგარიყო, იშლებოდა მთლიანი ადამიანი, მთლიანობა იშლებოდა, იკარგებოდა სტილი, იკარგებოდა, შესაძლოა რო სულაც გამქრალიყო. ეს ჩვენი ლიტერატურის მკვიდრი ტრადიციები, ეს ჩვენი ხალხის მტკიცე ნებისყოფა, თორემ სტილი მართლაც სანთლით საძებარი გახდებოდა ჩვენში: სტილი როგორც ადამიანური მთლიანობა, სტილი როგორც მხატვრული თავისებურება. საძებარი იქნებოდა. გადარჩა. თუ ვინმეზე ითქმოდა, თვით პავლე ინგოროყვაზეც ითქმოდა, — ეს სტილია!.. პავლე ინგოროყვაზე და კიდევ რამდენზე, თუნდაც ამ უბედურ 20-ანსა და 80-იან წლებში: ვასილ ბარნოვი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, ბასილ მელიქიშვილი... ეს სტილია!.. სტილია!.. სტილია!.. სტილია!.. და ეს ამდენი სტილი ჩვენს ლიტერატურაში ცოტა არ არის ამ მცირე მანძილზედა. და ეს ყველანი თავთავისებური პიროვნებანი გახლდნენ, თავთავისებურნი და მთლიანნი თავისებურადა, თავთავისებური სტილიც დაამკვიდრეს, ჩვენს ლიტერატურაში რალა თქმა უნდა, თავთავისებური და შესაბამისი თავიანთი ბუნებისა.

გეთანხმებით: სტილი სამწერლობო ტრადიციებიდანაც მომდინარეობს და ძიების შედეგიც არის. განვითარების შედეგიც გახლავთ სტილი. ეს ცხადია და აუცილებელი. არ შეიძლებოდა ჩვენი მხატვრული პროზა იმ სტილს შერჩენოდა, იაკობ ხუცესმა რო შექმნა. სტილურ თავისებურებას საუკუნეებიც არ უნდა, ერთი ეპოქაც განასხვავებს რამდენიმე სტილსა თვით იმ ადრინდელ საუკუნეებშიცა, როცა სტილზე იმდენსაც არა ფიქრობდნენ, რამდენსაც სატკივარზე ჩვენი ხალხისა, ჩვენი ერისა, ყოველთვის რო ეროვნული უბედურობის წინაშე ვიდექით და მწერლობაც იქ იდგა, სადაც უბედურობა გახლდათ. და მაინც თქვენს მიერ წამოჭრილ საკითხს რო არ ავცდეთ სტილურ ძიებებთან დაკავშირებით, ერთ ასეთ მაგალითს მოგახსენებთ: ვასილ ბარნოვისათვის სტილის ნიმუშს წარმოადგენდა... ნუ გაგიკვირდებათ: ალექსანდრე ყაზბეგი. პარადოქსი არ გეგონოთ. სხვაობა დიდია ამ ორ სტილს შორისა, ძალიან დიდი, მაგრამ მაინც პარადოქსი არ გეგონოთ. ყაზბეგის სტილზე მაინცდამაინც ბევრს არა ლაპარაკობენ, თუ რამეს ამბობენ, არც მოსწონთ. მის ნაწარმოებებს ენობრივად დაუმუშავებლად მიიჩნევენ და არც ამტყუნებენ, — ჩქარობდაო. ენობრივად ყაზბეგი ყოველდღიური სასაუბრო ენაა, ხევის დიალექტური კოლორიტი რო გასდევს. ბარნოვი ფსალმუნებითა სუნთქავს, მატიანეებითა სუნთქავს, წმიდა წიგნებითა სუნთქავს, იქიდან მოდის თავისებურება მისი სტილისა. შორით შორსაა რალა თქმა უნდა. მაგრამ მაინც პარადოქსი ნუ გეგონებათ, სტილი რო მხოლოდ ენობრივი მოვლენა არ გახლავთ, აი ამიტომაც ნუ გეგონებათ პარადოქსი. სხვა არის გრამატიკული სტილი, მხატვრული სტილი სულ სხვა რამ გახლავთ. მხატვრული სტილისათვის გრამატიკული სისუფთავე აუცილებელია რალა თქმა უნდა, მაგრამ მწერლური სტილი მაინც უფრო ფარული მოვლენაა, ის სიტყვათა განლაგების უკანა დგას, ლექსიკურ თავისებურებათა უკანა დგას და ჰქმნის იმგვარ სახეებს, ნაწარმოების არსის, ძირითადი აზრის გამოკვეთისათვის რო აუცილებელია. სტილი აქაა საძიებელი, სიტყვათა განლაგების სიღრმეშია საძიებელი. ამიტომ ის უფრო იდუმალია, ვიდრე გვეჩვენება ერთი შეხედვითა. ამიტომ გარეგნული მიბაძვა უფრო ადვილია და ეპიგონობაც აქედან წარმოსდგება. შინაგანად შესაძლოა უახლოვდებოდეს ორი მწერალი ერთიმეორესა, მაგრამ დაახლოება მაინც იმდენად თავისებური იქნება, გარეგნულად რო არ გამოიხატება არავითარ შემთხვევაში. დაახლოება იქნება იდეური, რამაც ეგებ რო ექსპრესულობაში იჩინოს თავი, მაგრამ რიტმი მაინც სხვა იქნება, მელოდია სხვა, სხვა ჰარმონია იქმნება, თავისებური, საკუთარი, ბუნების მიერი. აქ რა თქმა უნდა ძალზე შორსა დგანან ერთმანეთისაგან ყაზბეგი და ბარნოვი. მაგრამ ბარნოვმა, ჯერ ერთი: სწორედ ყაზბეგთან მიაქცია ყურადღება სტილსა და მეორე: ეროვნული ტკივილების განცდით და ამ ტკივილთა მიზეზებისადმი მგზნებარე დამოკიდებულობით საკმაოდ უახლოვდებიან ერთიმეორესა, უახლოვდებიან. ეს თემა, ეს მოტივი ეროვნული, განუშორებელია ქართული მწერლობისათვისა. მოტივი ერთია, სტილის თავისებურება ბევრი. მოტივი ნაწილია მხატვრული მთლიანობისა, სტილი მთლიანობაა. და ნაწარმოები რო მოგეწონებათ, შეიძლება თქვათ, — ეს სტილია!.. სტილი უფრო ვრცელი კამათის თემაა. სამწუხაროა, ცოტას რო ლაპარაკობენ ამაზე. ეს კარგი არ უნდა იყოს ჩვენი სალიტერატურო აზროვნებისათვისა.

— თუ ნებას მომცემთ, საუბარს განვაგრძობ თქვენი ერთ-ერთი მოთხრობის პასაჟით. დიალოგის ჩარჩოები რომ მოითხოვს, შეიძლება იმაზე დიდი ამონაწერი გამოვიდეს და მკითხველიც გადავღალო, მაგრამ მაინც გავბედავ ამ პასაჟის მოტანას, — თუნდ იმიტომაც, რომ აქაც მკითხველის მოთმინებაზეა ლაპარაკი:

„თუმცა გოგონა რაღა შუაშია თუ დაიძახეს, ბიჭი გაჩნდაო, იტყვი და მირჩევ, მოვერიდო ასეთ ჩანართებსა, იტყვი თუ გაიფიქრებ, ეგ სულერთია რალა თქმა უნდა, შენ ჰანდ იტყვი და მე აქ მომწვდება, ამიტომაცაა ხშირად რო გაფრთხილებ, — საიდან საიდა, — ნუ ჩქარობმეთქი; მე მაინც ვეჩვევი შენს აჩქარებასა, ჩემს ზომიერებას შენ ვერ ეჩვევი, მე არა ვძრახავ შენს აჩქარებასა, შენ სძრახავ ჩემსას ზომიერებასა, ამდენ დაშორებასაცა სძრახავ და შეიძლება ორივენი მართალნი ვიყვეთ, ანთუ ვტყუოდეთ ორივენი ერთმანეთთანა, ჰო, შეიძლება, ოღონდ ესაა, რო მაინცა ვრიგდებით, მაინც გინდა, რო შეგატყობინო, რასაც შევიტყობ, მეც მინდა რო შეგატყობინო, ჰოდა ნუ ჩქარობ...“

ბატონო ოთარ, როგორც ამ გასაუბრებიდან ჩანს, მიგაჩნიათ, რომ მკითხველი ძნელად ეგუება თქვენი პროზის სტილს, მაგრამ ეს გარემოება არ გაბრკოლებთ, არ ღალატობთ არჩეულ გზას, რადგან გწამთ, რომ ამგვარად მკითხველს უფრო მეტს ეტყვით, მეტს შეატყობინებთ. რა არის თქვენს სტილში, წერის მანერაში ის არსებითი რამ, რაც საშუალებას გაძლევთ გამოხატოთ უფრო მეტი, ვიდრე, ვთქვათ, ამას მოახერხებდით წერის „ჩვეულებრივი“ სტილით.

— ვერ დაგეთანხმებით, რო არაჩვეულებრივადა ვწერდე, ანთუ უფრო ლმობიერად ვიტყვი: არა მგონია, რო არაჩვეულებრივადა ვწერდე. არ შეიძლება დავარღვიო გრამატიკული წესები, არ შეიძლება მივმართო რაიმე ისეთ ექსპერიმენტსა, ქართული ენის ბუნებიდან რო არ მომდინარეობდეს. ჩემს ლექსიკაში არაფერია ისეთი, ცოცხალ მეტყველებაში რო არა გვხვდებოდეს და ჩვენი საუკუნის მწერლობას რო არ გამოეყენებინოს. ის სხვა ამბავია, ზოგი ლექსიკური ნაწილი თუ უფრო მახვილად წარმოჩნდა ჩემს ნაწერებში, სხვაა, ცხადია, ამით არქაიზაციას ვერავინ ვერ დამწამებს. ლექსიკონებიდან არასოდეს არაფერი არ ამომიწერია, ქართული ლექსიკონებიდანა რალა თქმა უნდა, თორემ უცხო ლექსიკონებიდან ბევრიც ამომიწერია, ბევრიც დამიზუთხავს, უცხო ენას როცა ვსწავლობდი. მაგრამ უცხო უცხოსათვის, ჩემს ნაწერებში, მხატვრულ ნაწერებში, უცხოს ვერიდები. არც ნეოლოგიზმებითა ვარ გატაცებული. მე მგონი დამეთანახმებით. მაშ რა გეჩოთირებათ-მეთქი, აქამდისაც მეკითხავს და ვერაფერი ვერ დაუსახელებიათ ემფატიკური ა-ნის გარდა. მაგრამ ეს განა ისეთი რა ცოდვაა, არაჩვეულებრივობას, სირთულესა თუ გაუგებრობას რო ჰქმნიდეს?! არა, ეს არავითარი ცოდვა არ არის. აქ არ მოვჰყვები თუ რატომ მივმართე, რატომ ვიყენებ, აქ მხოლოდ იმისი განცხადება მინდა, ჩემი სტილი რო არ ემყარება არავითარ ემფატიკურ ა-ნსა, ამას ამხელა შესაძლებლობა არ გააჩნია, არა, არავითარ შემთხვევაში. თუ არა გჯერათ და ამოშალეთ ემფატიკური ა-ნი, ამითი სტილი არ შეიცვლება; ანთუ თქვენ რატომლა უნდა გაისარჯოთ: ჩემმა მომბაძველებმა უკვე მიმართეს ამა ექსპერიმენტსა. შუბი ხალთაში არ დაიმალებაო. ვერ მიიღეს სასურველი შედეგი, ვერა, ცხადია. საპირისპირო ექსპერიმენტიცა სცადეს: ემფატიკური ა-ნიც გამოიყენეს, დიალექტური ი-ნიცა, — ამასაც მივმართავ ხოლმე, — მაინც ვერ მიიღეს სასურველი სტილი. აქედან მხოლოდ იმ დასკვნას მივადგებით: სტილის წარმოება რო არ შეიძლება ხელოვნურადა, სტილი საგანი არ არის, სტილი არსებაა მთლიანობისა.

ვგონებ, აქ ბუნდოვანი არაფერია. შესაძლოა არ მეთანხმებით, მაგრამ ბუნდოვანებას ვერ დამწამებთ რალა თქმა უნდა.

რაც შეეხება ამ ვრცელ ამონაწერსა, — აქ ზოგადად მკითხველი არაფერ შუაშია, მკითხველებს, მართლა მკითხველებს, ასეთი განმარტებანი არა სჭირდებათ, აქ ირონიაა და მკითხველს ირონიას ვერა ვკადრებ, ჭეშმარიტ მკითხველსა რალა თქმა უნდა. აქ ჩემი მაშინდელი კრიტიკოსები იგულისხმებიან, რომელთაც დამწამეს ბუნდოვანება თუ გაუგებრობა ბევრ სხვა ცოდვასთან ერთადა და ზოგი ისეთი ლიტერატორებიც აიყოლიეს, რომელთათვის ლიტერატურა მხოლოდ გართობაა, ლიტერატურული განათლება საზინკლეში აქვთ მიღებული: დიპლომები— უნივერსიტეტში, განათლება საზინკლეში. აქ პოლემიკაა და არა სტილი: ვწერ —ბიჭი დაიბადამეთქი და იქვე მოსდევს — გოგო არ გეგონოთთქო. პოლემიკაა რალა თქმა უნდა, პოლემიკაა და ირონია, უნდა დამეთანხმოთ. მართალია მკითხველს ვესაუბრები, მკითხველს მოვუთხრობ, მოვუთხრობ და ვუხატავ, წუთითაც რო არა ვტოვებ მხედველობის გარეშე, ვცდილობ, ყურადღება რო არ მოუდუნდეს, ოღონდ პოლემიკური ჩანართები იმას არ ეკუთვნის, არა, არავითარ შემთხვევაში. ჩემი მხრით მეც დაგეთანხმებით, რაღაც მაინც დარჩენილა ასახსნელი, რაღაც ისეთი, სხვა, დამატებით ცოდნასაც რო მოითხოვს. ზოგადმა მსჯელობამ რო არ ამიყოლიოს, მაგალითს მივმართავ. „ბორიაყი“ ვერ გაიგეს თავის დროზედა. ვერ გავიგეთო, დაწერეს „კრიტიკაში“. ირონია იქ უნდა ნახოთ, ეს უკვე ირონია ავტორისადმი. მათი გაუგებრობა არც იყო გასკვირი: 21 წელი ბედნიერების დასაწყისად ითვლებოდა საქართველოში, 24 მივიწყებულიყო, აღარავინ აღარაფერი აღარ იცოდა იმის შესახება, ხოლო თუ ვინმეს მაინც წამოსცდებოდა, როგორც ავანტიურა ქართველი ხალხის წინააღმდეგა. ასეთ პირობებში აღზრდილი კრიტიკოსებისათვის „ბორიაყი“ გაუგებარი უნდა ყოფილიყო რალა თქმა უნდა და კიდევ კარგი, რო ვერ გაიგეს, თუ გაიგებდნენ, ვაი ჩემი ბრალიცა! „კრიტიკის“ მაშინდელ რედაქტორსაც ვერ უნდა გაეგო, მისთვის „კოლხეთის ცისკარი“ ითვლებოდა ბიბლიადა და სახარებადა, იმას იქით ყველაფერი გაუგებრობა გახლდათ. ხოლო ახლა თუ გადაიკითხავენ „ბორიაყსა“, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აღარაფერი აღარ დარჩებათ გაუგებარი. ეს წლები იყო აუცილებელი, ეს ამდენი რამის გამომჟღავნება იყო აუცილებელი, სიყალბისა და სიცრუისაგან რო დაეღწია თავი ადამიანსა, რო ჩასწვდომოდა სიმართლესა. სიმართლე არც არის ადვილი გასაგები. კიდევ ბევრია მისახვედრი და ამოსახსნელი.

— როგორ ფიქრობთ, შეიძლება, რომ დროის დინებამ, ცხოვრების ცვალებადობამ, იდეოლოგიის მეტამორფოზებმა მწერალს სტილი შეაცვლევინოს? აქ გამოვრიცხავ ჩვენთვის კარგად ცნობილ კონიუნქტურულ ლიტერატურას ანუ „სწრაფი რეაგირების მწერლობას“, როგორც მას თავის დროზე მოსწრებულად უწოდეს. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ მხოლოდ ნამდვილ მწერლობას და კითხვასაც წმინდა ლიტერატურის ჩარჩოებში ვაქცევ.

— სტილი სიცოცხლეა: ისახება, იზრდება, მწიფდება, სიბერეს იწყებს და მერე თავისი ბუნებრივი შედეგი მოსდევს თუ შემოქმედის ცხოვრება ხანგრძლივია და შემოქმედების უნარიც თუ შერჩება ბოლომდისა. ამდენად ცვალებადობაც ბუნებრივი იქნება, მაგრამ არცთუ ისე მკვეთრი. რამდენადაც არ უნდა შეიცვალოს, ძირეული, თვისობრივი, ნიშანდობლივი მაინც შეიმჩნევა, მაინც გამოირჩევა სხვათა სტილისაგანა, მაინც თავისთავს მიესადაგება. საზოგადოებრივი ვითარებაცა მოქმედებს სტილზე რალა თქმა უნდა, შეიძლება გაამწვავოს, მოადუნოს შეიძლება, ოღონდ ვერ გარდაქმნის შინაგან ბუნებასა, როგორც ვერ გარდაქმნის ხმასა, რაზედაც არ უნდა ლაპარაკობდეს ადამიანი. სტილი ხმისმიერია, სიმღერისმიერია სტილი. ოპერაში ჰო ყველა თავის ხმაზე მღერის, თუმცა ყველა მათგანი ერთ კონფლიქტშია ჩათრეული?.. კონფლიქტებიც რო შეიცვალოს, ხმები მაინც არ იცვლება, არა?..

არიან მწერლები, ხანგრძლივი ცხოვრება რო არ უწევთ, ანთუ შემოქმედება არ უწევთ ხანგრძლივი, მაშინ სტილის ცვალებადობა ან შეუმჩნეველია, ანთუ მკრთალია, განსაკუთრებული ძიებით თუ გამოირჩევა. ვასილ ბარნოვის სტილი მთელი ცხოვრებაა, ალექსანდრე ყაზბეგისა ეპიზოდია, ერთბაშად შეიქმნა მისი რომანები და ერთ სტილში მოექცა, ალბათ რო სიმწიფის ხანაში მისი სტილისა. ავადმყოფობა რო ცოტა შეგვიანებულიყო, შესაძლოა, რო შემდგომი განვითარებაც ეწერა, ეს უკვე საკითხავია და სავარაუდებელი. ბასილ მელიქიშვილიც ერთი ეპიზოდია, უფრო მცირე მონაკვეთი ერგო ცხოვრებისა, სტილის მცირე მონაკვეთითაც წარმოგვიდგა, მცირედითა, ოღ-

ონდ მეტად მკაფიო, მეტად დამახასიათებელი მონაკვეთითა. ლევან გოთუას უფრო მეტი ხნის სიცოცხლე არგუნა ღმერთმა, მაგრამ შემოქმედების საშუალება ბევრჯერ შეუწყვიტეს, დაიჭირეს, გადაასახლეს, ყოველ დაბრუნებისას იქიდან განაგრძო, სადაც შეაწყვეტინეს, იმავე სტილითა და იმავე უტეხი ნებისყოფითა. შემოქმედებითი ცხოვრება მაინც ხანმოკლე აღმოჩნდა, სტილური ცვალებადობაც არ გახლავთ ისე შესამჩნევი.

ისიც უნდა ითქვას: ავადმყოფობა სტილსაც გადამკრავს, როგორც რო ცოცხალ ორგანიზმსა. ცოტა ავადმყოფურიც დასტყობია ალექსანდრე ყაზბეგის სტილსა. ხოლო უცხოეთშიც თუ გადავიხედავთ, — „ფინეგანის ქელეხში" უკვე მორეულია ავადმყოფობა ჯოისის სტილისა, თუმცა ამას ბევრი ჯოისოლოგი არ იზიარებს, მაგრამ სხვა არის თაყვანისმცემლობა, რეალობა სულ სხვა რამ გახლავთო.

— ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ლიტერატორები ერთხმად აღიარებენ, რომ მწერლობაში უზენაესი შემოქმედებითი საფეხური პოეზიას უკავია და, ამასთანავე, შედარებისათვის დასძენენ — პოეტური სიტყვა გამოხატავს იმასაც, რის გამოსათქმელად პროზა ამაოდ დაშვრებოდაო. როცა ამ მტკიცებას ვისმენ, უმალ უსიტყვოდ ვეთანხმები, მაგრამ ერთგვარი გაჯიბრების მიამიტური (მაგრამ მაინც ადამიანური) წადილი ანტითეტურად განმაწყობს და მგონია, რომ პროზასაც უნდა ჰქონდეს ის იდუმალი რამ, რითაც პოეზიისაგან მიუწვდომელი იქნებოდა...

— ეს ზოგჯერ ჩვეულებრივი პროფესიული დავაა, ზოგჯერ გემოვნების მიერია. გემოვნებაზე არა დაობენო. ხოლო რაც შეეხება პროფესიულ დავას, მიწიერ ვნებებსა, ამაღლებულ პოეზიას არც უნდა გაეკაროს ეგრე ადვილადა, ამაღლებულ პროზასაც არ უნდა გაეკაროს. ამაღლებული ორივე მომხიბლავია, მომხიბლავი მომხიბლავია, იქ აღარ არის გარჩევანი, — მომხიბლავი მომხიბლავია.

ჯერ ლექსით გამოსთქვა ადამიანმა თავისი ტკივილები, გატაცებანი თავისი, აღარ ეყო ლექსი და დრამა მოიშველია, პროზა მოიშველია, — აღარ ეყო, საგულისხმოც ეს გახლავთ, რო აღარ ეყო, აღარ დააკმაყოფილა მხოლოდ ლექსმა, მხოლოდ პოეზიამა, ახალი ფორმები მოიგონა, თავის განცდათა, გატაცებათა, ოცნებათა გამოსათქმელადა, მოიგონა და გამოსთქვა კიდევაცა, გამოსთქვა ყველაფერი, უთქმელი რო აღარ დარჩენია და გამოსთქვა თითქმის თანაბარი სიძლიერითა, როგორც რო ლექსმა, ისე დრამამა, ისე პროზამა. აქ დაჯიბრება თუ გარჩევანი ამაო საქმიანობაა. აქ მხოლოდ თავისი გემოვნების დამოწმება თუ მოუხერხდება თვითეულსა, გემოვნება მისი ნებაა. მე ჩემდათავად არ შევუდგები იმის გარჩევასა: ბაირონი უფრო დიდი მოვლენაა თუ ბალზაკი, არც იმას ჩავეძიები: ბარათაშვილმა უფრო მძაფრადა, მიმზიდველადა თუ ამაღელვებლად გამოჰხატა თავისი ერის ტკივილები თუ ყაზბეგმა, არა, არც ჩავეძიები და არც არავითარი სასარგებლო რამ შედეგი არ მოჰყვება ამგვარ ძიებასა.

— თქვენი ერთი ეტიუდი, რომელსაც გალაკტიონის შესანდობარი უწოდეთ, ლექსადაა დაწერილი, უფრო სწორად, ეს არის ლექსი პროზად. საინტერესოა, ეს პროზაიკოსის პოეტური განცდის რეალიზაციაა თუ ძველი გატაცების გახსენება?

— უფრო ის გახლავთ, რომ თავდაპირველად „ჩემი სოფლის ეტიუდები" გააზრებული იყო, როგორც რომანტიკული დატირება ჩვენი ყოფისა. აქ ლირიზმი სჭარბობდა სიუჟეტების შერჩევაშიცა, ხასიათების გამოხატვაშიცა და სტრიქონსაც გასდევდა ლირიკული შემღერებანი. მერე თანდათან ნათელი გახდა, რო რეალიზმი, ჭეშმარიტი რეალიზმი, იქნებოდა ერთადერთი სწორი მეთოდი, სწორი და შედეგიანი, სოციალისტურ რეალიზმთან დაპირისპირებაში. ამაჩუყებელმა ხასიათებმა და ლირიკულმა შემღერებებმა თანდათან უკან დაიხია თავისთავადა. ზოგჯერ მაინც გამოერეოდა თავდაპირველი განწყობილებანი და ეტიუდი გალაკტიონზეც ამისი შედეგია.

ოღონდ:

ვიცი, ცხადია, ინტერვიუ რო ისეთი ჟანრია, თავისთავზედაც რო მოუწევს საუბარი ადამიანსა, — მაინც სჯობიან, მეტი არ მოგვივიდეს, ითქვას ისე, რო უშუალოდ მე არ შემეხებოდეს, სჯობიან.

— ნება თქვენია ბატონო ოთარ.

მაშ, ზოგადად, ქართულ მწერლობაზე ვისაუბროთ. მითუმეტეს სათქმელ-საფიქრალი ამ საკითხის შესახებ დღეს საკმაოდ დაგროვდა.

ცოტა შორიდან მოვუვლი.

სტენდალი, — რომელიც, როგორც პიროვნება და თავისი ეპოქის შვილი, გულგრილი არ ყოფილა პოლიტიკის მიმართ, —ასეთ რამეს წერს: „პოლიტიკა ქვა არის, რომელიც ყელზე აქვს ჩამოკიდებული ლიტერატურას, იგი სულ რაღაც ექვსიოდე თვეში დაახრჩობს მას. პოლიტიკა ფანტაზიის საქმეების სფეროში იმასვე წარმოადგენს, რასაც დამბაჩის გასროლა შუა კონცერტზე. მისი ხმა შემაშფოთებელია, მაგრამ არაენერგიული: იგი არ ეთანხმება არც ერთი საკრავის ხმას. ეს პოლიტიკა საშინლად შეურაცხყოფს მკითხველთა საზოგადოების ერთ ნახევარს და მოწყენილობას გამოიწვევს მეორეში, რომელმაც თავისი პოლიტიკა, უფრო საგანგებო და ენერგიული, უკვე იპოვა დილის გაზეთში..."

ალბათ მიხვდით, რისი თქმაც მინდა. ჩვენში სამიტინგო ეტიკეტის აუცილებელ ნორმად იქცა ქართული მწერლობის დამუნათება — პოლიტიკური მოძრაობისაგან განზე დგასო, არ ჩაეშვა საზოგადოებრივ ორომტრიალშიო და ა. შ. სამწუხაროდ, მაყვედრებელთა გამოსვლებში გარკვევით არ ჩანს, კონკრეტულად რას ითხოვენ — მწერალი „ბარიკადებზე" დადგეს და მტერს ტალახის გუნდები დაუშინოსო თუ მოვლენათა კომენტატორის ან რუპორის მოვალეობა შეასრულოსო? სხვათა შორის, გასარკვევია მეორე საკითხიც — მწერლობისადმი ასეთი დამოკიდებულება კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ თუ ჩვენს დროში გამწვავებული კულტურის დეფიციტის გამოვლინებად?

— კანონზომიერებისა რა მოგახსენოთ, ოღონდ ჩვენთვის ეს არც მოულოდნელი უნდა ყოფილიყო, არც გასაკვირი.

ჯერ მაინც, რახან რო სტენდალი ახსენეთ, მომაგონდა, ბალზაკი რო იწუნებდა სტენდალის სტილსა. „პარმის სავანით" აღტაცებულიყო ბალზაკი, აღტაცებულიყო ისე, ლამის რო შურდა. ბალზაკსაც რო ვისიმე შეშურდება!.. სიღრმისეულად, სრულყოფილებით განიხილავდა „პარმის სავანესა" და ერთადერთი, რასაც შენიშნავდა, ეს იყო ენობრივ-სტილისტური დაუდევრობა; შენიშნავდა, მიუთითებდა დამახასიათებელ შეცდომებსა და ისურვებდა, ერთხელ რო კიდევ გადაეწერა ეს რომანი ავტორსა. მაგრამ უამისოდაცაო, განცდის სიღრმე და აზრის სიდიადე ყველაფერს გვავიწყებსო. სტილის ამოსავალიც სწორედ ეს გახლავთ, განცდა და აზრი, გამოთქმის ფორმაც სტილისეულია რაღა თქმა უნდა, რო არ გაირჩევა თუ რომელია აქ უმთავრესი, მაგრამ შესაძლოა, გამოთქმის ნაკლი, მცირედი ნაკლი რაღა თქმა უნდა, მცირედი, მცირედი, განცდამ გადაჰფაროს, აზრმა გადაჰფაროს, ხოლო გრამატიკული დახვეწილობაც ვერაფერს უშველის განცდის უმწეობასა, სილატაკესა აზრისასა, ვერაფერს უშველის, ვერ იხსნის, ცხადია. სრულყოფილება ყველაფერსა სჯობს, მაგრამ თუ გრამატიკას ცოტა დაუდევრად მოეკიდები, — გრამატიკაო, ასე წერს ბალზაკი, — სტენდალი მაინც უნდა იყვე, ყაზბეგი მაინც უნდა იყვე.

რაც შეეხება სტენდალის ამ ციტატასა, აქ ცოტა რამ განსამარტებელი უნდა იყოს.

სტენდალი თვითონ გახლდათ თავისი დროის ერთერთი მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკური მოაზროვნე. ცნობილია მისი ბონაპარტისტული შეხედულებანი და ეს იდეა უფრო მძაფრად თუ უფრო სრულყოფილად სხვას არც არავის გამოუხატავს ფრანგულ ლიტერატურაში. თვით ბალზაკიც იდეურ მწერალთა კატეგორიას მიაკუთვნებს სტენდალსა და მის გმირსაც, ფაბრიციოს, თანამედროვე ახალგაზრდად, თანადროული დესპოტიზმის წინააღმდეგ ამხედრებულ პიროვნებად მიიჩნევს. ეს ასეც არის და ეს სხვა არაფერია თუ არა პოლიტიკა მხატვრულ ლიტერატურაში, ოღონდ ეს პოლიტიკაა თუ იდეური თვალსაზრისი, მაღალმხატვრული ოსტატობით უნდა განსახიერდეს, ამ შემთხვევაში სწორედაც „პარმის სავანის" ოსტატობითა და არა ისე, გაზეთები როგორც წარმოგვიდგენენ. გაზეთსაც ჰო სტენდალი ახსენებს?

— დიახ, დილის გაზეთს.

— საღამოსიც იგივე იქნება,— გახიე, გაფხრიწე, — იგივეაო. და აქ საგულისხმო სწორედ ისაა, მწერლის იდეა, მწერლის პოლიტიკა რო არ შეიძლება გაზეთის პოლიტიკასავით ცვალებადი იყოს. გაზეთი შეიძლება ყოველდღე იცვლიდეს შეხედულებებსა, დღეს იმას უარჰყოფდეს, რასაც გუშინ იცავდა, ხვალ იმას ამტკიცებდეს, რასაც დღეს უარჰყოფს. მწერალი სხვაა, მწერლის იდეა და პოლიტიკა თითქმის იგივეა: გმირია მისი პოლიტიკა, მისი იდეის სახეობა, ისევე მტკიცეა, მართალი და ზნეობრივად წმინდა, ამაღლებული, როგორიც იდეა გახლავთ. იდეები ყოველთვის მიმზიდველია სწორედ რო სიმართლითა და სიწმინდითა, იდეები თეორიაში, განხორციელებისას რო ჰკარგავენ სიმართლესაცა და სიწმინდესაცა. გაზეთი ოფიციოზია, გაზეთი ხელისუფლების რუპორია, გაზეთმა უნდა ამტკიცოს, თითქოს იდეები არაფერს არა ჰკარგავენ ხელისუფლების ხელშია. ამისი მტკიცება არც ისე ადვილია, როგორც რო ხელისუფლებისათვის არ არის ადვილი, მოარიგოს საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი. და აქ იწყება თამაში, აქ იწყება წმინდა პოლიტიკა, უფრო სწორად: უწმინდური პოლიტიკა. და ეთიშება ერთიმეორესა პოლიტიკა პოლიტიკასა ლიტერატურაში, საზოგადოების მართვაში. სტენდალი აქ სწორედ ამასა გულისხმობს, — პოლიტიკას საზოგადოების მართვაში: სიცრუესა, ღალატსა, დაშინებასა, მოსყიდვასა და სხვა და სხვა მსგავს ხერხებსა და საშუალებებსა ხელისუფლების შესანარჩუნებლადა.

გეხსომებათ: სტალინის ქალიშვილი რო წერს, — მამაჩემს ჩემი საქმრო რო გავაცანიო, პირველადვე ესა ჰკითხაო, რა საქმიანობას ეწევიო. ფიზიკოსი გახლავართო. კარგიაო, მოუწონა მამაჩემმაო, კარგია, რო პოლიტიკას არ გაჰყოლიხართ, პოლიტიკა ბილწი საქმეაო. აი, ესაა: სწორედ რო სიბილწე არ უნდა შეიჭრას ლიტერატურაში, თორემ ისე მწერალი თავისი დროის შვილია, თავისი დროის მოწინავე შვილთაგანია, და არ შეიძლება რო არ დაუპირისპირდეს სიბილწესა და მისი პოლიტიკაც ეს გახლავთ, ანთუ ვერ ასცდება პოლიტიკასა, ვერა, ვერ ასცდება, უკიდურესი მოდერნისტიც რო იყვეს.

ვერ ასცდება.

და ვერ ასცდებოდა მითუმეტეს ჩვენში ამ შემზარავ, ამ სიგიჟისა და უხამსობის სახელმწიფოებრივ რეჟიმში, რაც რო დაუდგა საქართველოსა 21 წლის შემდგომა. არ შეიძლებოდა წინააღმდეგობის გარეშე დარჩენილიყო ეს საშინელი რეჟიმი. წინააღმდეგობის გარეშე განადგურდებოდა ადამიანი, ერი აქამდის განადგურდებოდა. წინააღმდეგობის ყოველგვარი საშუალება, ლეგალური საშუალება ჩაკვდა, ჩაიხშო, განიადაგდა, ანთუ უფრო ნათლად რო ითქვას: ჩაახშეს, ჩაჰკლეს, გაანიადაგეს. მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას შეეძლო შეეფარებინა წინააღმდეგობის მრწამსი და კიდევაც შეიფარა, კიდევაც გადაარჩინა და დიდი ბრძოლით, მართლაც რო დიდი, უთანასწორო ბრძოლით გადაარჩინა და დღევანდლამდის მოიტანა. ნომენკლატურული კრიტიკა უპირისპირდებოდა სწორედ ამ მრწამსსა და ცენზურას რაც გადაურჩებოდა, კრიტიკას გამოჰქონდა საამკარაოზე. მისი მიზანი სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა ერთგული სამსახური ხელისუფლებისა, — ნომენკლატურული კრიტიკა, — თუ არა დასმენა მწერლობისა, მაგრამ უნებლიედ სხვა შედეგიც მოსდევდა ამ დასმენასა: მხატვრულ სახეებში შეფარებული მრწამსი საცნაური ხდებოდა ხალხისათვისა, საყოველთაოდ საცნაური ხდებოდა. ხელისუფლებას ეს აღარ მოსწონდა. ხელისუფლება უკიჟინებდა კრიტიკასა, ჩამორჩენას უკიჟინებდა, უწყრებოდა, ჰკიცხავდა, ძირეულ გარდაქმნას მოითხოვდა კრიტიკისა, დადგენილებას დადგენილებაზე გამოსცემდა. კრიტიკის ასამაღლებლადაო, ასე ბრძანებდნენ. კრიტიკის გარდა სხვა ჟანრი არცა სწამდა ლიტერატურაში, ხელისუფლებასა რაღა თქმა უნდა.

ხრუშჩოვს, თავის ცნობილ შეხვედრებში ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, ერთხელ წამოსცდა: ყველაზე ჰქვიანური იქნება, ლიტერატურა საერთოდ რო არ არსებობდესო. შეიძლება რო აეკრძალა კიდევაცა, ცოტაც რო დასცლოდა. მწერლობა ხელს უშლიდა ხელისუფლებასა, მაინც უშლიდა ხელსა თუნდაც ისეთ ყოვლად უუფლებო პირობებში, კომუნისტურმა რეჟიმმა რო დაამყარა. მწერლობა უშლიდა ხელსა, მწერლობამეთქი. ხელისუფლებას ჰყავდა ნომენკლატურული მწერლებიცა, —კრიტიკოსები ნომენკლატურული, მწერლები ნომენკლატურული, —მაგრამ მე მხოლოდ მწერლობაზე ვლაპარაკობ, მწერლებზე ვლაპარაკობ, ვისიცა სწამდა ხალხსა და, როგორც თქვენ ბრძანებთ, ვისაც რო მოითხოვდა ხალხი მიტინგებზედა; მოითხოვდა, უნდოდა ტრიბუნაზეც ისინი ეხილა, ვისაც რო უსმენდა მანამდისა, კითხულობდა და უსმენდა, უსმენდა და უგებდა, უხვდებოდა, ახლა უნდოდა პირდაპირ მოესმინა, მოესმინა მათივე ბაგეთაგანა. ტრიბუნაზე უმთავრესად ჯერ უცნობი ადამიანები იდგნენ, უმთავრესადმეთქი, ჯერ არ შესჩვეოდნენ და შეჩვეულები ერჩივნათ. მაგრამ შეიძლება რო მწერალი ტრიბუნი არ იყოს, სჯობიან, რო იყოს, რაღა თქმა უნდა, ოღონდ ისიც შეიძლება, ტრიბუნიც იყოს და მაინც არ მიმართოს ტრიბუნასა: ტრიბუნა ტრიბუნის საქმეა, იმათი საქმეა, ვინც უნდა გაუძღვეს ხალხსა, უკვე შემზადებულ ხალხსა, ბრძოლისათვის შემზადებულ ხალხსა, ეს შემზადება მწერლობის საქმე გახლდათ, მწერლობამ შეასრულა თავისი მოვალეობა. ნომენკლატურულ კრიტიკას არ ძალუძდა გაგება ამისა და ვერც გაიგებს. ახალგაზრდობა შეისწავლის ჩვენს ლიტერატურას 21-დან დღემდისა და ამ დასკვნამდე მივა. ხალხიც უკვე აღარ უხმობს მწერლებსა ტრიბუნაზე. და არც უნდა გაგვიკვირდესმეთქი, არც რო ის ჟინიანი ხმობა, არც ეს შემწყნარებლური დამოკიდებულება მწერლობისადმი.

ერთ გარემოებასაც მივაქცევ თქვენს ყურადღებას:

იმ მოწოდებაში, სად არიან მწერლებიო, ორნაირი კილო გაისმოდა: ერთი, დრამატიული, მოგვხედეთო; მეორე, ირონიული, სად მიმალულხართო; პირველი მწერლობას შეეხებოდა, მეორე ნომენკლატურულ მწერლებსა, მანამდის რო იდგნენ საზეიმო ტრიბუნებზედა, რო ეცილებოდნენ ერთიმეორესა, არა მე უფრო მეტი ბრწყინვალებით გამოვჩნდე, არა მე უფრო მეტითაო. აი, ამათ შეეხებოდა. ხოლო მწერლობა ყოველთვის იქ გახლდათ და იქვე იქნება, სადაც უნდა იყვეს, ხალხთან იყო და ხალხთან იქნება, პირველი მგრძნობელი ხალხის ტკივილისა, ერის ტკივილისა და პირველი გამომთქმელი, უღალატო, უანგარო, ალალი, მართალი, იქ იყო, იქ არის და იქ იქნება. ოღონდ: პირველი გამომთქმელიო, რო ვამბობ, არ გეგონოთ, რო თქვენს მიერ დასახელებულ „სწრაფი რეაგირების მწერლებსა" ვგულისხმობდე, არა, ბატონო ჩემო: ამ მძაფრი მოვლენების მხატვრული ანალიზი არც ისე იოლია, ჯერ არც არაფერი არ დამთავრებულა, სიუჟეტს დასასრული უნდა, უსიუჟეტო ნაწარმოები არც არსებობს, რას იზამ, მწერლობა მწერლობაა, ლიტერატურას თავისი კანონები აქვს.

ნუ შეეცდებით დამისახელოთ უსიუჟეტო ნაწარმოები. მე ავანგარდულ ქმნილებებშიც ვარჩევ სიუჟეტსა.

— ალბათ მწერლის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ერთი გაბმული დიალოგია ორსახოვან წუთისოფელთან; მწერლის ყოველი ნაწარმოები — ამ საუბრის ნაწყვეტები — თითქოს გამოხატავს ავტორის შინაგან მიმართებას ცხოვრებისადმი, მაგრამ... მაინც მინდა ვკითხო ბატონ ოთარ ჩხეიძეს: მწერლის თვალით დანახული ცხოვრება ბედნიერების სადგურია თუ, როგორც ბარათაშვილი იტყოდა, ფუჭია და მხოლოდ ამაოება?

— მოკლედ პასუხი აქ არ ივარგებს. ვერ გავექცევით აქ დიდ რბევასა, ლექსთა გრძელთა თქმა და ხევას ვერ გავექცევით. ბარათაშვილსაც ადვილად ვეღარ ავუვლით გვერდსა. ბარათაშვილი დღევანდელი მოვლენაა. დღევანდელი ახალგაზრდობაა ბარათაშვილი, დღევანდელი რომანის თემაა. დღევანდელიო, ვამბობ: იმ დღიდან აქამომდე სულ დღევანდელია. ბევრი რამაა აქ სათქმელი. და ნუ ვისარგებლებთ მკითხველის მოთმინებითა თუ ამ საუბრის დაბეჭდვას აპირებთ თქვენს გაზეთშია. გაზეთი ვრცელ წერილებს ვერ იტანს, საზღვარი აქვს მკითხველის ამტანობასაცა. საუბარს კიდევ მოვესწრებით. მეც საქმეს მივხედავ. საქმე ბევრია და მოკლეა წუთისოფელიო...

1990 წლის ნოემბერი.



ზურაბ დათუაშვილის ფოტო

# პრესა — ჩვენი მემატიანე

## მწყემსი

### ახალი ამბებიდან

ორშაბათს, ნ მარიამობისთვეს, ჯავის ხეობაში დაუჭრიათ მღვდელი გრიგოლ ხანაყაშვილი. მღვდელი მოდენილა ცხენით და თან ორი-სამი კაცი ჰყოლია. ლიახვის ნაპირზე ტყეში დამალული ყოფილა რამდენიმე კაცი. ერთბაშად ერთსა და იმავე დროს ორი თოფი გავარდნილა, მაგრამ ჯერჯერობით მღვდელს არაფერი არ უგრძვნია, მხოლოდ მიმხვდარა, რომ აქ ან ჩემი მტრები უნდა იყვნენ, ან ავაზაკნი, და უკან დაბრუნებულა. მხოლოდ რამდენსამე ხნის შემდეგ მღვდელს შეუმჩნევია, რომ ხელში ტყვია მოხვედროდა და ჭრილობიდან სისხლი სდიოდა. შეუტყობინებიათ გამომძიებლისათვის და მღვდელი ცხინვალის ქსენონში წაუყვანიათ. ამ საქმის შესახებ გამოძიება სწარმოებს.

ჟურნ. „მწყემსი“, № 16, 1891 წელი.

### ფინლიანდიის ამბავი

ოთხმოცდაათის წლის წინად რუსეთმა შეიძინა ორი ახალი პატარა სახელმწიფო: ერთი იყო სამთავრო ფინლიანდია და მეორე — საქართველო. მახუკან ამ ორი ქვეყნის ბედი სულ სხვადასხვანაირად დატრიალდა. საქართველოში იმ თავიდგანვე დამკვიდრდა ისეთი მართვა-გამგეობა, როგორიც რუსეთში არსებობდა, ხოლო ფინლიანდიის საქმე სულ სხვანაირად წავიდა. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა სრული თვითმმართველობა მიანიჭა ფინებს.

მთელი ოთხმოცი წელიწადი... ფინლიანდიას არავინ აწუხებდა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს შავის ნისლით მოიბურა ამ სამთავროს ცა და არავინ იცის, მალე გადიყრება ბურუსი, თუ შავ ღრუბლად გადიქცევა. ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ ეხლა ფინები დიდად შეწუხებულნი არიანო. ერის მწუხარებასა და გლოვას საზღვარი არა აქვსო. ფინლიანდიის მკვიდრი ჰგლოვობს თავის ქვეყნის ბედსაო. მაგრამ განა რა მოხდა ისეთი, რა დაემართა ქვეყანას, რომ ძალიან იმოხება?

მოგეხსენებათ, დღეს ის აზრი დატრიალდა, რომ ფინლიანდიაშიც ისეთივე წესწყობილება არსებობდეს, როგორიც მთელს იმპერიაში არსებობსო. აი ეს არის მიზეზი, რომ ფინები ასე გულჩათუთქულები და გულდაწყვეტილები არიან.

მთელი ერიო, ამბობს ფინლიანდიური გაზეთი, დიდიდგან დაწყებული პატარამდის გულის ჩქროლვით უყურებს თავის ქვეყნის ეხლანდელს გამწვავებულს ყოფას და გულის ჩქროლვითვე მოელის ხვალინდელს დღესაო.

ჩვენ ჩვენის მხრით ვისურვოთ, ფინებს არ გაუმართლდეთ ის შიში, რომ ვითომც მათს სამშობლოს რაიმე საფრთხე მოელის.

**ა. ფრონელი**

გაზ. „ივერია“, 1891 წლის 10 თებერვალი.

## ივერია

---

## ცხოვრება

### სახელმწიფო დუმა

9 თებერვალს, დილის ორ საათზე პეტროგრადში სახელმწიფო დუმა შეიკრიბა და კრების გახსნას დაესწრო თვით ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

ხელმწიფის ბრძანების შემდეგ, დეპუტატებს სიტყვა უთხრა სახ. დუმის თავმჯდომარემ როძიანკომ. შემდეგ სიტყვას ამბობს მინისტრთა საბჭოს „ახალი“ თავმჯდომარე შტიურმერი. აი, რას ამბობს „ახალი“ პრემიერის დეკლარაცია: „ომმა იფეთქა მაშინ, როცა რუსეთი შინაური ცხოვრების გარდაქმნას შეუდგა, რაიცა ძთავრობისგან განსაკუთრებულ სიფრთხილეს ითხოვდა.

დღეს შინაური პოლიტიკური ცხოვრების გაოდაქნის დიდი საჭიროებაა წამოყენებული, სახელმწიფო დუმის დეპუტატებიც ამაზე ფიქრობენ და ბჭობენ და „ახალი“ პრემიერის დეკლარაციაც ამის გარშემო ტრიალებს.

აქ რიგათ, პრემიერი შტიურმერი პროგრესიული ბლოკის წინააღმდეგ ილაშქრებს. იგი ისევ ძველ პოლიტიკის გაძღოლას აპირებს და შინაურ რეფორმებზე ფიქრი ფუჭი ოცნებაა.

ასეთი სიტყვები ჩვენთვის არ ახალია, ძველია.

რუსეთიც, რა თქმა უნდა, „გაყუმდება“, სანამ მაღლიდან რასმე არ უწყალობებენ.

**ჟურნ. „ცხოვრება“, № 4 (15 თებერვალი), 1916 წელი.**

### „ცისფერი ყანწებით“

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ხდება უკანასკნელი ტეხილი ქართული პოლიტიკური ცხოვრების, რომელმაც განსაზღვრა ძთელი შემდეგი ყოფხა. ,საქართველომ დაკარგა თავისი სახე, როგორც სახელმწიფომ. ამ დღიდან ყოველი დღე თითო ლურსმანს უმატებს მის კუბოს. თახდათან მტკიცდება რუსეთის გავლენა ქართულ სამოქალაქო ცხოვრებაზე. ძველი ქართული სული, ჯერ მძლავრობს, მაგრამ აღდგომის მაგიერ იფერფლება...

საზოგადოებრივი და ხელოვნების კრიზისი ერთმანეთს გადაეწნა. რუსულ გავლენამ ქნა ის, რომ შეიქმნა ყიზილბაშური თეორია, სადაც მტკიცდებოდა რუსეთის კულტურტრეგერობა საქართველოში და სრულიად შემთხვევითი არ იყო, რომ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის დაცემის საკითხი რევოლიუციის მეორე დღეს დაისვა. ბევრი რამ ითქვა მაშინ ამის მიზეზად, უმთავრესისათვის, რასაკვირველია, ყურადღება არ მიუქცევიათ...

უნდა მოხდეს ეროვნული აღდგომა. მაგრამ აღდგომა არი ორნაირი — ელლინიზმზე ამდგარი ახალი საბერძნეთი სიკვდილზე უარესია, საქართველოს ყოველთვის ერჩია ცოცხალ ძაღლს მკვდარი ლომი და ამიტომ საქართველოს ეროვნული აღდგომა უნდა იქნეს აღდგომა ლომის ძველი ქართული იდეით.

**ტიტე ტაბიძე**

ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, № 2, 1916 წელი

---

## ჩვენი თაობა

### შენიშვნები ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზე

ხშირია ასეთი შემთხვევები: ახალგაზრდა პოეტები, სწერენ რა თანამედროვეობაზე, პირდაპირ არ უდგებიან საკითხს. ისინი ირჩევენ აღებული თემისადმი გარშემოვლას: ლაპარაკობენ სულ სხვა ამბებზე და ბოლოს, ერთი-ორი სიტყვით მოიხსენიებენ ნაწარმოების მთავარ მოტივს... მარგიანს უნდა დაეწეროს ამხანაგ სტალინზე, მაგრამ იმის მაგიერ, პირდაპირ მიუდგეს აღებულ თემას, ჯერ გველაპარაკება სულ სხვა ამბებზე და ბოლო სტროფში ვგებულობთ, რომ: „ლილე“ ჩეგემის დილას კი არ უნდა ვუთხრათ, არამედ: „ბედნიერ ხალხთა საყვარელ მნათობს“.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეს ლექსი დაწერილია რევაზ მარგიანისათვის ჩვეული უშუალობით, მაგრამ როგორც ნიმუში, ამ „შემოვლითი“ ხასიათის ნაწარმოებებისა, აუცილებლად საგულისხმოა. მე არა ვარ წინააღმდეგი ამ ხერხით წერისა... გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ახალგაზრდა პოეტები, იძლევიან რა უმიზნო, ჭარბად სენტიმენტალური განწყობილების ლექსებს, ბოლო სტრიქონებში ცდილობენ ერთგვარად გაათანადროულონ ნაწარმოები. ეს გათანადროულება გამოდის მეტად უხერხული და სტოვებს ყალბ შთაბეჭდილებას.

**გაბრიელ ჯაბუშანური,**

ჟურნ. „ჩვენი თაობა“, № 2-3, 1941 წელი.

### კომკავშირული კროსი

კროსი, რომელიც ხვალ იწყება, მუშურ-გლეხური წითელი არმიის XXIII წლისთავის სახელობისაა, არმიისა, რომელიც წარმოადგენს გმირობისა და სიმამაცის, ძალისა და უძლეველობის, ფიზიკური ამტანობისა და ურყევი ნებისყოფის სიმბოლოს.

სოციალისტური სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდათაწმინდა მოვალეობაა. მხოლოდ მუდმივი და შეუპოვარი მზადებით შეგვიძლია შევიტანოთ წვლილი ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცების საქმეში. ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა ამ მხრივ უდიდესი როლი უნდა შეასრულოს, რათა მოამზადოს ახალგაზრდობა თანამედროვე ომის პირობებთან შეფარდებით. ხოლო როგორია თანამედროვე ომი? მეტად რთულია, იგი მოითხოვს მეომრის ფიზიკურ გამობრძმედილობას ყოველგვარ ამინდში, ყოველგვარ ადგილმდებარეობაში, ზღვაზე და ხმელეთზე, ჰაერსა და მთაში, სულისშემხუთველ სიცხესა და 40-გრადუსიან ყინვაში...

დე ამ ღონისძიებამ განამტკიცოს ჩვენი ძალა და ნებისყოფა. თანმიმდევრულად, შეუპოვრად ვაკაჟებდეთ სულსა და სხეულს, რათა საჭიროების დროს რისხვად დავატყდეთ მტერს.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1941 წლის 1 თებერვალი.

## ახალგაზრდა კომუნისტი

---

## ლიტერატურული საქართველო

### მხატვრულ თვითმოქმედებას მეტი დახმარება

ჩვენი საუკუნე უდიდეს გარდაქმნათა საუკუნეა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაწყებული ახალი ერა კაცობრიობის განვითარების ისტორიისა, სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ღრმავდება. სოციალისტური სისტემის უპირატესობა ახლა საყოველთაოდ ცხადი გახდა და საბჭოთა კავშირის მიერ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე მოპოვებული მიღწევები მთელი მოწინავე კაცობრიობის ყურადღებას იქცევს. კომუნისტური პარტიის მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების წყალობით შეიქმნა ყველა პირობა იმისათვის, რომ რაც შეიძლება უკეთ მოვემსახუროთ ხალხს, კიდევ უფრო ავამაღლოთ მშრომელი მასების კულტურული დონე...

მხატვრული თვითმოქმედების წინაშე, ქართველ მსახიობებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან ერთად, ქართველი მწერლებიც დიდ ვალში არიან. გარდა იმისა, რომ კლუბებთან არსებული ლიტერატურული წრეები მწერალთა დახმარებას ვერ გრძნობენ, სახალხო თეატრები და დრამწრეებიც საჭირო რეპერტუარის ნამდვილ შიმშილს განიცდიან. ძალიან ცოტა გვაქვს იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი მცირე ფორმის დრამატული ნაწარმოებები საბჭოთა ადამიანების სასახელო შრომასა და გმირულ ბრძოლებზე,

**გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966 წლის 4 თებერვალი**

### ...მოსწავლეთა აღზრდისათვის

მესამე კლასელი მოსწავლეები, როგორც ვიცით, უკვე ისეთ ასაკში არიან, რომ მათ ფსიქიკაზე ძლიერ გავლენას ახდენს ემოციური სახეები, აქვთ ლტოლვა ემოციური განცდებისადმი, ისინი გატაცებით უსმენენ საუბრებს პატრიოტიზმსა და ხალხთა მეგობრობის თემებზე, სამშობლოზე, კომუნისტურ პარტიაზე.

გაკვეთილებზე ბავშვებმა გაიგეს, რომ საბჭოთა კავშირში მრავალი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს და, თუმცა მათი ენა, ადათწესები სხვადასხვაა, მათ შორის არ არის შური და მტრობა.

ბავშვებში პატრიოტულ გრძნობას აღვივებს რევოლუციამდელი ყოფის ამსახველი ნაწარმოებების შესწავლაც, სადაც ლაპარაკია მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშებისა და გლეხების ბრძოლაზე.

ცოტნე დადიანზე, გიორგი სააკაძეზე, ერეკლე მეორეზე, მაია წყნეთელზე, ცხრა ძმა ხერხეულიძესა და სხვა გმირებზე საუბრის დროს ყოველთვის შთავაგონებ ბავშვებს, რომ მამაცობისა და სამშობლოსათვის თავდადების გრძნობით ისინი საქართველოს, ქართველი ხალხის დიდმა სიყვარულმა აღჭურვა, სამშობლოს სიყვარული კი ყველა გრძნობაზე უფრო ძლიერია.

საბჭოთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა სკოლას აკისრია. დაწყებითი კლასები ის ბაზაა, სადაც საძირკველი ეყრება ამ სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდას. ამიტომ დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა ყველა საშუალება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მოსწავლეებში პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი და კეთილშობილური გრძნობების მტკიცედ დასანერგავად.

**მ. დემეტრაშვილი, მასწავლებელი,**

**გაზ. „სახალხო განათლება“, 1966 წლის 9 თებერვალი.**

## სახალხო განათლება

---

## კომუნისტი

### მთებთან ჭიდილში

კავკასიონზე ნანატრი საშვილიშვილო გზა გამყავთ. ეს მთელ კავშირში უნიკალური საუღელტეხილო საავტომობილო გზა იქნება. საქართველო ჩრდილოეთ კავკასიას დაუკავშირდება უმოკლესი გზით, რომელიც ზამთარ-ზაფხულ ღია იქნება, არც ზვავები ჩახერგავს და არც მეწყერები... ყველაფერი მეცნიერულად არის გათვალისწინებული, ჩაფიქრებული და დასაბუთებული.

სამხრეთისა და ჩრდილოეთ უბნების მშენებლები ინტენსიურად მუშაობენ გზის გაყვანაზე.

აქ თანამედროვე ტექნიკას კარგად დაუფლებული ჩაფხუტიანი ლომგულა ვაჟკაცები ეჭიდებიან მთებს. ჩაბურღვა, აფეთქება, გაწმენდა, გამაგრება, ისევ აფეთქება... ბორგავს როკის მაღალი მთა, წინ, სულ წინ მიიწევენ გვირაბგამყვანები. დიდი საქმე კეთდება და ნათელი მიზანი ულევ ენერგიას შობს.

**ბ. თედეევი,**

გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 7 თებერვალი.

### წინ, — მოგვიწოდებს მშობლიური ოცდამეექვსე

... 1981 წლის იანვრის 22, 23 და 24 ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართველი ხალხის ისტორიაში, საქართველოს კომუნისტური პარტიის გმირულ მატიანეში — ამ სამი დღის მანძილზე გრძელდებოდა ყრილობა.

ორიოდე კვირა გავიდა ყრილობის დიდი წარმატებით დამთავრების შემდეგ და... ახალი სასიხარულო ამბავი გვეუწყა მოსკოვიდან: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ... მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის... გამარჯვებულად ცნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და დააჯილდოვეს გარდამავალი წითელი დროშით.

ზედიზედ მერვედ — საკავშირო დროშა.

აი ღირსეული დაფასება რესპუბლიკის მშრომელთა გმირული, თავდადებული შრომისა!

ეს მოკლე რეპორტაჟი ყრილობის დარბაზიდან გვსურს დავამთავროთ სტრიქონებით ამავე ყრილობის შთაგონებით დაწერილი ლექსიდან:

**რა დიდებულად დაგვირგვინდა ოცდამეექვსე! მზის შუქად უნდა გექცეს, ძმაო, მელექსევ, რომ ღირსეულთა, გულმართალთა, მეოცნებეთა, ქვეყანას ამცნო რესპუბლიკის მკერდგაშლილობა და სიამაყე, ყველა ჩვენგანს რომ დაებედა... — წინ! — მოგვიწოდებს მშობლიური ოცდამეექვსე, შენ კი ამ გულმა დაგავალა, ძმაო მელექსევ, მათ გაატანო მეგობრული სიტყვა ნათელი, ვინც დედამიწაზე უპატაკებს ჩვენი სახელით და იამაყონ, ვით ამაყობს ყველა ქართველი, ამ ერთადყოფნით, ამაღლებით და განახლებით.**

ჟურნ. „დროშა“, 1981 წლის თებერვალი, რედაქტორის (ხ. ბერულავას) გვერდი.

## დროშა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ბადათერ არაბული

●

ბურუსოვანო სივრცეებო,
მაგ ნისლის კალთებს
გამთენიისას შუქით ვინ რთავს?
თეთრად ვინ ანთებს?..

ვინ აფერადებს ცის აღსავალს
ალისფრად, წითლად,
ანდა ველ-მინდვრებს
ათასფერი ფერებით ვინ რთავს?

მერე ვარსკვლავთა
მკრთალი შუქის სხივით მკობელი,
ვინ ფენს ზეციდან
მოფრიალე ღამის გობელენს?..

ბურუსოვანო სივრცეებო,
მაგ ნისლის კალთებს
გამთენიისას შუქით ვინ რთავს?
თეთრად ვინ ანთებს?..

### ბაბილონი ანუ რუსეთის იმპერიის აღსასრული

უკვე ბიბინებს დილა სისხამი
გადაპენტილი მკრთალი ნისლებით;
სხვათა გამრიგე
და გამკითხავი
სიმშვიდეს უკვე ვერ ეღირსები...

ცა ღუის,
როგორც მამლის ბიბილო,
სულს ლაფავს ღამე
მზის სხივს უჩვევი, —
დაბზარული გაქვს უკვე, ბაბილონ,
სისხლით ნაგები გოდოლ-ბურჯები...

დღეს შენი ენა
არვის არ ესმის —
შურისძიების ხე ნაყოფს ისხამს;
სად გაექცევი მახვილს ალესილს,
ანდა ამ ხალხის
ზიზღსა და რისხვას...

სივრცე — უსაზღვრო,
ცა — უნაპირო
უნდა გზარავდეს
და უნდა გძულდეს;
დამხობა გელის, ვაი, ბაბილონ,
ცრემლის, წუხილის და ცოდვის
ბუდეს...

### სად მიხვალ, ქარო...

სად მიხვალ, ქარო,
ამ ნისლიან მთების გადავლით?
საითკენ გიხმობს ელვის შოლტით
ღამის ავდარი?..
იქ ვინ მიგელის,
იმ შორეულ ცათა გადაღმა?
ან ვინ დაგხვდება
იმ სივრცეში, როცა გადახვალ?..
სად თოვლიანი
მწვერვალები წამომართულან,
ვინ გელოდება?
ვინ გაგიშლის ბინდის სასთუმალს?
ან სად ტრამალთა
იდუმალი ელავს სინათლე,
ვინ შეგიფარებს უკვე დაღლილს?
ვინ მოგინატრებს?..
ვინ დაგიამებს
სულს და სხეულს ქვებზე
დაფლეთილს?
თქვი, ვის მოუხმობ
მაგ ბუკებით და დაფდაფებით?..
. . .
სად მიხვალ, ქარო,
ამ ნისლიან მთების გადავლით?
საითკენ გიხმობს ელვის შოლტით
ღამის ავდარი?..

●

ჯერ კიდევ დაჰკრავს
უცხო სიმწვანე
მთებს,
დაკიდებულს ცაზე ზარებად,
მეც ისევ აქ ვარ,
ვერ მოვიცალე
სხვა სამყაროში გასამგზავრებლად...
მე ისევ აქ ვარ,
ჩემი სხეული
გარს შემომავლეს,
როგორც გალია
და ამ სხეულში გამომწყვდეული
გაქცევას ვცდილობ
დიდი ხანია...
მეც თქვენთან ერთად
ვნაღვლობ, ვიცინი,
დღითა და ღამით
ცის გახსნას ვუმზერ
და ვარსკვლავების
მკრთალი სიცივე
ნიაღვარივით გადამდის გულზე...
ჯერ ისევ მიყვარს
მიყვარდა ვინც კი
და იგივე მძულს,
ვინც ადრე მძულდა,
თქვენც კვლავ გძულვართ
ან გიყვარვართ, ვიცი,
და ჩვენ ერთმანეთს ვიხსენებთ
მუდამ.
მთებს კი კვლავ დაჰკრავს
უცხო სიმწვანე.
მთებს,
დაკიდებულს ცაზე ზარებად,
მეც ისევ აქ ვარ,
ვერ მოვიცალე
სხვა სამყაროში გასამგზავრებლად...

●

გატყდა ცის პირი, —
თითქოს ზეციდან
შემოფრთხიალდა ათასი მტრედი...
. . .
და მთა-გორები
სხივთა ფუნჯებით
კვლავ აფერადდნენ უცხო ფერებად...
ო, სიყვარულო, რამ დაგამუნჯა,
ცრემლთა დენამ თუ ბედნიერებამ?!.

●

არეულია კეთილ-ბოროტი
გაუტანლობით, შურით, ღალატით, —
ვეღარ ვიცხოვრებთ,
როგორც ვცხოვრობდით,
ვეღარ დავმალავთ,
რასაც ვმალავდით...
დღევანდელ დღისთვის
პასუხს ვინ აგებს?
ან მომავლისგან
მაინც რას ველით?
დაცემულია ციხე-სიმაგრე
და მეციხოვნეც — უკანასკნელი...
არც გამკითხავი
და არც გამგები
დიდი ხანია არავინ არ ჩანს,
ჩვენი კოშკები, ბროლით ნაგები,
წითელკუდიან ეშმაკებს დარჩა...
. . .
უელავს ღამეს მთვარის ნისკარტი,
ცა გადაშლილა
ულურჯეს მინდვრად,
მე კვლავ მიყვარხარ,
როგორც მიყვარდი,
ასე დიადი და ასე წმინდა...

### იესო

ზეცა გრგვინავს
და მიწა ზანზარებს
და კვლავ ეშვება
მთებზე ავდარი;
მიდის იესო ისევ ნაზარეთს
ჩვენთვის ჯვარცმული
და კვლავ აღმდგარი...
დაბზარულია სივრცის კედლები
და სივრცის იქით
მოჩანს სხვა ხედი,
შორს კი, ნისლებში,
ელავს ბეთლემი,
როგორც სამყაროს გადასახედი...
გადაჰკრავს რიჟრაჟს
ფერი იოდის,
ღამე დაიმსხვრა
და დაიბზარა
და თვით იუდა ისკარიოტელს
თავის ღალატი
თვითონვე ზარავს...
მიდის იესო
და მრევლი მისდევს,
ციდან მოისმის
გუგუნი ზარის,
ისევ ბრუნდება ნატანჯი ქრისტე,
ო, გიხაროდენ, იერუსალიმ!..
. . .
ზეცა გრგვინავს
და მიწა ზანზარებს
და კვლავ ეშვება
მთებზე ავდარი;
მიდის იესო ისევ ნაზარეთს
ჩვენთვის ჯვარცმული
და კვლავ აღმდგარი...

## ისაკ მეგრელიშვილი

ისაკ მეგრელიშვილი ამჟამად დასავლეთ ბერლინში ცხოვრობს. იგი საქართველოში დაიბადა. სამშობლო, მოგეხსენებათ, ადამიანს ერთი აქვს — ის მიწა, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ამიტომაა, რომ ბატონი ისაკი, კაცი, რომელსაც გულში მრავალტანჯული ებრაული სისხლი უდუღს, სიყვარულით, ტკივილითა და გატაცებით წერს თავის სამშობლოზე, საქართველოზე.

პროფესიით იგი ექიმია. ეწევა ლიტერატურულ საქმიანობას — თანამედროვე პოეზიის მდინარეს მისი ალალი სიტყვაც ერთვის.

ვუსურვებთ ბატონ ისაკს მალე თავისუფალ საქართველოში ჩამობრძანებულიყოს.

### იერუსალიმში

— ბერძენო ბერო,
გამიღე კარი!..
მოველ დესპანი ქართველ და-ძმანის,
შოთას საფლავი ვიცი, აქ არის,
გთხოვ, დაუბრუნო ქართველთ ტაძარი!
— ღმერთის მსახურო
გვაკმარე შფოთვა,
გამომატანა ვედრება ერმა,
ორ ძვირფას ცხედარს —
თამარს და შოთას —
ღამე ვუთიო მე, ებრაელმა.
მე გაკვირვებით შემხედა ბერმა,
სდუმს ტაძარივით,
თვალი თვალს სინჯავს...
— მე წარმომგზავნა ქართველმა ერმა,
მთხოვეს, ავუნთო სანთლები წმინდანთ!
და წვის თვალთა ისარი ორთა...
— ბერო, ჩემს თხოვნას ვამბობ
საჯაროდ...
ორ ძვირფას ცხედარს, თამარს და
შოთას,
მე, ებრაელმა მსურს ვუდარაჯო!

### ღმერთო, დალოცე!

საუკუნებით ფიცი ვატარეთ,
ხმლით და ტკივილით გჯობნიდით,
მტერო!..
თვალი კი არა, სულიც ვატირეთ,
როს ქარი გლეჯდა ჩვენს საქართველოს.
ჩვენს გულს თუთქავდა ჭრილობა
ძველი —
ემუქრებოდნენ ქართლოსის მოდგმას...
თუმც გოლგოთაზე ტანჯვით ავედით,
ჩვენ გვწამდა ერის ისევ აღდგომა!
დღეს გავიღვიძეთ იმ ძველი რისხვით:
თავისუფლება! თუნდა დაგვხოცეთ,
არ გვსურს სიცოცხლე სამშობლოს
იქით,
შენ, საქართველო, ღმერთო, დალოცე!

### ღმერთს ვუნთებ სანთლებს

დამაქვს წუხილი მე სავალალო,
ორ ტანჯულ ერზე ვევედრები ღმერთს,
მიცოცხლოს მარად და მოამრავლოს,
რომ მტრის ლახვარი არ მოხვდეს
არცერთს.
არაფერია სიცოცხლის იქით,
მე ვუფრთხილდები ნარჩენ საათებს...
ორ ერზე ვიწვი ლოცვით და ფიქრით,
ჩვენს საერთო ღმერთს მე ვუნთებ
სანთლებს.

## რევაზ დანელია

### უფრო გაიბადრა

ჭუჭრუტანიდან შეიპარა
მთვარე ჯარგვალში.
დახედა ბალღებს.
ბალღები სიზმრებს უღიმოდნენ, —
და მთვარე — სავსე და ფეხშიშველა —
უფრო გაიბადრა.

### ბიჭებმა უკან გამოგადევნეს

ლურჯი ცა მხარზე, როგორც მანდილი,
ისე უბრალოდ მოგიგდია და მიდიხარ,
მიარღვევ სივრცეს.

ბიჭებმა უკან გამოგადევნეს:
ავსებული აქვს სხეული ცეცხლით!..

შენ ყველაფერი გაიგე, მაგრამ ისინი
უკან მოხედვის ღირსად... ღირსადაც
არ ჰყავ!.. —

შენმა ლანდმა კი ჩუმი ღიმილით
მიაბრუნა თავი იმათკენ (გიღალატა
შენ შენმა ლანდმა!).
ლურჯი ცა მხარზე, როგორც მანდილი,
ისე უბრალოდ მოგიგდია და მიდიხარ,
მიარღვევ სივრცეს.

●

მზისფერი ქარი ბალახს
წელზე ეხვევა კრძალვით... —
სიცილა ალუბალი
ზეცაში დაიკრძალოს!..
უფლის ცრემლებით შუბლი
ლამაზად დაენამოს...
მზისფერი ქარი ბალახს
წელზე ეხვევა კრძალვით?
თოვლკაბა ალუბალი
ზეცაში დაიკრძალოს!

### ალტაცებას ვერ მალავს

წავიდა, წაფართქალდა
საღამო შვლისთვალება!
მთვარე უცებ დაქალდა, —
ველად დაითაფლება!

ცხენისწყალი მოლურჯო
ალტაცებას ვერ მალავს!
თრთის ცბიერი ალუჩა,
თრთის საწყალი ტყემალი!

წავიდა, წაფართქალდა
საღამო შვლისთვალება!
მთვარეც უცებ დაქალდა, —
ველად დაითაფლება!

### ჩემი დღიურები ლექსებია

ჩემი დღიურები ლექსებია,
სხვა არაფერი,
ოღონდ უფრო მწუხარე,
ვინემ მე ვარ!.. —
მოყვარეს გაფრთხილება უნდა,
მტერს კი... —
ამიტომ გხვდებით, ძმებო, სიცილით,
თორემ...
ნინოს საფლავის პატრონს,
რაღა მაქვს გასახარელი!
ჩემი დღიურები ლექსებია,
მწუხარე ლექსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ლომაძე

# ციკლიდან — დიდი ქალაქის პატარა მოთხრობები



## ძალიან მოკლე ამბავი

ისინი მცირე ზომის საბარგო მანქანით მოვიდნენ. მწვანე-მორუხო ფერის „უაზი“ იყო. ქალი და ბავშვი კაბინაში ისხდნენ, კაცი კი ზემოთ, ძარაზე; რაღაცნაირად მობუზული, ჩუმი, ეული, თითქოს ბეღურა ნაზამთრალი. ხელები ძარის ცხაურისთვის ჩაეჭიდა და თავი ჩაეღუნა, ერთი არ აუხედავს ზემოთ, ვეება სახლის ხარბი ცნობისმოყვარეობით მომზირალი სართულებ-ფანჯრებისკენ.

მანქანა შუა, მეხუთე სადარბაზოსთან გაჩერდა. მძღოლი გადმოვიდა და ძარის უკანა კიდე ჩამოუშვა. ახლა იმათაც, ვინც ეზოში იყო, დაინახეს ის, რაც ძარაზე იდო; ორი გასაშლელი ბრეზენტის საწოლი, საბან-ლეიბი, ოთხი სკამი, მაგიდა, ბავშვის ხის გისოსებიანი საწოლი და ორი დიდი მუყაოს ყუთი, რომლებშიც ჭურჭელი და ტანსაცმელი ეწყოთ, ალბათ...

კაცი ძარაზე იდგა, მძღოლს აწოდებდა ნივთებს. ორიოდ წუთში დაცალეს მანქანა. კაცი ძარიდან ჩამოვიდა, კაბინის კარი გამოაღო, ქალს ბავშვი გამოართვა, მეორე ხელი შეაშველა. სადარბაზო შესასვლელთან დადებულ ნივთებთან მივიდნენ. მძღოლმა მანქანა დაძრა და ეზოდან გავიდა.

კაცი დაიხარა, ბავშვს იღლიებში ხელები ამოსდო და მუყაოს ყუთზე შესვა; ბიჭს თავისი ერთადერთი სათამაშო და მეგობარი ნაცრისფერი, დიდყურა სახედარი გულში ჩაეკრა და ჩუმად იჯდა. კაცმა და ქალმა ბავშვის საწოლს მოჰკიდეს ხელი და სადარბაზოში შეიტანეს; ორიოდ წუთში დაბრუნდნენ მაგიდის წასაღებად, მერე სკამები და ბრეზენტის გასაშლელი საწოლები. ბიჭი კი იჯდა მუყაოს ყუთზე სათამაშოს ჩახუტებული ისევე, როგორც მამამისი ძარაზე, ჩუმი და მიწას დაჩერებული...

მუყაოს ყუთებიც შეიტანეს და ბოლოს ოთხივე — დედა, მამა, ბიჭი და სახედარიც შეისრუტა სადარბაზომ. ფანჯრებმაც დაიკმაყოფილეს ცნობისმოყვარეობა...

შემდეგ ისინი ყოველ დილით გამოდიოდნენ სადარბაზოდან, რათა საღამოს დაბრუნებულიყვნენ ისევ. საღამომდე კაცი და ქალი სამსახურში, ბიჭი და სათამაშო სახედარი საბავშვო ბაღში, უმცროს ჯგუფში...

სამიოდ თვის შემდეგ ქალი და ბავშვი გამოვიდნენ სადარბაზოდან მხოლოდ; ბიჭს სახედარი ეჭირა ისევ, ქალს ბადია, ბადიაში გაზეთში გახვეული ქილა, ქილაში ბულიონი, ალბათ. ცხიმს გაზეთი დაელაქავებინა...

საღამოს არ გამოჩენილა კაცი, არც მეორე დილით; ასე გაგრძელდა ერთ თვემდე...

ერთი თვის შემდეგ კი ისევ მოვიდა საბარგო მანქანა, ოღონდ წინანდელზე გაცილებით დიდი, კაბინიდან მძღოლი და ხანშიშესული, წვერმოშვებული, შავპერანგიანი კაცები გადმოვიდნენ. უხმოდ, რაღაცნაირი რიდით და მოკრძალებით გამოიტანეს მაგიდა, ოთხი სკამი, ბრეზენტის საწოლები, მუყაოს ყუთები, ბოლოს ბავშვის საწოლი და ძარაზე დადეს; ძარის მეოთხედი თუ დაიკავა ნივთებმა, რომლებსაც აკლდათ კაცი — ჩუმი, ძარის ცხაურზე ხელებჩამოდებული და თავჩაღუნული, დაბეჩავებული რაღაც უხილავით...

## „კიბო“

მილიციის კაპიტანი ემელიან კოზირიძე, ნარკომანია-პროსტიტუციის განყოფილების მუშაკი, ტროლეიბუსის გაჩერებასთან იდგა და ელოდა; სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, საერთოდ, იშვიათად ატარებდა ფორმას; ისევე, როგორც ამ განყოფილების მუშაკთა უმრავლესობა.

ქუჩის გადაღმა, მოპირდაპირე სახლის სადარბაზოდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა; მოგრძო, ფერმკრთალ სახეზე შავი სათვალე ეკეთა, შავი მაისური, ჯინსები და კუბოკრული პიჯაკი ეცვა. ქუჩა გადმოჭრა და ტროლეიბუსის მომლოდინე ხალხს შეერია.

— ძალიან კარგი... — გაიფიქრა ემელიან კოზირიძემ, მეტსახელად „კიბომ“ და ჩამომდგარ, ხალხით გადატენილ ტროლეიბუსში ავიდა...

ერთი გაჩერების შემდეგ მ[illegible] უკან იდგა უკვე; ჯიბიდან ფოლ[illegible]ლი ორი ამპულა მორფინი ამო[illegible] ჩნევლად ჩაუდო მუქსათვალიანს კუბ[illegible]რული პიჯაკის გვერდითა ჯიბეში...

მესამე გაჩერებაზე ჩამოიყვან[illegible] ნარკომანი ტროლეიბუსიდან; მა[illegible] ახალგაზრდა კაცის მარცხენა იდა[illegible] გრად, ტროლეიბუსს დადევნე[illegible] ფერ „ჟიგულში“ ჩასვა; ხელი ერთი [illegible]ამითაც არ გაუშვია დაკავებულისთვის...

— ეგრევე მილიციის უფროსთან [illegible]ვანა! — უყვებოდა საღამოს, უკვე მერამდენედ გელა არხაძე. ოთახში ანაშის ბოლი ფენებად გაწოლილიყო.

— მერე? მერე?..

— ადგილზევე დაქლიავდა, ამპულები რომ ვეღარ ნახა!

— კიბო, კაცო? კიბო?

— მილიციის უფროსი კინაღამ სკამიდან გადავარდა!

— მერე? მერე? — ოთახში უკვე მერამდენედ სიცილმა იფეთქა; მოწეულმა ანაშამ თვალნათლივ წარმოადგენინა ოთახში მყოფთ გელა, კიბო და სკამიდან კინაღამ გადავარდნილი მილიციის უფროსი ტიტე შონია — პოდპოლკოვნიკი.

— პანღურის ცემით გამოგვყარა ორივე!

ისევ სიცილმა იფეთქა.

— როგორ მოახერხე მაინც? — უკვე მერამდენედ ჰკითხა მურკამ.

— რა მოხერხება მაგას უნდოდა? ტარაიანი აღარ დაგვრჩა? — მიუბრუნდა ტოგოს. იმან „უაზბეკის“ გაუხსნელი კოლოფი გადმოუგდო.

— რა მოხერხება მაგას უნდოდა? დილით ფანჯრიდან გადმოვიხედე. გაჩერებასთან ცუგო უნდა მოსულიყო. ვხედავ, კიბო დგას! ეგრევე ვიხვეჯე, რომ ცუგო მომხმელი არაა...

— მერე?

— მერე მივხვდი, რომ კიბო ნაღდად რაღაცას ჩამიგდებდა ჯიბეში.

— მერე? მერე? — ეს ყველაზე კულმინაციური ადგილი იყო.

— მერე ავიღე მაკრატელი და პიჯაკის ჯიბეებს სარჩულები დავაჭერი, ჩავიცვი და გამოვედი.

ოთახში სიცილმა იფეთქა ისევ. მოწეული ანაშა და კიბოს გაბითურება აცინებდათ. სიცილისგან ლამის ერთმანეთს აწყდებოდნენ...

ხვალ უკვე მთელ უბანს ეცოდინებოდა „კიბოს“ ჩავარდნის ამბავი, ზეგ მთელი ქალაქის ნარკომანებს; ვინაიდან, მსგავსი ამბები ნარკომანებში ძალზე სწრაფად ვრცელდება და არანაკლებ სიხარულს იწვევს, ვინემ ერთი კარგი „ზავოდ“ ხუფთა მორფინი...

## ვალერიან ჯიბუტი

დიდი ქალაქის ერთ-ერთ ძველ უბანში, ნამდვილ ქალაქელთა ერთ და სართულნახევრიან სახლებს (მშრომელთა სახლებს) შორის ციკლოპურად ამოიმართა ხელმძღვანელ მუშაკთა თექვსმეტსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, რაც უდავოდ მიანიშნებდა, რომ ძველი უბნის, ძველი სახლების დღეები დათვლილი იყო უკვე იქ, სადაც მაღალ ინსტანციაშია.

კორპუსში სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელი მუშაკების შესახლების შემდეგ ნახვამი თერძი, კუდების მკერავი ვალერიან ჯიბუტი — მელოტი, ხანშიშესული, ღიპიანი და მოკლეხელებიანი კაცი, ნებისმიერ ამინდში უსახელო მაისურსა და ზოლებიან პიჟამაში გამოწყობილი, ფეხზე გაჭყლეტილ ფლოსტებით ყოველ კვირა საღამოს გამოდის თავისი სართულნახევრიანი სახლი-ნიჟარიდან, თითქოს ლოკოკინა, თექვსმეტსართულიან კორპუსს მდაბლად თავს უხრის, მერე დოინჯს ირტყამს და ხმამაღლა მიმართავს მის მობინადრეთ:

— გამარჯობათ, პატივცემულებო! კარგად მოეწყვეთ, არა? ცხელი წყალი ხომ გაქვთ? ცივიც? ცხელი წყლის და „კოფეს“ უქონლობამ გამოგაქციათ სოფლიდან, არა? ურემს ანტენიანი ვოლგა ჯობია, არა? ქალაქურად ლაპარაკი ხომ ისწავლეთ? ლობიოს მაგივრად იკრას მიირთმევთ! „კოფეს“ ხვრეპთ!..

მის ზურგს უკან ოდნავ იღება ნაცრისფრად შეღებილი ჭიშკარი და ღრიჭოდან მუდარაგარეული, დარცხვენილი, მოგუდული ჩურჩული ისმის:

— ვალიკო, შენი ჭირიმე! ვალიკო, დავილუპებით! ვალიკო, სირცხვილია, შემოდი სახლში!..

ვალერიან ჯიბუტი ხელს გაბზეკილი ცერა თითით ზურგს უკან იშვერს; ნაცრისფერი ჭიშკარი უმალვე ჩხაკუნით იკეტება.

— ჩემი საკუთარი ცოლიც მოისყიდეთ, არა? — მიმართავს ისევ მდუმარე, გარინდულ კორპუსს. — თუ მოისყიდეთ, წაიყვანეთ მაშინ! დაუთმეთ რომელიმე ერთი ოთახი და ერთი ფეხსალაგი! ხომ ექვს-ექვსი ოთახი და ორ-ორი ფეხსალაგი გაქვთ მანდა? მაინც, ორი რატომ? ერთი აღარ გეყოფათ, არა? იმდენსა თქვლეფთ ჯუჯაში... უკაცრავად ტეკაში და ცეკაში თავჩაყოფილები, რომ ერთი ფეხსალაგი არ გეყოფით და ორი მოიწყვეთ. ერთს რომ ავსებთ, [illegible]ეორეში გადახვდებით, მანდაც მშრომელთა ხა[illegible] დაიარებით?..

ვალერიან ჯიბუტი მცირეოდენ პაუზას აკეთებს, თითქოს პასუხს ელოდება; მაგრამ პასუხის გამცემი არავინაა. მდუმარე, ფანჯრებზე [illegible] ფარდები გამოიყურება მხოლოდ.

— ეს როგორ იყო, როიალები რომ შეზიდეთ „პადიომნი კრანებით“, პიანინო არ გეკადრებათ, არა? რომელი მუევბართ ხეთხოვნი, გა[illegible]ოდით ერთი, დაუკართ! მოგვახმინეთ მშრომლებს! გათბობაც ხომ მაგარი გაქვთ, ზამთარში ფანჯრებს აღებთ! ახლა ზაფხულში კონდიციონერებს რთავთ ყველა ოთახში! ეგ სამსართულიანი მაცივრები სადღა იშოვეთ? ვიდეოში ყოველდღე ტიტლიკანა ბოზებს და ახვრებს აყურებინებთ ცოლ-შვილს, არა? იმიტომაც გიზით სახლში მორფიკები! ღვინო ხომ გაგვიძვირეთ! ახლა ქალაქიც გინდათ წაგვართვათ, არა? ვერ ლებიჰებით! ორი ლიფტი ხომ გაქვთ — დიდი და პატარა? სწორედ მეორე, დიდი ლიფტებით გავიტანთ თქვენს კუბოებს! ნუ გეშინიათ, არ დავიღლებით, გავიტანთ და გავიტანთ! პანთეონიც ხომ დაიარსეთ? სწორედ იმ პანთეონში გავიტანთ!

ქუჩაზე, ამბრაში ნაცრისფერი „ჟიგული“ ამოდის; შორიახლოს ჩერდება. იქიდან ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გადმოდის, ვალერიან ჯიბუტის ქალიშვილი და სიძე. მთვრალთან მიდიან და დაუყვავებით ელაპარაკებიან.

— გამიშვით! — არ ცხრება ჯიბუტი. — ჩემი სიძის აზინებთ, არა? მაგას დაურეკეთ, არა? მაგიც თქვენნაირია! თუ ტ...ი გაქვთ, მე დამიბარეთ იქ, ზევით! მე... ვალიკო ჯიბუტი! აქ დაბადებული და გაზრდილი!..

მცირეოდენი ფერხების, დაყვავების, ჯაჯგურის შემდეგ, სიძე-ქალიშვილს მთვრალი ვალერიან ჯიბუტი სახლში შეჰყავთ. დადუმებულ ქუჩაზე სიმყუდროვე ისადგურებს, ნეონის ლამპიონის ზუზუნღა ისმის...

ორშაბათ დილით კი თავისი სახლი-ნიჟარიდან ჩუმად გამოდის ვალერიან ჯიბუტი. თავზე თავისივე შეკერილი ვეება ქუდი ახურავს, მუქი სათვალეები ნახევარ სახეს უფარავს. ანტენიანი შავი ვოლგებით გარსშემორტყმული კორპუსისკენ არ იხედება; მხრებში თავჩარგული მიდის თუ მიიპარება სამსახურისკენ. ჩქარობს, ვინაიდან ოთხი სახის ტრანსპორტი უნდა გამოიცვალოს, სანამ ატელიემდე მივა...

## მაყვალა ვაშაძე

თვით ის ფაქტი, რომ მაყვალა ვაშაძეს, მაღალი რანგის პარტიულ ფუნქციონერს ინსტიტუტში რექტორად დანიშვნას მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი მოჰყვა, ყველამ მისი თავბრუდამხვევი კარიერის უეცარ დასასრულად აღიქვა. ცკას ინსტრუქტორმა დიდი ქებით და ქათინაურებით ჩააბარა ინსტიტუტი. სინანული გამოთქვა, რომ ცენტრალური კომიტეტის აპარატი დატოვა ასეთმა მომზადებამა და ლამაზმა მანდილოსანმა; ილაპარაკა მაყვალა ვაშაძის მიერ განვლილ ცხოვრების გზაზე, ასაკი, რასაკვირველია, არ დაუსახელებია (48 წ.) და კანტიკუნტი ტაშის შემდეგ სასწავლო დაწესებულება ჩააბარა ახალ რექტორს — მაყვალა ვაშაძეს...

ახალმა რექტორმა ინსტიტუტში მეორე დღესვე რემონტი გააჩაღა; კერძოდ, მეორე სართულზე მოთავსებული თავისი კაბინეტი არ მოეწონა და მეოთხეზე გადატანა ბრძანა. მეოთხე სართულზე კაბინეტად არჩეულ ვრცელ სასწავლო აუდიტორიას ტუალეტი ესაზღვრებოდა... გაუქმდეს და მიუერთდეს რექტორის კაბინეტს! იყო ლაკონური ბრძანება № 2, ხოლო სტუდენტებმა ისარგებლონ პირველ სართულზე მოთავსებული ტუალეტით.

ახალი კაბინეტის კეთილმოწყობა ფორსირებული ტემპით მიმდინარეობდა; საიდანაც ჩნდებოდა თანხები, რომელსაც მრავალი წელი უშედეგოდ ითხოვდა ინსტიტუტის ადრინდელი ხელმძღვანელობა. იატაკი და კედლები მოპირკეთდა მკაცრად ფუნქციონირებული მასალით, შემოზიდეს იმპორტული ავეჯი და ვეებერთელა, მეცნიერების საუკუნის პოლიმდერული სეიფი — ფუნქციონერთა და ბიუროკრატთა განუყრელი ატრიბუტი და „[illegible]...“

რემონტი კი ფორსირებული ტემპით მიმდინარეობდა. მაგრამ ქვემოთ, პირველ სართულზე მდებარე საპირფარეშოსთან სტუდენტთა მუდმივი რიგი გაჩნდა, რასაც თავის მხრივ დისციპლინის დარღვევის აღმაშფოთებელი ფაქტებიც მოჰყვა — სტუდენტებმა ჯერ კანტიკუნტად, მერე კი მასობრივად ხელყვეს რექტორის კაბინეტის შემდეგ მათთვის ყველაზე ხელშეუხები ადგილი, მასწავლებელთა საპირფარეშო, რამაც პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია; კოლექტიური წერილიც კი შედგა ახალი რექტორის სახელზე...

შედეგი — ბრძანება №3: აეკრძალოს სტუდენტებს პროფესორ-მასწავლებელთა ტუალეტით სარგებლობა! დაწესდეს შესვენებებზე მუდმივი მორიგეობა ინსტიტუტის ტექნიკურ მუშაკთა რიგებიდან! აღნიშნულზე ზედამხედველობა დაევალოს პრორექტორს სამეურნეო დარგში ამხ. პ. უჯმაჯურიძეს!..

ბოლოს კაბინეტის კეთილმოწყობა დამთავრდა. მშენებლები წავიდნენ, მაყვალა ვაშაძემ საკუთარი ხელით მიუჩინა ადგილი ყოველ ნივთს, ყოველ წიგნს თავის ვრცელ სამუშაო ოთახში და კვირის თავზე ინსტიტუტის თანამშრომელთა გაერთიანებული თათბირი დანიშნა; გაცნობისა და ურთიერთკონტაქტის დამყარების თათბირი, — აღნიშნული იყო ბრძანება №4-ში.

კვირა დილით რექტორი ადრე მოვიდა თავის სამფლობელოში. თეთრი კაბა, თეთრი ფეხსაცმელი, შავი ყელსახვევი. მტკიცე ნაბიჯით აიარა კიბე. ხელჩანთიდან გასაღები ამოიღო და კაბინეტი გააღო. კმაყოფილებით მოავლო თვალი კაბინეტად ქცეულ ვეება დარბაზს, სათათბირო მაგიდაზე, ყოველი სკამის წინ დადებულ ფანქრებსა და ქაღალდებს და უეცრად მისი ყურადღება სამუშაო მაგიდაზე დადებულმა საგანმა მიიქცია, მიუახლოვდა; რექტორის სამუშაო მაგიდაზე წითელი ფერის ღამის ჭურჭელი იდგა და ზედ დიდი თეთრი ასოებით „მაყვალა ვაშაძე“ ეწერა...

რექტორი სხარტად შემობრუნდა, სირბილით მიიჭრა კართან და გასაღებით სწრაფად ჩაკეტა. მერე დინჯად მივიდა მაგიდასთან, ქოთნის სიმძიმე არავითარ ეჭვს არ იწვევდა; ცალი ხელით დაჭერა გაუჭირდა, ორივე ხელით აიღო და ფრთხილად გადაიტანა სეიფთან. ვეება, მძიმე კარი გამოაღო, ღამის ჭურჭელი სეიფში შედგა და ჩაკეტა. გამობრუნდა, მაგიდასთან მივიდა და სავარძელში ჩაეშვა. აურზაურის ატეხვა არ შეიძლებოდა, არც ამ საქმის ჩამდენის დადგენა მოხერხდებოდა, ვინაიდან გახმაურება მომხდარისა ავტორიტეტს შეულახავდა და უეჭველად ჩაშლიდა იქ, ზემოთ, ერთ-ერთ ყველაზე დიდ კაბინეტში ჩაფიქრებულ კომბინაციას: „ორი წელი იმუშავებ მაგ ინსტიტუტში რექტორად ცენზის გულისთვის და მერე მინისტრად გადაგიყვანთ!..“

პროფესორ-მასწავლებელთა და ინსტიტუტის მუშაკთა გაცნობისა და პირადი ურთიერთობის დამყარება-კონტაქტის თათბირი ახალ რექტორთან — მაყვალა ვაშაძესთან ზუსტად დანიშნულ დროს — ცხრა საათზე დაიწყო.

## ლომის სვლა

ორნი იყვნენ, კარგად ჩაცმულები, ხელში პრიალა დიპლომატები ეჭირათ. ფეხშლებს რომ იყვნენ, ტაქსისტმა სერგო მიქაუტაძემ შორიდანვე იგრძნო და ეგრევე გაუჩერა მანქანა.

— გამარჯობათ! — წინა კარი შემოაღო ახალგაზრდამ, — პლატოზე ვერ აგვიყვანთ?

სერგომ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

— მობრძანდით, ალექსანდროვიჩ! — თავაზიანად მოიხარა წელში ახალგაზრდა და კარი ბოლომდე გააღო.

— არა, არა, წინ შენ დაჯექი!

— როგორ გეკადრებათ, ალექსანდროვიჩ!

ხნიერმა უკანა კარი გამოაღო. ჯერ დიპლომატი შემოდგა სავარძელზე და მერე თავისი მოკლე ტანიც მოაყოლა. ახალგაზრდამ წინა კარი დაკეტა და თვითონაც უკან მოეწყო.

— პლატოზე, მეცხრე კორპუსთან!

სერგო მიქაუტაძემ მრიცხველი ჩართო; „მანეთი მაინც დამრჩება“ — გაიფიქრა და მანქანა დაძრა...

— ეჰ, ჩემო ჯუმბერ! მოგვიწევს ამ საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნება... — თქვა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ხნიერმა.

— მერე პროკურორი, ალექსანდროვიჩ?

— რა პროკურორი? თავის ხალხს დააბრალოს. ერთადერთი აღიარებაა საქმეში და ისიც სანქციის გაცემის დღეს და ათი გადათქმა ძიებაში მოწმეებმაც გადათქვეს... უმაღლესი მაინც დააბრუნებს ამ საქმეს და ჯობია, ისევ ჩვენ დავაბრუნოთ!

— რა ვიცი, ალექსანდროვიჩ, მე, როგორც მსაჯული, ხელს მოვაწერ. ზეინაბიც თავიდანვე იმას იძახის — „მაგის დამნაშავეობას მე ვერ დავიჯერებო!“

— ეჰ, ზეინაბი, ზეინაბი... — თქვა ალექსანდროვიჩმა — პირველადა მყავს გაუთხოვარი მსაჯული. ოცდაათი წელია მოსამართლე ვარ, ბარე ოცი მეუღლია და შინაბერა არც ერთი, აბა ეს საქმეა?

ორივეს გაეცინა.

— ისე, მშვენიერი ადვოკატი დადგებოდა, — თქვა ჯუმბერმა.

— ეჰ, ჩემო ჯუმბერ, საქართველოში იურისტობის, ექიმობის და მწერლობის პრეტენზია ყველა კაცს აქვს.

სერგო მიქაუტაძე ცნობისმოყვარეობით უსმენდა იურისტების ლაპარაკს; ერთი პირობა, საუბარში ჩარევაც დააპირა, მაგრამ მოსამართლის ბოლო ნათქვამმა გააჩერა. — „პატიოსანი კაცია, ეტყობა!“ — გაიფიქრა...

პლატოზე აუხვიეს.

— ე, მანდ, სანტექნიკის მაღაზიასთან არკაში ვერ ჩაუხვევთ?

— რა საჭიროა, ჯუმბერ? ნუ აწვალებ ამ ღვთისნიერ კაცს! — თქვა ალექსანდროვიჩმა.

მგზავრებით აშკარად მოხიბლულმა ტაქსისტმა სერგო მიქაუტაძემ თაღში შეუხვია და მანქანა გააჩერა. ცალი თვალით მრიცხველს დახედა — „მანეთი და ოთხმოცდარვა კაპიკი“ — გაიფიქრა კმაყოფილებით.

— ინებეთ! — ახალგაზრდამ ასმანეთიანი კუპიური გაუწოდა.

— ჯუმბერ, ეგ მაინც გადამახდევინე, წვრილი ფული მაქვს!

— როგორ გეკადრებათ, ალექსანდროვიჩ!

სერგო მიქაუტაძემ მანქანა გამორთო და უბის ჯიბეში ხელი ჩაიყო. მთელი დღის შემოსავალი, კუპიურები დაჭმუჭნული დასტა ამოიღო და იმწამსვე იგრძნო კეფაზე ბლაგვი, ცივი საგნის შეხება.

— წყნარად! — ალექსანდროვიჩის ხმაში მრისხანება გაკრთა — განძრევა და დაწვრევა ერთია! ფული მანდ დაწყე!

ახალგაზრდა მანქანიდან გადმოვიდა, კარი გამოაღო და ჩვრად ქცეული სერგო მიქაუტაძე სავარძლიდან დაითრია.

— ნუ მომკლავთ! — ამის ამოხრიალებაღა მოასწრო შიშის დამხუთველ მორევში ჩაძირულმა მძღოლმა.

ახალგაზრდამ ჩამოვარდნილ უბაში ხელი ამოართვა და ფულიც მიაყოლა.

სერგო მიქაუტაძე ასფალტზე დაეცა, თავზე ხელები დაიფარა, ფეხები ინსტინქტურად მოკეცა მუცლის დასაფარავად და ახალი დარტყმის მოლოდინში გაირინდა...

მანქანის დაქოქვის ხმა თითქოს შორიდან მოესმა. ცოტა ხანი იწვა კიდევ თავზე ხელებაფარებული, მერე წამოდგა. მუხლები ისევ უკანკალებდა. ძლივს გამოვიდა ქუჩის პირზე; მისი ტაქსი ქვემოთ, პლატოსკენ ეშვებოდა და მალე მოსახვევში გაუჩინარდა „იურისტებიანად“.

სერგო მიქაუტაძემ უაზრო მზერა მოავლო გარინდულ მრავალსართულიან კორპუსებს. არსად არც ერთი ტელეფონის ჯიხური არ ჩანდა და უეცრად გული აერია. წინწაბრილი, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით გაიქცა თაღისაკენ და კედელს მიეყრდნო; ეს მისთვის გადარჩევის პირველი შემთხვევა იყო...

## ტასიკო

ტასიკო, ძველთაძველი სახლის სარდაფის ძველი ბინადარი, ზამთრის ადრიანი დილით ჩაიდნიდან მდუღარე წყალს ასხამს ორ ერთლიტრიან [illegible] გადაბმულ რეზინის [illegible] და მერე მხარზე იკიდებს; ერთი „გრელკა“ გულმკერდს უთბობს, მეორე მოხრილ ზურგს — ოთხმოცდაათი წლისაა, მარტოხელა. ეზოში ამოდის და წინადღით მოსულ, ჯერ ფეხდაუკვალავ თოვლში [illegible], მერე ეზოს გადაჰყვება მოკლე ნაბიჯებით; იმდენად პატარაა და [illegible], რომ თოვლზე თითქმის არ რჩება ნაფეხური — [illegible] მიდის...

ზემოთ, ბინაში ოჯახი საუზმეს ეპირება; დედ-მამა სამსახურში წასასვლელად, გოგო და ბიჭი სკოლაში. კაცი ფანჯარასთან დგას და ეკლესიისკენ მიმავალ ტასიკოს გასცქერის —

„საუნას გავაკეთებ... — ფიქრობს, — ფინური აბანოთი“...

— არჩილ! — ეძახის ცოლი, — ჩაი გაცივდება!

— ტასიკომ გაიარა — ამბობს კაცი, მაგიდასთან როცა ჯდება.

— „მურაბებს და კომპოტებს შევინახავ“, — ფიქრობს ცოლი.

— როცა ტასიკო მოკვდება — ამბობს ბიჭი, მეცხრეკლასელი, — სარდაფში დისკოთეკას მოვაწყობ.

— დისკოთეკას მოგცემ მე შენ! — ბრაზის გარეშე ეუბნება მამამისი.

ქალი ლიმონს ჭრის.

გოგონა — მეექვსეკლასელი, არაფერს ამბობს, მას ჯერ არაფრად პირდება ტასიკოს სიკვდილი...

## გრიშა მოსკალიოვი

სკვერში, ბებერი ჭადრების ქვეშ პენსიონერები დომინოს თამაშობენ; ოთხნი არიან. ორნი, წაგებულნი თავზე ადგანან და თავის რიგს ელიან. ჭადრებიდან პენსიონერებს ბუმბული ათოვთ.

გრიშა მოსკალიოვი, პარტიის, ომის და შრომის ვეტერანი, რასაც საყელოგადაქმული პიჯაკის ფასადზე მიბნეული ორდენები და სამკერდე ნიშნები ადასტურებენ, დინჯად უყვება. ყველაზე ხნიერია ამათ შორის, მაგრამ ყველაზე უკეთ გამოიყურება. წითელი, სილურჯემხარული ცხვირის წვერი უტყუარად მიანიშნებს, რომ არასოდეს უთქვამს უარი დალევაზე...

— მოდა, — აგრძელებს გრიშა მოსკალიოვი, — მაშინ ცეკას გარაჟში სულ რუსები ვიყავით და ერთხელაც ტიმოფეი დოროფეიჩი მეძახის, ჩვენი „ზავგარი“, — ერთი სიტყვით, ტიმოშა: „პირველი უნდა წაიყვანონო!“ მეც გამოვიყვანე ჩემი „ზის-ხტოადინი“. ცეკასთან მივედი, ვდგევარ და ველოდები. ვერც კი გავიგე, როგორ გააღო კარი და უკან დაჯდა: „ნაჩალოვკაში!“ მოკლედ მოჭრა. დავიძარით. მალაკნების ბაზარს რომ გავცდით, ახლა კი დაიწყო პროლეტარების უბანი, გავიფიქრე, ახლა კი ვნახოთ, ლავრენტი პალიჩ, როგორც გზობით დადის ჩვენი გმირული მუშათა კლასი-მეთქი და უამრავი ორმოდან ყველაზე დიდი ორმო ამოვარჩიე და ჩავარტყი. ორმოცდაათი მეტრის შემდეგ კიდევ ჩავარტყი. ესეც შენი პროლეტარიატი, ვფიქრობ გულში და რაღაცნაირმა აზარტმა ამიტანა. ეჰ, ახალგაზრდა ვიყავი მაშინ, ცერეტი და ჩერჩეტი... ზის უკან და ხმას არ იღებს; ავიღე და მესამედაც გადავუარე მანქანით ორმოს.

— ხვატიტ, სვოლოჩ! — იყვირა უცებ და ტანში გამცრა, — „ეხ, გრიშა, გრიშა“, — გავიფიქრე თავზარდაცემულმა, „მთელი ცხოვრება დურაკი იყავი და დურაკად ჩაძაღლდები-მეთქი“.

სტალინის სახელობის ქარხანასთან მივედით. მივედით თუ არა, ყველანი „აკურატში“ დაგვხვდნენ: რაიკომის მდივანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე, გებეუშნიკები, მშრომელთა წარმომადგენლები.

— წადი და შენ ნაბიჭვარ უფროსს უთხარი, სხვა გამომიგზავნოს! — მითხრა გადასვლისას.

წამოვედი, მთელი გზა ფრთხილად ვუვლიდი ორმოებს, არც ერთში არ ჩამირტყამს, თითქოს ლავრენტი პალიჩი მანქანაში მჯდარიყოს. — ეჰ, დურაკი ხარ, დურაკი! — ვეუბნებოდი ჩემს თავს — რა წერამ აგიყვანა, თავიდანვე ასე ვერ ატარე-მეთქი...

გარაჟში მივედი. ისეთი ფერი მედო, ტიმოფეი დოროფეიჩი მიხვდა, საქმე ფარხაგად იყო.

— ასე და ასე-მეთქი, — ვუთხარი ტიმოშკას, — სჯობია, ახლავე მომხსნა, ვირის აბანო მაინც არ ამცდება-მეთქი. ტიმოშკასაც მაგრად შეაცივა. შენი დედა, შენიო! ჩვენებურად, ლაზათიანად შემომაკურთხა, — არ მოგხსნი, აქედანვე აგიყვანნ, რომ სხვებისთვისაც ჭკუის სასწავლო იყოსო...

მთელი ღამე ველოდი. მეორე დღეს, მესამე დღეს; არავინ მაკითხავს, არც მანქანაზე მსვამენ. არავინ მელაპარაკება, გამარჯობასაც არ მეუბნებიან. დაჯუჯგიან გარაჟში და ხვ-ლაც არაფერზე მაკიდებინებენ. ვხედავ — ლაპარაკობენ, მივალ — უცებ დადუმდებიან და დაიშლებიან. სიგიჟემდე მივედი, ღამე არ მძინავს და საჭმელს არ ვეკარები, არაყს ვსვამ მხოლოდ... მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და ზუსტად ორი კვირის შემდეგ, არ ჩემთვის გარაჟის კუთხეში საბურავებზე ცოცხლივით მიგდებულს და ვხედავ, ტიმოშკა მორბის კომინით და ხელებს ქნევით.

— მოსკალიოვ! — ყვირის გადარეულივით — ახლავე პირველთან!

მეხივით დამკრა! როგორ დავჯექი „პაკარდის“ საჭესთან, როგორ მივედი ცეკასთან, ბუნდოვნად მახსოვს.

მანქანაში ჩაჯდა და მოკლედ მოჭრა: — ნაჩალოვკაში!

მივდივარ, მიმყავს და გული-მისკდება, მალაკნებს რომ ვუახლოვდები. პირველივე ორმო წერტილს დაუსვამს ჩემს თავქარიან ცხოვრებას-მეთქი, ვფიქრობ. გავცდი მალაკნებს და დავიძაბე. პიკარდი კი მისრიალებს. ქუჩა სარკესავით სწორია და როიალივით ლაპლაპებს ახლად დაგებული ასფალტი. სტალინის ქარხანასთან მივიყვანე ისევ. დელეგაცია გამოფენილი დაგვხვდა: ახალი რაიკომის მდივანი, ახალი აღმასკომის თავმჯდომარე, — ახალგაზრდები, გალიფეებში გამოწკეპილები, მხოლოდ გებეუშნიკები და მშრომლები ძველები. მანქანიდან გადავიდა და ხელის აწევით მიესალმა დამხვდურთ. ქარხანაში შევიდნენ. უეცრად სიხარულმა ამიტანა; გამარჯვება-მეთქი მუშათა კლასმა. ძველები დამარცხეს, როგორც მისი მტრები და მშრომლებს ახლა კარგი გზა აქვთ-მეთქი.

პენსიონერები სდუმან. ყველა თავისას ფიქრობს. თითქმის ყველას ახსოვს ლავრენტი ბერია.

სიჩუმეში, თეთრ, ფაფუკ [illegible] ხელიხელგადახვეულმა წყვილმა ჩაიარა. სულ ახალგაზრდები, თვრამეტი წლისანი თუ იქნებიან.

— ეხ! აბა, ასეთ რამეს გაბედავდა ვინმე! — ამბობს გრიშა მოსკალიოვი, მეთერთმეტე არმიის [illegible].

პენსიონერები დუმილით გაჰყურებენ წყვილს და ეთანხმებიან, ნოსტალგიაში იძირება ყველივე...

## ვანო დიასამიძე

— ამის გაწმენდა უკვე აღარ შეიძლება, — თქვა მიმღებმა ქალმა; ოდესღაც შავი, ახლა კი სიძველისგან და უამრავი ქიმწმენდისგან განაცრისფერებული, გაცრეცილი პიჯაკი გადააბრუნ-გადმოაბრუნა.

— რატომ? — ყრუ ხმით იკითხა ვანომ, მიმოიხედა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ქიმწმენდის მიმღებში მის გარდა არავინ იყო; დიდხანს და მოთმინებით ელოდა, სანამ მარტო დარჩებოდა...

იდგა დახლთან და პიჯაკს დასცქეროდა. მარცხენა ხელით პალტოს საყელო ეჭირა, რომელიც სრულად ჰქონდა გამხდარ ტანზე, ვინაიდან შიგნით მარტო პერანგი ეცვა.

— ვერა ხედავთ, ძაფებიღა დარჩენილი? აგრეგატში ჩავდებთ თუ არა, დაიშლება!

— იქნებ არ დაიშალოს... — ჩუმად თქვა ვანო დიასამიძემ.

ქალმა ისევ შეათვალიერა პიჯაკი და თავი გაიქნია; — არა მაქვს უფლება ასეთ მდგომარეობაში მყოფი პროდუქციის მიღებისა, დაიშლება და საფასურს მე მაკისრებინებენ!

— ხმას არ ამოვიღებ! — გამოცოცხლდა ვანო დიასამიძე.

— არა, არ შემიძლია!

— აბა, რა ვქნა?

— არ ვიცი... — მხრები აიჩეჩა ქალმა, პიჯაკი დაკეცა ფრთხილად, გაზეთში გაახვია და გადმოაწოდა; გვერდზე იხედებოდა.

ვანომ უხმოდ გამოართვა შეკვრა და გამობრუნდა.

ქალმა თვალი გააყოლა მის მობრუნებულ ზურგს, მერე ქუსლებგაცვეთილ ფეხსაცმელებს; ქიმწმენდა ქვევით სარდაფში იყო მოთავსებული...

ვანო დიასამიძე, სამოცდათორმეტი წლის პენსიონერი, ომის და შრომის ვეტერანი, უშვილძირო, მარტოხელა ქალაქელი ქუჩაზე ამოვიდა. თებერვლის ნესტიანი ქარი [illegible] უმალ. ცოტა ხანი ტროტუარის კიდეზე იდგა; ეს მესამე ქიმწმენდა იყო, სადაც პიჯაკი სიძველის გამო გასაწმენდად არ მიიღეს. ახალს ვერანაირად ვერ იყიდდა თავისი პენსიით — სამოცდათოთხმეტი მანეთით, ვინაიდან უკვე მერამდენე წელია მაღაზიებში იაფფასიანი, მისთვის ხელმისაწვდომი ნივთები გაქრა. პენსიის აღებამდე ათი დღე იყო კიდევ, ჯიბეში კი თოთხმეტი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი, ხოლო ხუთ დღეში ყოველწლიური საზეიმო შეკრება ვეტერანთა კლუბში, რომელიც პენსიაზე გასვლის შემდეგ არც ერთხელ არ გაუცდენია...

ვანო დიასამიძე აღმა აუყვა ქუჩას; რამდენიმე კვარტლის შემდეგ კიდევ ეგულებოდა ერთი ქიმწმენდა და იქითკენ გაეშურა...

— მალე ზაფხული მოვა... — მიდიოდა და ფიქრობდა ვანო დიასამიძე, — ზაფხული მოვა... ზაფხული მოვა...

## გია ლოლაძე

— „კარგად გარეცხილ ჭურჭელში, დილით, უზმოზე, ორას გრამამდე, ათისთვის მოდი. ლაბორატორია ათის ნახევარზე იღება!..“ კაცმა „პეპსი კოლას“ ბოთლი თეთრი ქაღალდით მიაწება იარლიყზე და ზედ სწორი, ბეჭდური ასოებით მიაწერა; „გია ლოლაძე — 48 წ.“. სააბაზანოდან გამოვიდა, სასადილო ოთახში ბარიდან კონიაკის ცარიელი კოლოფი აიღო და შიგ „პეპსი კოლას“ ბოთლი ჩადო.

საძინებელში გავიდა, გარდერობი გამოაღო; თეთრი ფერის, „ვალენტინო“-ს ფირმის შარვალ-კოსტუმი ჩამოხსნა საკიდიდან. პერანგებიდან შავი, „გი ლა როშის“ ფირმის პერანგი ამოარჩია, თეთრი, წმინდა აბრეშუმის ყელსახვევი, ასევე თეთრი წინდები პერპენდიკულარული შავი ზოლებით და ფირმა „ამბასადორის“ შავი ტყავის ფეხსაცმელები...

კმაყოფილებით შეათვალიერა თავისი გამოსახულება სარკეში და პიჯაკის გარეთა ჯიბიდან შავ ცხვირსახოცს ამოაყოფინა თავი. თვალის ოდნავ შეჩუპებულ უპეებზე ფრთხილად მოისვა საჩვენებელი თითი და თითქოს იმწამსვე იგრძნო ყრუ ტკივილი თირკმელების არეში. — „ცოლი! ცოლი! — გაიფიქრა გაღიზიანებულმა, — ცოლი მინდა ახლა მე? სად მეჩქარება ნეტავ? ან რას მაჩქარებენ!“ თავის სამოთახიან ბინას მზერა მოავლო: ყოველ ოთახში პედანტური წესრიგი და აფთიაქის სისუფთავე იყო; კვირაში ერთხელ დედამისი უგზავნიდა დამლაგებელს, დანარჩენი დღეები თვითონ ან რომელიმე მისი მეგობარი ქალი ალაგებდა ბინას...

გარაჟიდან ვერცხლისფერი, ახლად ნაყიდი „სამარა“ გამოიყვანა. მანამდე მიქარა და „გაზ-24“ შეიძინა და დაჯდა თუ არა „ვოლგის“ საჭესთან, იმწამსვე გაიფიქრა: „მაბერებს!“ და ახალგაზრდულ „ლადა-სამარაზე“ გადაცვალა; რასაკვირველია, ფულიც მორჩა.

კონიაკის კოლოფი წინა სავარძლის შორის, სიჩქარის გადამრთველთან ჩადო, რომ არ წაქცეულიყო და მანქანა დაძრა...

საავადმყოფოსთან შეუხვია თუ არა, იმწამსვე მოჰკრა თვალი, მოედანზე მდგომ, ავტობუსის მომლოდინე სამ ქალიშვილს.

— პრაქტიკანტები არიან, ალბათ — გაიფიქრა და უნებურად სვლას უმატა. მანქანა მკვეთრად შემოაბრუნა ალაყაფის კართან და მოწყვეტით დაამუხრუჭა.

— კარგები არიან, აი! — ცალი თვალი ქალიშვილებისკენ ეჭირა; მიზანი — მათი ყურადღების მიქცევა, მიღწეული ჰქონდა.

მანქანის კარი გააღო, სხარტად გადმოვიდა, კონიაკის კოლოფი ამოიღო და იღლიაში ამოიჩარა. მანქანის კარს გასაღები მოარგო. დაკეტა და... წელში გასწორდა თუ არა, კონიაკის კოლოფს ძირი გამოძვრა და პეპსი-კოლას ბოთლი ყრუ ხმით დავარდა ასფალტზე, არ გატყდა, დაგორდა და ახალგაზრდა ქალიშვილების ფეხებამდე იგორა.

სამივე ერთდროულად დაიხარა ბოთლის ასაღებად; ერთ-ერთმა, ყველაზე ლამაზმა (თუმცა გია ლოლაძისთვის ახლა სულ ერთი იყო) დანარჩენებს დაასწრო, ბოთლი აიღო, ეტიკეტს დახედა, უფრო სწორად, სამივემ ერთად წაიკითხა ქაღალდზე მიწერილი და მერე ღიმილით გაუწოდა ბოთლი გია ლოლაძეს:

— ინებეთ, გია ბიძია! ამ დილისაა არა?

— გმადლობთ... გმადლობთ... — ჩაილუღლუღა გია ლოლაძემ, ბოთლი ჩამოართვა და ფეხი ალაყაფის კარებში შედგა...

გია ლოლაძეს ცალ ხელში საანალიზოდ წამოღებული შარდიანი ბოთლი ეჭირა, მეორეში კონიაკის ცარიელი კოლოფი, მიაბიჯებდა საავადმყოფოს ეზოში და ქალიშვილების მხიარული სიცილი მიაცილებდა...

## შემოდგომის პეიზაჟი

ნაშუაღამევს. შემოდგომის ბოლო ღამით. ჩონჩხად ქცეული მთვლემარე ხეების ქვეშ, ფერმკრთლად განათებულ ტროტუარზე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ტიპიური ქართული ოჯახი მიაბიჯებს: დედა, მამა და ერთი შვილი. მამა — ჩია ტანის, გულგაღეღილი, ნეილონის წვიმაგაუმტარ ქურთუკში — მთვრალი. დედა — ნაცრისფერ კაბაზე მოკლე, თეთრი ლაბადით და თერთმეტი წლის გოგონა ახალთახალი თბილი, ზამთრის პალტოთი, ფეხზე კი საზაფხულო ფეხსაცმლით...

— ხედავ, ვინ ვყოფილვარ! — ეუბნება ცოლს და მთელ ქუჩას კაცი — ნახე, როგორ მადლერძელებენ! რა პატივს მცემენ! ვინ ვყოფილვარ?!.

ქალი დარცხვენით იხედება იქით-აქეთ და ჩუმი, მუდარაგარეული ხმით ეუბნება: — კარგი რა, შალიკო! დაწყნარდი, გეხვეწები! — ორივე ხელით მკლავში ჩაფრენია.

— ხედავ! — იჭაჩება კაცი, — ხედავ; რა პატივს მცემენ! ხედავ რამხელა ტ...ი მქონია!.. — და მიდიან უკაცრიელ ქუჩაში. — ჩია ტანის კაცი მთვრალი — ხედავ?! ნახე?!.

ქალი დარცხვენილი კაცის ყვირილით და მძინარე ხალხებით — დაწყნარდი, შალიკო, დაწყნარდი, გეხვეწები!..

გოგონა — მილმორეული, ცდილობს არ ჩამორჩეს მშობლებს; თითქმის სირბილით მისდევს დედამისს [illegible] ქუსლებზე აბიჯებს. უსაშველოდ გრძელია მამამისის მონოლოგი და გზა სახლამდე...

მიდიან სამეული თავშესაფარ-სახლისკენ, თითქმის ერთი სიმაღლისანი და ლამპიონების მოზუზუნე ფერმკრთალ ნათებაში, მძინარე სახლების ფანჯრებჩამქრალი ფასადები, თითქოს თვალის ღრმულები თავის ქალებზე, მდუმარედ მიაცილებენ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სამეულებს — მამას, დედას და ერთ შვილს...



# თეატრიც იბრძვის

## ნათელა არველაძე

25 იანვარს, დილით, მარჯანიშვილის თეატრისაკენ მივეშურები. მინდა აღვწერო ერთი დღე შემოქმედებითი კოლექტივის ცხოვრებიდან. დაზაფრული სახეები, მკაცრი და განაწამები გამოხედვა, ხალხმრავლობა საფოსტო განყოფილებასთან, შემნახველ ზანკებთან, სასურსათო მაღაზიებთან (ცარიელი დახლების მიუხედავად!)... ქუჩა რისხვითა და ხევდით იჟუჟრება. ასეთ მშფოთვარე დროს, როცა სისხლი ილვრება შინაც და გარეთაც, რა დროს თეატრზე წერაა — ვფიქრობ შენობის ზღურბლთან შემდგარი. მაგრამ... ცხოვრება გრძელდება! თეატრიც ხომ ბრძოლის ველზეა გასული, თეატრიც ხომ იბრძვის ისე, როგორც მას შეუძლია, როგორც მას შეშვენის, როგორც მას ეკადრება! მარჯანიშვილის თეატრიც იმ ჯარისკაცთა შორისაა, ვინც მამული უნდა გადაარჩინოს! ამ ჯარისკაცზე კი უთუოდ უნდა დაიწეროს!...

ჩვეულებრივი სიჩუმე შემომეგებთა. მორიგესთან ორიოდ თანამშრომელი დგას. ცარიელი, მიმქრალი შუქით განათებული ფოიე კი. მრავლისმთქმელი დუმილით გაყუჩებულა. ამ პაუზით თითქოს თეატრი ძალ-ღონეს იკრებს და საღამოს, მაყურებელთან შესახვედრად ემზადება.

დირექტორის კაბინეტში შევხვდი გაიოზ კანდელაკს, დოდო ჭიჭინაძეს და გიორგი თოდაძეს.

ნათელა არველაძე — დღეს თეატრი ჩვეულებრივი განრიგით ცხოვრობს, თუ აქაც იმძლავრა აჟიოტაჟმა?

გაიოზ კანდელაკი — არა, ჩვენ ვმუშაობთ. სიახლე ბევრია და სასიამოვნოც. დროს ნუ დავკარგავთ. პირდაპირ საქმეზე ვისაუბროთ. ამას წინათ კოლეგიის წევრები და წამყვანი მსახიობები მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ თენგიზ სიგუას, ვეწვიეთ. საკავშირო კულტურის მინისტრის წერილი გავაცანით, სადაც ნათქვამია, რომ კავშირის რამდენიმე თეატრი ზეკატეგორიის ნიშნითაა გამოყოფილი. მათ შორის მარჯანიშვილის შემოქმედებითი კოლექტივიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია მას გაეზარდოს სახელმწიფო დოტაცია. მანამდე ჩვენ ძველი მთავრობის კაბინეტსაც მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ. ახლა, ამ ურთულეს ეკონომიკური ვითარების პირობებშიც კი, ახალმა სამთავრობო კაბინეტმა დიდი თანადგომა აღმოგვიჩინა. კულტურის სამინისტროს დახმარებაც ვიგრძენით და ასე, ერთობლივი ძალისხმევით, გაგვიზარდეს დოტაცია. წინათ წელიწადში ვიღებდით 453000 მანეთს, ახლა ამ თანხას დაემატა 551000 მანეთი: ეს უკვე საგრძნობია. მილიონ მანეთზე მეტი დოტაციით საშუალება მოგვეცა მსახიობებისათვის გაგვეზარდა შემოსავალი. ახლა საშუალოდ ყოველ მუშაკს მოემატა ჯამაგირის 40-50%. აბა წარმოიდგინეთ, ქალბატონ ვერიკოს, შრომის გმირს, უნიკალურ მოვლენას, რომელიც უკანასკნელ წუთამდე სცენაზე იდგა, თეატრი უხდიდა — 300 მანეთს. ახლა კი ოთარ მეღვინეთუხუცესს 600 მანეთი დავუნიშნეთ. საშუალება მოგვეცა კვარტალური პრემიითაც დავაჯილდოვოთ მსახიობები და ტექნიკური პერსონალიც.

ნათელა არველაძე — როგორ ანაწილებთ პრემიებს?

გაიოზ კანდელაკი — ვიკრიბებით კოლეგიის წევრები, საამქროთა ხელმძღვანელები, პროფკომი. ვინც თავი გამოიჩინა შრომითა და შემოქმედებითი მიღწევებით, ეძლევა პრემია. რეპერტუარში დაკავებული მსახიობები გამორჩეულად უნდა დააფასო.

ნათელა არველაძე — შესაძლოა ერთი მსახიობი მხოლოდ მასობრივ სცენებში გამოდიოდეს, იგი ყოველ საღამოს სცენაზეა, მაგრამ მეორემ წარმატებით შეასრულა როლი, თუნდაც ეპიზოდური. ითვალისწინებთ თუ არა ამ ვითარებას?

გაიოზ კანდელაკი — აუცილებლად. მაგალითად, ზურაბ სტურუამ ლამბალოს როლის წარმატებით შესრულების შემდეგ (მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა“) ჩინებულად ითამაშა ლილი იოსელიანის სპექტაკლშიც (გერჰარდ ჰაუპტმანი — „მშვიდობის დღესასწაული“). ჩვენ მივმართეთ კულტურის სამინისტროს და მას კატეგორია მოვუმატეთ, პრემიითაც აღვნიშნავთ მის წარმატებას: პრემიას იღებს მხოლოდ ის, ვინც შრომობს, ვინც შემოქმედებითი მიღწევებით გამოირჩევა.

დოდო ჭიჭინაძე — კარგად ნათამაშებ როლს, თუნდაც ეპიზოდურს, აუცილებლად საგანგებოდ აღვნიშნავთ. პრემია იმასაც ეძლევა, ვინც რეპერტუარში აქტიურადაა დაკავებული.

გაიოზ კანდელაკი — ჩვენ ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ: ვეცადეთ სასიცოცხლო მინიმუმი ყველას მიეღო, ხოლო გამორჩეულად ნათამაშები როლი და რეპერტუარში აქტიური მონაწილეობა პრემიებით აღგვენიშნა. 1990 წელს შევასრულეთ ფინანსური და მაყურებლის გეგმაც, მიუხედავად იმისა, რომ ახლა თეატრს საგრძნობლად დააკლდა დასწრება.

ნათელა არველაძე — თუ შეიძლება მითხარით, ანშლაგის დროს რამდენი მაყურებელი ესწრება წარმოდგენას და სულ მცირე რაოდენობა როგორია?

გაიოზ კანდელაკი — ანშლაგი 720 მაყურებელია, სულ მცირე დასწრების რამდენიმე შემთხვევა გვქონდა. დარბაზში 130 ადამიანი იმყოფებოდა.

ნათელა არველაძე — თეატრის ავტორიტეტის ამაღლება მხოლოდ მაღალმხატვრულ სპექტაკლებს და ოსტატურად ნათამაშებ როლებს ძალუძს. მაგრამ შემოქმედებითი კოლექტივის საქმიანობა სხვაგვარადაც ვლინდება.

გაიოზ კანდელაკი — რა თქმა უნდა, ახლა ასე ფართოდ გაიშალა ქველმოქმედება. მარჯანიშვილის თეატრი შეფობს ველისციხის სახალხო თეატრს, რომელიც ვახო გოძიაშვილის სახელს ატარებს. ხშირად ვმართავთ სპექტაკლებს თელავში, საგარეჯოში, ქრისტეშობის დღესასწაული გორის თეატრში აღვნიშნეთ. სწორედ იმ საღამოს, როდესაც საბჭოთა პრეზიდენტის ცნობილი ბრძანება გამოიცა, სცენაზე იდგნენ ოსტატები, თამაშობდნენ ნაწყვეტებს, კითხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ იმ მაყურებლებისათვის, ვინც თვითმხილველია სამაჩაბლოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენებისა. სცენაზე იდგნენ მსახიობები, კულისებიდან კი ცნობებს ვაწვდიდით, რა ხდებოდა ცხინვალსა და ჯავაში. მოგეხსენებათ, აღნიშნულმა ბრძანებამ როგორ იმოქმედა ექსტრემისტებზე. იმ საღამოს მათ კიდევ ერთხელ იგრძნეს კრემლის მხარდაჭერა და გამეტებით ატეხეს სროლა. შემოსავლის ნაწილი გორის თეატრს გადავეცით შენობის არენდისათვის, დანარჩენი კი დავით აღმაშენებლის საზოგადოების ფონდში ჩავრიცხეთ. ის საღამოც მათი ინიციატივით გაიმართა. ზაფხულში საგასტროლოდ ვიმყოფებოდით აჭარაში.

თქვენთვის ცნობილია, რომ თეატრი წარმატებით გამოვიდა გლაზგოს საერთაშორისო სათეატრო ფესტივალზეც და ბრაუნშვაიგის შექსპირის დრამატურგიისადმი მიძღვნილ ფორუმზეც. შტაინისა და ბრუკის თეატრების გვერდით წარმატებით გამოდიოდა ჩვენი დასიც. გლაზგოს თეატრის დირექტორის ინიციატივით დაგეგმილია გასტროლები ავსტრალიაში. ლონდონში ვითამაშებთ „ოტელოს“. აპრილში კი მივემგზავრებით იაპონიაში, ვითამაშებთ „ჭაყოს ხიზნებს“, „პროვინციულ ამბავს“ და ნიკამაცუს პიესას „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“. ჩვენი თეატრით დაინტერესდნენ მიუნხენის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორებიც.

ნათელა არველაძე — მნიშვნელოვანია კონტაქტების დამყარება ისეთ ევროპულ სახელმწიფოებთან, რომლებიც ჩვენსავით მცირერიცხოვან ერებს წარმოადგენენ. მოგეხსენებათ, ვერც ფრანგებსა და ვერც ინგლისელებს ვერ გააოცებთ მოლიერისა და შექსპირის პიესების დადგმით. ისინი ამას მიჩვეულნი არიან. მაგრამ სხვაა, როდესაც ჩვენნაირი ერის დრამატურგიის ნიმუშებს დავდგამთ და საქართველოს კულტურით მათაც დავაინტერესებთ. ჩვენ ახლა ძალზე გვჭირდება, რაც შეიძლება მრავალმა სახელმწიფომ გაიცნოს საქართველო, მისი კულტურა, თეატრი. ბოლოსდაბოლოს, შვეციასაც და საფრანგეთსაც თითო-თითო ხმა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. როდესაც საქართველო ჭეშმარიტ სუვერენიტეტს გამოაცხადებს, იგი უნდა ცნონ სხვადასხვა სახელმწიფოებმა. თეატრს შეუძლია ამ თვალსაზრისითაც ითანამშრომლოს მამულის საკეთილდღეოდ.

გაიოზ კანდელაკი — ესეც გავითვალისწინეთ. ჩვენ ახლა კოპენჰაგენიდან მივიღეთ სტივ დალაგერის პიესა ანდერსენის ცხოვრებაზე, რომელსაც თარგმნიან მარიამ მეღვინეთუხუცესი და ლია ღლონტი. დადგმას განახორციელებს დანიის სამეფო თეატრის სადადგმო ჯგუფი. პრემიერაზე ჩამოვა დანიის კულტურის მინისტრი. შემდეგ კი ჩვენი თეატრის სადადგმო ჯგუფი განახორციელებს დანიაში სპექტაკლს. მოვაწყობთ გაცვლით გასტროლებსაც. ისიც მინდა ვთქვა, რომ მარჯანიშვილის თეატრმა იზრუნა და ძვირადღირებული ხმის ჩამწერი აპარატურა შეიძინა. შევქმენით ხმის ჩამწერი სტუდია, სამუსიკო ნაწილის გამგის, კომპოზიტორ გივი გაჩეჩილაძის შემწეობით ჩვენ მომსახურეობას ვუწევთ სხვადასხვა შემოქმედებით კოლექტივებსაც, რათა მუსიკალური გაფორმება, წმინდა ტექნიკური თვალსაზრისითაც მაღალ დონეზე იყოს შესრულებული. ჩვენს კოლექტივებს შეღავათიანი ფასებით ვემსახურებით.

ერთი სასიამოვნო ფაქტიც მინდა აღვნიშნო. ჩვენ ახლა ვმუშაობთ „დიდოსტატის მარჯვენაზე“. ხომ იცით, რა რთულია ასეთი ხალხმრავალი ნაწარმოების დადგმა, მხედველობაში მაქვს წმინდა სადადგმო კულტურა. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზით, თეატრი ვერ გასწვდება სადადგმო ხარჯებს. ჩვენთან მოვიდნენ ბულგარეთ-საქართველოს ერთობლივი წარმოების დირექტორის მოადგილე გიორგი დემეტრაძე და ამავე ასოციაციის წარმომადგენელი თამაზ ჯავახიშვილი. მათ სპონსორობა შემოგვთავაზეს. ისინი იზრუნებენ და გაიღებენ ხარჯებს სადადგმო პრობლემის გადაჭრისათვის. თეატრს დღეს ძალზე ჭირდება თანადგომა და ჩვენ მადლობის მეტი რა გვეთქმის. ახლა სიტყვა შემოქმედებით კოლექტივს ეკუთვნის...

გიორგი თოდაძე — რადგან სიტყვა შემოქმედებით კოლექტივს გადმოგვეცა, ნება მომეცით, გაგაცნოთ ჩვენი სამუშაო განრიგი; ახლა სამი პარალელური სპექტაკლი მზადდება. თემურ ჩხეიძე მუშაობს საიუმენის „მგზნებარე შეყვარებულზე“, იგორ ფილიევი — გიორგი გამსახურდიას „მუნჯის სიზმრებზე“, დავით ანდღულაძე კი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაზე“. მედეა კუჭუხიძე ემზადება რეპეტიციის დაწყებისთვის. მე კი დარეჯან კიკნაველიძესთან ერთად თანახ[illegible] ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვარის“ ინსცენირება და მალე შევუდგები რეპეტიციებს...

ჩვენ შევწყვიტეთ საუბარი. დავით ანდღულაძის ნებართვით დავესწარი რეპეტიციას. თემურ ჩხეიძე ძალზე დაკავებულია. მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხე.

დიდ სარეპეტიციო დარბაზში ძველი ქართული სიმღერით შემეგებნენ მსახიობები: მაია ზედგენიძე, გოგი გელოვანი, ირაკლი უჩანეიშვილი, სოსო გოგიჩაიშვილი, გივი ჩუგუაშვილი, გია ბურჯანაძე, ვაჟა ფირცხალაიშვილი, ამირან ბუაძე. დიდებული სიმღერა სიმხნევეს მატებდა თავად მსახიობებს და თვალწინ დამიდგა მაყურებელიც, რომელსაც ასეთი სიამოვნება ელის. მუშაობდნენ კათოლიკოს მელქისედეკის, გიორგი მეფისა და ზვიად სპასალარის თათბირის ეპიზოდზე.

ნათელა არველაძე — მადლობას მოგახსენებთ, რომ საშუალება მომეცით რეპეტიციაზე დასწრებისა. მინდა „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებს გავაცნო როგორ მუშაობს თქვენი თეატრი. თქვენ ემზადებით მაყურებელთან შესახვედრად და იქნებ გავაცნოთ საზოგადოებას, როგორი ინტერპრეტაციით ნახავს იგი თავის საყვარელ ნაწარმოებს.

დავით ანდღულაძე — თეატრი თავდაუზოგავად მუშაობს. ამ ურთულეს პერიოდში მხოლოდ მუშაობა გვაძლიერებინებს. ასე იყო მაშინაც, როდესაც თბილისის ქუჩებში ტანკები იდგა. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ქართველ ხალხთან ერთად ჩვენც შემართულნი ვიყავით და ვმუშაობდით გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნზე“, ეს იყო ჩვენი ბრძოლის, ჩვენი შეუპოვარი, შეურიგებელი ბრძოლის ფორმა.

სოსო გოგიჩაიშვილი — ჩვენს სათქმელს სცენიდან ვამბობთ. ასე ვუერთებთ ჩვენს გულისთქმას ეროვნულ მოძრაობას.

ნათელა არველაძე — თავად ის ფაქტი, რომ რეპერტუარში „დიდოსტატის მარჯვენა“ შეიტანეთ, ბევრის მთქმელია. არაერთგზის მითქვამს, ქართული თეატრი უთუოდ გაზრდის მაყურებელზე ზემოქმედების პოტენციალს, თუკი ისტორიულ-პატრიოტული სპექტაკლებით, შეესიტყვება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ალორძინებას, მით უფრო ახლა, როდესაც ისტორიული მეხსიერების აღდგენა და პატრიოტული ვნებათაღელვით დამუხტვა საზოგადოებას მოთხოვნილებად ექცა. მეჩვენება, რომ „გრაალის მცველნის“ დამდგმელი ჯგუფის მოქალაქეობრივი პოზიციის ლოგიკური გაგრძელებაა ეს წარმოდგენაც, ქართული სულის ფესვების გააზრებით. გრაალის მცველ რაინდთა მოხმობით, თეატრი შეეცადა წარმოეჩინა ეროვნული რაობაც, მამულის საკეთილდღეოდ თავდადების მზადყოფნაც. ახლა ამ ნიშნით გაერთიანებდი ამ ორ წარმოდგენას.

დავით ანდღულაძე — ძალზე რთულია კონსტანტინე გამსახურდიას ამ ნაწარმოების სასცენო განხორციელება. მარტო იმიტომ კი არა, რომ პროზის სიღრმისეულ შრეებში ჩაწვდომა და მწერლის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ადეკვატური სასცენო ფორმის მიგნებაა რთული, არამედ სტერეოტიპის მსხვრევაც არაა ადვილი. ყოველ ჩვენთაგანს თავისი წარმოდგენა აქვს ამ ნაწარმოებზე. ისინიც კი, ვინც მხოლოდ სიუჟეტის დონეზე იცნობენ პროზას, თავდაუზოგავად დაიცავენ თავიანთ მრწამსს. აღარას ვამბობ განათლებულ საზოგადოებასა და სპეციალისტებზე. ჩვენ უნდა შევთავაზოთ მათ ინდივიდუალური ამოკითხვით შექმნილი სპექტაკლი. ტრადიციისა და დადგენილ მოსაზრებათა წარმატებული გადალახვა, მაყურებლისაგან თანადგომის მიღწევა, იმაზეც არის დამოკიდებული, როგორ შევძლებთ მწერლის სულის შენარჩუნებასაც და ნაწარმოების ახლებური წაკითხვისათვის მხატვრული ფორმის მიგნებასაც. იმისათვის, რომ დაანგრიო სტერეოტიპი, ახალი თვალსაზრისი დამაჯერებელიც უნდა იყოს, თანამედროვე ეპოქის შესატყვისიც და ხელოვნების რანგში ამაღლებულიც.

ნათელა არველაძე — ნაწარმოების დვრიტას, მის უმრწემეს სათქმელს მაინც ვერ გაექცევით. თავიდათავი მაინც საქართველოს გაერთიანების, ტერიტორიალური მთლიანობის შენარჩუნების, ქრისტიანული მორალის აღზევების მოწოდებაა — ამ თვისებათა უგულებელყოფა ნაწარმოების ბუნების ხელყოფა იქნებოდა.

დავით ანდღულაძე — ეს თვისებები ძირითადია. მაგრამ ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი გახდა მეფე გიორგისა და მის თანამზრახველთა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. არსებული პოლიტიკური მოვლენები, ურთულესი კოლიზიებით გამორჩეული თანამედროვე ეპოქა გვიბიძგებს ნაწარმოების შიდა შრეების ამოზიდვისაკენ. ის, რაც შენიღბულად თქვა მწერალმა ტოტალიტარული რეჟიმის დროს, ახლა უნდა გამომზეურდეს მთელი სიცხადით. ეროვნული მოძრაობის დღევანდელმა ეტაპმა ახალი თვალსაზრისით მიგვიყვანა კონსტანტინე გამსახურდიას გმირებთან. ვცდილობთ ჩავუხედოთ მწერლის გულისნადებს. ახლა იცვლება მსოფლმხედველობა. სწორედ ახალი თვალსაზრისის, ახალი პოლიტიკური ორიენტაციის, ახლებური აზროვნების ადამიანთა მრწამსისა და ბრძოლის ფორმას წარმოვაჩენთ საქართველოს გაერთიანების იდეასთან ერთად. ნაწარმოების შიდა პლასტები გვამცნობს, რომ თვისებრივად იცვლება სახელმწიფოს პოლიტიკა მეფე გიორგის წინამძღოლობით.

ნათელა არველაძე — სახელმწიფო სტრუქტურების შეცვლის

# პატივცემულო რედაქცია!

თქვენს გაზეთში ამა წლის 25 იანვარს გამოქვეყნდა წერილი „ვაკეთოთ კარგი ფილმები!“ (მარტო ფილმების „კეთება“ რად ღირს?!), რომელიც პასუხი იყო ჩემს 11 იანვრის სტატიაზე „წინამძღოლობა მძიმე ტვირთია და არა უპირატესობა“.

არ მინდა თავი შევაწყინოთ პასუხის პასუხებით. ახლა ამის არც დროა და არც ადგილი, თანაც ჩემი ოპონენტები და მე იმდენად სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ვართ, რომ მაინც ვერ გავაგებინებთ ერთმანეთს ვერაფერს. ამიტომ გთხოვთ დაბეჭდოთ ეს მოკლე განცხადება:

მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ვრცელ წერილში სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხთან ერთად რამდენიმე წინადადებით შევეხე ამ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მესვეურთა მიერ ჩემი და ჩემი ფილმების, მათ შორის, საერთაშორისო აღიარების მქონე „სინემას“ ქართული კინოდან სრული გარიყვის ფაქტსაც, ჩემი მიზანი არ ყოფილა მხოლოდ ჩემს მიმართ დარღვეული უსამართლობის აღდგენა, იგი უფრო მნიშვნელოვან ამოცანას — კინემატოგრაფისტთა კავშირის მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნას ისახავდა. პასუხმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენს კავშირში პრინციპულად არაფერი იცვლება.

ასეთ პირობებში ძალზე საჩოთიროდ მეჩვენება კავშირის ხარჯზე სწორედ ახლა ჩემი იტალიაში გამგზავრება, რის შესახებაც მკითხველ საზოგადოებას აუწყეს პასუხის ავტორებმა.

ამიტომ გადავწყვიტე, უარი განვაცხადო ფლორენციაში წასვლაზე, ის თანხა კი, რომელიც კავშირმა გამოყო ჩემი იტალიაში გამგზავრებისათვის, უმჯობესია ჩაირიცხოს ეროვნული ფილმოთეკის ფონდში, რომლის დაარსება ახლა უფრო მნიშვნელოვანი საქმეა, ვიდრე ჩემი ფლორენციაში გასეირნება.

**ლიანა ელიავა**
რეჟისორი.
30.I.1991 წ.

---

პროცესის ჩვენებით თქვენ, უთუოდ, აქტიურ წარმოდგენას შექმნით და მიუახლოვდებით ბატონ კონსტანტინეს იდუმალ ზრახვასაც.

**დავით ანდღულაძე** — დიახ, ასეთი ჩანაფიქრი გვაქვს. იმხანად სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდები. მათ სრულიად გამოკვეთილი თვალსაზრისი აქვთ და შემართებით იბრძვიან თავიანთი მრწამსის ალსრულებისათვის. ბაგრატ მესამის დროს, ბიზანტიის იმპერიის სიმძლავრის გამო, სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაცია პრობიზანტიური იყო. ამას აღიქვამდნენ, როგორც ხელშეუხებ, შეუცვლელ ფაქტს. იმიტომ კი არა, რომ სამშობლოს ბედზე არ ზრუნავდნენ, ან თავისუფლება არ სურდათ. მაგრამ იმპერიას მიიჩნევდნენ, როგორც არსებული შეურყეველი სტრუქტურის სახეობას. მასთან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა, რადგანაც საქართველოსთვის დამანგრეველი ძალისა აღმოჩნდებოდა ეს აშკარა დაპირისპირება. მაგალითად, კათოლიკოსი მელქისედეკი მტკიცე ქრისტიანული რწმენის ალორძინებისათვის იბრძვის, რათა ასე გადაარჩინოს ერი ფიზიკური და ზნეობრივი გადაგვარებისაგან.

**ნათელა არველაძე** — მელქისედეკისათვის ბიზანტია ქრისტიანული სამყაროს წინამძღოლია. შესაძლოა ამითაც ამართლებს ბაგრატ მესამის პრობიზანტიურ პოლიტიკას. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მწერალმა ღრმად მოხუცი, თითქმის დავრდომილი და სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფი კათოლიკოსის სახით, უკვე გახწირა პოლიტიკური ორიენტაციის ის ბანაკი, რომელიც მელქისედეკის თანამდგომია. ესეც მხატვრული ხერხია, რომელიც მწერლის ჭეშმარიტი სათქმელის გამომხატველიცაა.

**ირაკლი უჩანეიშვილი** (კათოლიკოს მელქისედეკის როლის შემსრულებელი) — მელქისედეკი ჭეშმარიტი ქრისტიანია, მამულიშვილი, ზნეობრივად აღმატებული, განათლებული და პატრიოტი. მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლია. მე მინდა ვითამაშო ღრმად მორწმუნე, გულწრფელი პატრიოტი, რომელმაც იცხოვრა ბიზანტიის იმპერიის ძლიერების დროს და დაიჯერა, რომ ქრისტიანულ სამყაროს, ამდენად მის მამულსაც, იმპერია დაიცავს უსჯულოსაგან. იგი მომავალსაც თავისებურად შეჰყურებს და არც თუ უმართებულო პოზიცია აქვს. უსჯულოება ემტერება მის ქვეყანას. მას აფიქრებს ქრისტიანული იმპერიის ბედი, რადგანაც მასში ხედავს ქრისტიანული სამყაროს ერთიანობის საყრდენს უსჯულოების საწინააღმდეგო ბრძოლაში. ამიტომაც დგება მეფე გიორგის მხარეზე, მამამზისა და თალაკვა კოლონკელიძის წინააღმდეგ. ის ხედავს, რომ უსჯულოთა ხელით ინგრევა საქართველოს მთლიანობა. ახლა მისთვის ესაა მთავარი. ქრისტიანობის ხსნა — ერის ზნეობის გადარჩენა საქართველოს გაერთიანების საშუალებაა. ბიზანტია კი ქრისტიანული სამყაროს წინამძღოლია. ასეთი ლოგიკით მოქმედებს იგი, რადგანაც თავადაა ქრისტიანობის სინდისი.

**დავით ანდღულაძე** — უფროსმა თაობამ, ბაგრატ მესამემ, კათოლიკოსმა, მამამზემაც და თალაკვა კოლონკელიძემაც, შესაძლოა, ერთადაც შექმნეს ის სახელმწიფო სტრუქტურა, რომელსაც ახლა ებრძვიან გიორგი მეფე, ზვიად სპასალარი და მათი თანამოაზრენი. მათი პოლიტიკა ახალი, ეროვნული თვალსაზრისითაა ნაკარნახევი. ბოროტების იმპერიის ბატონობას ისინი უპირისპირებენ ერთიანი საქართველოს, ქრისტიანული ზნეობით გამორჩეული, დამოუკიდებელი საქართველოს იდეას, რათა შექმნან ქრისტიანობის დასაყრდენი ახლო აღმოსავლეთში.

**ნათელა არველაძე** — საქართველომ შეასრულა ეს ისტორიული მისია, ვიდრე იგი ახალი იმპერიის ქვეშევრდომი გახდებოდა. ითვალისწინებს თუ არა ეს ახალი პოლიტიკური თვალსაზრისი პიროვნებისადმი თვისობრივად ახლებურ დამოკიდებულებას?

**დავით ანდღულაძე** — სწორედ ამ თვალსაზრისს ითვალისწინებს და გამოხატავს ახალგაზრდა თაობის პოზიცია. ამ მიმართებითაც იქნება გახსნილი არსაკიძისა და მეფე გიორგის ურთიერთობაც. მეფე გიორგიმ ახალგაზრდა არსაკიძეში შეიცნო ნიჭი, უნარი, და მას მისცა ფართო გზა. მონა ლაზი იქცა უპირველეს შემოქმედად. მასში სწორედ შემოქმედის ძლიერება შენიშნა მეფემ, მერე კი გაიმეტა, რადგან ვერ გაუძლო სიყვარულის ყოვლისმომცველ ვნებას.

**გია ბურჯანაძე** (გიორგი მეფის როლის შემსრულებელი) — 14 წლის გიორგი გამეფდა. მას ადრევე დააწვა უდიდესი პასუხისმგებლობა ერის წინაშე. იგი აღიზარდა პრობიზანტიური პოლიტიკის გარემოცვაში და თავიდანვე შეისისხლხორცა ამ იმპერიის სიძულვილი. საქართველო მსოფლიო ცივილიზაციის სუბიექტი იყო და ეს სურს გააღრმავოს გიორგი მეფემ. ამისათვის შემოიკრიბა ძლიერი და გონიერი თანამზრახველნი.

**ნათელა არველაძე** — მეფე გიორგის სიძლიერე, გამჭრიახობა, პიროვნული და მეფური ღირსებაა ის, რომ მან სწორედ ძლიერი, გონიერი, თავდადებული, შეგნებით აღსავსე პიროვნებები შემოიკრიბა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზვიად სპასალარმა ყრმა გიორგის პიროვნებაში შენიშნა ქვეყნის მომავალ ცვლილებათა შემძლე. ისიც უნდა გამოჩნდეს, რომ ბაგრატ მესამის ეპოქაშიც არსებობდნენ ბიზანტიურ-იმპერიული ორიენტაციის მოწინააღმდეგენი. თავისუფლებისათვის, საქართველოს გამთლიანებისათვის ბრძოლა პერმანენტულ ხასიათს არ ატარებდა. თავისუფლების იდეა ასულდგმულებდა ერს, მხოლოდ დროის კვალობაზე ადიდდებოდა ეს მდინარე ან მილეულად მიედინებოდა, მაგრამ არასოდეს დამშრალა. ზვიად სპასალარიც ხომ ბაგრატ მესამის კარმა, მისმა ორიენტაციამ ჩამოაყალიბა, მაგრამ მისი ზრახვანი ეროვნული თვალსაზრისითაა გამორჩეული. ამ ნიშნით აღმოაჩინეს მეფე გიორგიმ და სპასალარმა ერთმანეთი. მათი ურთიერთობა რაინდულ კოდექსს ეფუძნება. როგორ მიგაჩნიათ, მათი ურთიერთდამოკიდებულება აბსოლუტურ გულწრფელობაზეა აგებული, თუ არის ერთგვარი „თამაშის“ ელემენტიც? პოლიტიკურ „თამაშს“ ვგულისხმობ.

**გივი ჩუგუაშვილი** (ზვიად სპასალარის როლის შემსრულებელი) — ჩვენ ერთად დავიწყეთ ახალი პოლიტიკური მსოფლმხედველობისათვის ბრძოლა. მართალია ზვიადი ცოტათი უფროსია გიორგიზე, მეფე გიორგი გამჭრიახი გონებით, სიმტკიცით, უშიშროებით სიბლავს სპასალარს. მაგრამ მეფე ფიცხიც არის. ჩემი სპასალარი ცდილობს მოამზადოს სიტუაცია, რათა გიორგიმ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მე მიმაჩნია ოპტიმალურ გამოსავლად, ჩვენ მთავარ საკითხში აბსოლუტური თანამზრახველნი ვართ. გიორგის, როგორც სახელმწიფოს მმართველის მონოლითურობა ისიცაა, რომ მის ირგვლივ მყარი თვალსაზრისის ძლიერი პიროვნებები არიან. თუნდაც ეს ეპიზოდი ავიღოთ. ზვიად სპასალარისა და კათოლიკოს მელქისედეკის თათბირი საინტერესო იქნება იმდენად, რამდენადაც მე უნდა გამიჭირდეს მოხუცის გადმობირება და მამამზესთან წარგზავნა. თავიდან მაყურებელი ეჭვის თვალით უნდა უყურებდეს ჩვენს შეხვედრას. ძლიერი კათოლიკოსი გადაარწმუნა სპასალარმა. რითი? მხოლოდ მტკიცე პოზიციის შემწეობით. პიროვნული სიძლიერე, მყარი პოზიცია, ზეიდეის ერთგულება და პოლიტიკური ელასტიურობა — ის სიმძლავრეა, რომელსაც იყენებენ ახალგაზრდები. თუ ეს პოლიტიკური თამაშია, მხოლოდ ასეთ პატიოსან თამაშს მიმართავენ ისინი. ესაა მხოლოდ, სპასალარმა ვერაფრით ვერ გაუგო გიორგის ერთ საკითხში. მისთვის აბსოლუტურად მიუღებელი და გაუგებარი აღმოჩნდა შორენასადმი მეფის სიყვარული.

**დავით ანდღულაძე** — როდესაც სტერეოტიპებზე ვლაპარაკობდი, ფარსმან სპარსის პიროვნებაც მქონდა მხედველობაში. ფარსმანს თამაშობენ ოთარ მეღვინეთუხუცესი და მარლენ ეგუტია. ბოლოსდაბოლოს, ვინ არის ფარსმანი? იგი საინტერესო ადამიანია, განათლებული და მრავალმხრივი, ნიჭიერი და პოლიტიკაში გათვითცნობიერებულიც, მე ვიტყოდი, უაღრესად ბრძენიც. იგი ნაზიარებია აღმოსავლურ სიბრძნესაც და თვალთმაქცობასაც, ვერაგობასაც, თუ გნებავთ. ისტორიულმა ბედუკუღმართობამ რამდენი ასეთი ადამიანი დააკარგვინა საქართველოს და გააუცხოვა საკუთარი ერისაგან? ესეც მნიშვნელოვანი პრობლემაა. ბაგრატ მესამის ეპოქამ ლტოლვილად აქცია ეს პოტენციური ნიჭი, რომელიც ასე მრავალმხრივად გამოადგებოდა სახელმწიფოს. ასეთი პოზიციით განახორციელებენ მსახიობები ფარსმან სპარსის სახეს. მთავარია, რომ ჩვენ მოვახერხოთ ნაწარმოების შეუცნობელ შრეებში შეღწევა, ძალა და უნარი აღმოგვაჩნდეს მათთვის სასცენო სასიერების მინიჭებისა. თავად ნაწარმოებია მრავალწახნაგოვანი და დაუსრულებლად შეგიძლია ამოკრიბო შენი პოზიციის დასაყრდენი მარცვლები...

**ნათელა არველაძე** — ჭეშმარიტება უნდა იყოს ყველაფერზე მაღლა. ქართველებისათვის სამშობლოც ჭეშმარიტებაა, ამიტომაცაა მამული ყველაფერზე მაღლა. მამულის გადარჩენისათვისაა აღმდგარი დღეს ქართველობა და თავისი სპექტაკლებით ქართული თეატრიც იბრძვის. გისურვებთ წარმატებას ამ მთავარ ბრძოლის ველზე...

პოლიტიკური მოვლენები ახლა უსწრაფესად იცვლება. რა იქნება ხვალ? პრემიერამდე? დამდგმელ ჯგუფს მყარი პოზიცია აქვს, იცის, რისთვის დგამს სწორედ დღეს „დიდოსტატის მარჯვენას“. მუშაობის პროცესში ბევრი რამ დაიხვეწება, შეივსება, შეიცვლება კიდეც, ესეც ბუნებრივი პროცესია. უცვლელია მხოლოდ რწმენა იმისა, რომ მსახიობიც ერის თავდადებული ჯარისკაცია და სცენაზე გადის, როგორც ბრძოლის ველზე.

---

# როცა გაჭირვებაშიც გვემღერება

„სანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილზე ფიქრი“, — უთქვამს დიდ ადამიანს.

ის კონცერტი, რომელიც ამ საყოველთაო გაჭირვების ჟამს გაიმართა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით, სამაჩაბლოში დაღუპულ ქართველ მილიციელთა ხსოვნას მიეძღვნა და მთელი შემოსავალიც სამაჩაბლოს ფონდში გადაირიცხა. ალბათ შორს წაგვიყვანდა დღეს იმაზე საუბარი, რამდენ კარგ საქმეს აკეთებს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოება ბატონ გურამ ფანჯიკიძის ხელმძღვანელობით, აკეთებს უხმაუროდ. ყველანაირად ცდილობს ხელი შეუწყოს ქართველი ხალხის გაერთიანებას, საქართველოს ეროვნულ, დემოგრაფიულ, კულტურულ აღორძინებას.

კონცერტის დასაწყისში დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო სამაჩაბლოში დაღუპული მილიციელების ხსოვნას.

საღამოზე მაყურებლის წინაშე პირველად წარსდგა დავით აღმაშენებლის საზოგადოებასთან არსებული ქალთა ეროვნული კამერული ორკესტრი, რომელიც ახლახან შეიქმნა. ორკესტრი დაკომპლექტებულია მაღალპროფესიული მუსიკოსებით (დირიჟორი გელა ჩაჩხიანი). დებიუტმა მშვენივრად ჩაიარა, მაყურებელმა მოწონებით მიიღო მათ მიერ მაღალ დონეზე შესრულებული ვივალდის, კორელისა და სულხან ცინცაძის ნაწარმოებები. ვფიქრობ, მკითხველის წინაშე წარდგენა აღარ სჭირდება დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების ვაჟთა ფოლკლორულ გუნდს „შარავანდს“, რომელსაც სულ რაღაც ექვსი თვის ისტორია აქვს. „შარავანდმა“ პირველი კონცერტი შარშან, 13 დეკემბერს გამართა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. (ხელმძღვანელები არიან — მიხეილ მცურავიშვილი, ოთარ ბერძენიშვილი და ისლამ ფილფანი). ფოლკლორულმა გუნდმა შეასრულა „ხასანბეგურა“, „ქართლ-კახური“, „გუთნური“, „დიდება ღმერთს“, შოთა მილორავას „სიმღერა საქართველოზე“ (იოსებ ნონეშვილის ტექსტზე) და სხვა. „შარავანდი“ ბატონ გურამ ფანჯიკიძის დიდი მონდომების შედეგად შეიქმნა — მითხრა ბატონმა მიხეილ მცურავიშვილმა —მერე გუნდში სამუშაოდ მივიწვიეთ გურულ-მეგრული სიმღერების შესანიშნავი მცოდნე ოთარ ბერძენიშვილი და სვანური სიმღერებისა და ჭუნირის საუცხოო ოსტატი ისლამ ფილფანი. გუნდში მონდომებული ბიჭები არიან, ბევრი კარგი საქმე გვაქვს ჩაფიქრებული, თუმცა, წინასწარ ამაზე ლაპარაკი არ ღირს“.

კონცერტზე წარმატება ხვდა ხალხურ საკრავთა ანსამბლს. არაფერს ვამბობ იმაზე, რა სასიამოვნო მოვლენა იყო საზოგადოებისათვის სცენაზე შესანიშნავი პოეტების — ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძისა და ჯანსუღ ჩარკვიანის გამოჩენა, რომლებმაც საკუთარი ლექსები წაიკითხეს. ქალბატონი ანა, ბატონი მურმანი და ბატონი ჯანსუღი დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების არა მარტო ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში იღებენ აქტიურ მონაწილეობას, არამედ ასეთ საქველმოქმედო კონცერტებშიც გამოდიან. კონცერტზე თავისი პოეზიით წარსდგა ახალგაზრდა პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი. ქართული პოეზიის ნიმუშები წაიკითხეს მხატვრული კითხვის ცნობილმა ოსტატმა ელდინო საღარაძემ, მსახიობებმა ლალი ლოხიშვილმა და ზაზა მაღალაშვილმა.

საღამოზე ითქვა — ქართველი კაცი ცრემლს შეგუებულია, რა გაჭირვებაში უნდა ჩავარდეს, ლექსზე და სიმღერაზე ხელი აიღოსო. ჭეშმარიტად. როცა კაცს გაჭირვებაშიც სიმღერა შეუძლია, ალბათ ძნელი იქნება მისი დაჩოქება. ისიც აღინიშნა, რომ მიუხედავად გარშემო ასეთი დაძაბული მდგომარეობისა, ასეთი საქველმოქმედო საღამოები ხშირად უნდა იმართებოდეს, და ეჭვიც არ გვეპარება, სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოება, ვინც ამდენ კარგ მამულიშვილურ საქმეს დაუდო სათავე, პოეზიისა და მუსიკის საღამოებს საქართველოს ყველა კუთხეში გამართავს.

**ციცინო ჯერვალიძე**

---

**ქართულ-ევროპული ინსტიტუტი აცხადებს**

პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტი აცხადებს ყოველწლიურ კონკურსს ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად (10000 ფრ. ფრანკი).

ა) ქართულ ან რომელიმე ევროპულ ენაზე დაწერილ (გამოქვეყნებულ ან გამოუქვეყნებელ) ლიტერატურულ, პუბლიცისტურ, ისტორიოსოფიური ხასიათის ორიგინალურ გამოკვლევაში.

ბ) ქართული ან დასავლეთ ევროპული ლიტერატურის თარგმანში.

პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტი აცხადებს ახალგაზრდა (35 წლამდე) ჰუმანიტართა ყოველწლიურ კონკურსს გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, ახალგაზრდობის დიდი მოამაგის, მერაბ მამარდაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად (5000 ფრ. ფრანკი) ფილოსოფიაში, კულტუროლოგიასა და ფილოლოგიაში (ნაშრომებს უნდა ახლდეს თარგმანი ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე).

ნაშრომების ინსტიტუტში წარდგენის ვადაა 1991 წლის 1 სექტემბერი. ხელნაწერები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

**Institut Géorgien-Europeén, Comité de séléction du prix 5, Rue Chasseloup-Laubat 75015 Paris, France.**

**ჯანრი კაშია,**
ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორი, ჟიურის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუთუ ქველმოქმედება დასაგმობია?!



გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1990 წლის 19 ოქტომბრის ნომერში რედაქტორთა საბჭოს სახელით გამოქვეყნებულ სტატიაში „რეგიონალური“... გაკრიტიკებულია საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“.

გაკრიტიკებულია არა მისი საქმიანობის გამო, არამედ... არსებობისათვის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი საზოგადოება წმინდა წყლის საქველმოქმედო ორგანიზაციაა, გამოდის, რომ ჩვენთან ერთად აუგად არის ნახსენები თვით ქველმოქმედების არსიც.

სათქმელს თავშივე ვიტყვი: დარწმუნებული ვარ, აქ გაუგებრობას აქვს ადგილი, რადგან, პირადად მე, ისეთი სოლიდური გაზეთი, როგორიც „ლიტერატურული საქართველოა“, ვერაფრით ვერ წარმომიდგენია ქველმოქმედების მგმობელის როლში.

გაუგებრობა, ვფიქრობ, გამოიწვია იმან, რომ სტატიის ავტორები საერთოდ არ იცნობენ ჩვენი საზოგადოების საქმიანობას.

შევეცდები ეს „თეთრი ლაქა“ შევავსო.

რატომ შეიქმნა ეს საზოგადოება და რას წარმოადგენს იგი?

იგი შეიქმნა იმისათვის, რომ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხე — რაჭა, უკიდურესი სოციალური ჩამორჩენილობის და მოსახლეობის დასაქმების პრობლემების მოუგვარებლობის გამო, გაქრობის პირასაა და თუ ყველა, ერიც და ბერიც მხარში არ ამოვუდექით, ჩვენი სამშობლოს მეორე უძველესი კუთხის — ხევსურეთის ბედს გაიზიარებს, სადაც მოსახლეობა უკვე თითქმის აღარ არის.

...არა გჯერათ?

XIX საუკუნის მიწურულს რაჭის მოსახლეობა 72742 კაცს შეადგენდა, დღეს კი აქ 29000 მაცხოვრებელია და აქედან 60 პროცენტზე მეტი პენსიონერია. სწორედ ამის გამოა, რომ რაჭაში სიკვდილიანობა სამჯერ სჭარბობს შობადობას; იხურება სკოლები, უკაცრიელდება სოფლები, მიგრაციის ტემპები არ ეცემა: გარბიან ცალცალკე, გარბიან ოჯახებით, გარბიან მთელი სოფლები.

ფერებს ვამუქებ?

სრულებითაც არა; საზოგადოებრიობას შარშანდელი ტელეგადაცემებიდან კარგად ახსოვს, თუ როგორ აპირებდა რაჭის ყველაზე დიდი სოფელი, საქართველოს ჩრდილოეთის ერთ-ერთი ჭიშკარი — ღები გადასახლებას და თუ ეს სავალალო საქმე ჯერჯერობით არ მოხდა, საზოგადოება „რაჭის“ და, უპირველეს ყოვლისა, თვით ღებელების დამსახურებაა.

რა ვქნათ ახლა, დავიკრიფოთ გულზე ხელი და ვუცქიროთ, თუ როგორ უკაცრიელდება რაჭა, სხვა კუთხეთა მსგავსად თანდათანობით როგორ დაეპატრონებიან საქართველოს ამ უძველეს მიწა-წყალს უცხოტომელი „ძმები“?

იქნება მხოლოდ სახელმწიფოს იმედით უნდა ვიყოთ, სახელმწიფოსი, რომელმაც ქალაქსა და სოფელს შორის ზღვრის წაშლის მაგივრად, როგორც მისი ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი ღაღადებდა, უფსკრული გათხარა მათ შორის?

ჰოდა, შეიკრიბნენ ამ კუთხიდან გამოსული ადამიანები ერთადერთი მიზნით, თავიანთი შესაძლებლობების და უნარის ფარგლებში მცირედით მაინც დახმარებოდნენ საქართველოს ამ ძნელბედობის ჟამს.

დიახ, დიახ, საქართველოს — რადგან რაჭაც საქართველოა და მასზე ზრუნვა საქართველოზე ზრუნვაა სწორედ.

„რატომ მაინცდამაინც რაჭა და არა საინგილო, ან კახეთი, ან სამეგრელო, ან ქართლი, ან მესხეთი... განა ამ კუთხეებს არ უჭირსო?“ — ვკითხულობთ სტატიაში.

ყოვლად უსამართლო ბრალდებაა, სად, რომელ ქვეყანაში, რომელ დროში უკრძალავდნენ ადამიანებს თუ ადამიანთა ჯგუფს ქველმოქმედებას იმის გამო, რატომ ამ კუთხეს ან ამ დარგს ეხმარებით და არა სხვასო?

ბრალდება უსამართლოა, მაგრამ მე მაინც ვუპასუხებ: იმიტომ, რომ ჩვენ ყველაზე კარგად რაჭის სატკივარი ვიცით და, ამდენად, სწორედ ამ კუთხეზე ზრუნვით შეგვიძლია მაქსიმალურად ვემსახუროთ დედასაქართველოს.

სხვა მხრივაცაა ზემოთდასმული შეკითხვა გაუგებარი: განა ვინმეს ეეჭვება, რომ დღეს რაჭა ათასწილად უფრო გაჭირვებულია, ვიდრე სამეგრელო, ქართლი ან კახეთი?

სხვა საქმეა საქართველოს მთიანეთის დანარჩენი კუთხეები, რომელთაც რაჭაზე ნაკლებ მართლაც არ უჭირთ.

ჩვენ რაჭაზე ნაკლებად როდი გვიყვარს ისინი და თუ მხოლოდ ერთ კუთხეზე ზრუნვით შემოვიფარგლეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია და ყველას კი არა, მასაც ვერ ვეხმარებით ისე, როგორც საჭიროა.

საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მასობრიობასა და მის მოქნილ ორგანიზაციულ წყობაზე. რაჭაში 188 სოფელია და, ბუნებრივია, საზოგადოების გამგეობა ვერ შეძლებს ყველა მათგანის პრობლემებზე მუშაობას. სწორედ ამის გამო დავიწყეთ განყოფილებების შექმნა ცალკეული სოფლების მიხედვით, რომლებიც სოფელში ჯერ კიდევ დარჩენილ მაცხოვრებლებთან ერთად სწავლობენ პრობლემებს და საზოგადოების გამგეობასთან ერთად მეტნაკლები წარმატებით სწყვეტენ კიდეც მათ.

სწორედ ამითაა, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება ყველაზე მრავალრიცხოვანია საქველმოქმედო საზოგადოებებს შორის: მის რიგებში დღეისათვის 6000 კაცამდეა და დღითი-დღე იზრდება.

ნიკორწმინდელთა საზოგადოებაზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, იგი სულ ცოტა ხანია, რაც შეიქმნა. სხვებზე ვთქვათ. საზოგადოების სოფელ სხვავის განყოფილებამ სიხამთის სათიბებზე კვლავ აღადგინა საავტომობილო გზა და შვებულების პერიოდში სოფლელებთან ერთად 150 ტონა თივა დაამზადა. მათი ინიციატივით შეკეთდა სოფლის ეკლესია, რომელსაც 1991 წელს მოხატავენ კიდეც. აშენდა სოფელში შესასვლელი ხიდი და სხვ.

ამავე საქმეებითაა დაკავებული მრავალძალის, ჭვარისას, ხოტევის და სხვა სოფლების განყოფილებები.

„ეს კრებაც თბილისში ტარდება და „რაჭის“ ნიკორწმინდის განყოფილებაც თბილისში დაფუძნდება“ — წერენ სტატიის ავტორები.

საოცარია პირდაპირ, ხალხი, რომელთაც დახმარება სურთ გაუწიონ ნიკორწმინდას, ცხოვრობენ თბილისში და, თუ არა თბილისში, მაშ, სად უნდა ჩატარებულიყო დამფუძნებელი კრება? ეს ხომ მხოლოდ დაფუძნებაა და არა პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სოფლის მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობს.

ან რატომ არ შეიძლება საქველმოქმედო საზოგადოება დაფუძნდეს თბილისში და ეხმარებოდეს სოფელს?

ასეთი მსჯელობით საზოგადოება „ფერეიდანი“ ფერეიდანში უნდა დაფუძნებულიყო და იქვე მუშაობდეს, „ჯავახეთი“ — ჯავახეთში, „ლემი“ სვანეთში, ხოლო „დებორა“... თბილისში, წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკელ ექიმებს თბილისელი ბავშვების მკურნალობის უფლება არ ექნებოდათ.

„ახლა სასოფლო „განყოფილებები“ ნახეთ... ერთ დღესაც გაივლით თბილისის ქუჩებში და სახლს ვეღარ ვნახავთ, რომ ზედ ეთნოგრაფიული კოლორიტით გაფორმებული ფირნიში არ ეკრას...“

მაინც სად ნახეს სტატიის ავტორებმა ეს ფირნიშები, ან სად ამოიკითხეს, რომ მათთვის ვინმე ბინას ითხოვდეს?

არავითარი „ოფისები“ და სარეკლამო ფირნიშები ამ ხალხს არ სჭირდება. იკრიბებიან ისინი სამუშაო საათების შემდეგ რომელიმე მათგანის სასამსახურო კაბინეტში და ძალზე კმაყოფილნიც არიან, თუ მცირედით მაინც დაეხმარებიან ერთ დროს აყვავებულ, ეხლა კი გაქრობის პირას მისულ მამა-პაპათა საცხოვრისს. იქნებ ვინმე ფიქრობს, თითქოს ამ განყოფილებებში უკლებლივ ყველა რაჭიდან გამოსული იყოს გაერთიანებული. ჩვენი მიახლოებითი გაანგარიშებით თბილისში ასეთთა რიცხვი 80000-მდე აღწევს, ხოლო „რაჭაში“, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 6000 კაცი ირიცხება. როგორც ხედავთ, რაჭიდან გამოსული თბილისელების აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესების სფეროს რაჭაზე ზრუნვა სულაც არ წარმოადგენს. ამ ექვსიათასს კი თავისუფალი დრო და სახსრები რაჭის სოფლების უმძიმესი ხვედრის შემსუბუქებას სურს მოახმაროს.

სურს და ახმარს კიდეც.

„აქტიურად ილვაწოს საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის — რაჭის გამაჩანაგებელი პროცესის, მიგრაციის შესაჩერებლად, ხელი შეუწყოს რაჭის მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას, იზრუნოს რაჭის ეკოლოგიური სიწმინდისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლების აღდგენა-მოვლისათვის, მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს რესპუბლიკის გარეთ, უწინარეს ყოვლისა, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობასთან, დაეხმაროს მათ საქართველოდან ინფორმაციის მიღებაში, ილვაწოს სამშობლოში მათი დაბრუნებისათვის“ — წერია „რაჭის“ წესდებაში და სწორედ ამ საქმითაა დაკავებული იგი.

რაჭველ გლეხს ოდითგან სტანჯავდა სათბობის პრობლემა, რომლის ერთადერთ სახეობად შეშა რჩება. მის დამზადებასა და ზამთრისათვის მომარაგებას იგი აქაური ხანმოკლე დარიანი ამინდების თითქმის მესამედს ანდომებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის, რაც ქალაქში მცხოვრებ ოჯახებს სრულიად უშრომლად, რამდენიმე ათეული კაპიკის ფასად გვაქვს, იქაურ კაცს ცხრაპირი ოფლის ფასად უჯდება. ოფლი ოფლად, მაგრამ ტრაგედია მაინც სხვა რამეში იმალება; რაჭის ზოგ ადგილებში მთლიანად გაიჩეხა შეშად გამოსაყენებელი მაგარი ჯიშის ტყე, რომლის ადგილი წიწვიანმა, ძირითადად სოჭმა დაიკავა, ხოლო სხვაგან გაჩეხვის პირასაა მისული. —ძვირფასი მერქნის მოსპობას ვინლა ჩივის, საქმე აქ ჯერ კიდევ შემორჩენილ მოსახლეობის ყოფნა-არყოფნას ეხება, რადგან გაუსაძლის ყინვაში ადამიანს კი არა, მგელსაც უჭირს გაძლება.

ძალზე გვიხარია, რომ ამ კუთხის ეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემათაგანი სწორედ ჩვენმა საზოგადოებამ დასძრა ადგილიდან. კერძოდ დაპროექტდა და საზოგადოების სახსრებითა და მატერიალური რესურსებით მიმდინარეობს ექვსი სოფლის გაზიფიკაციის სამუშაოები; გრძელდება სხვა სოფლების გაზიფიკაციის პროექტის შედგენა, რომელთა რეალიზება თანდათანობით მოხდება და უახლოეს წლებში უნდა დამთავრდეს.

ოპონენტთა საყურადღებოდ აქვე ვიტყვი, რომ მაღალი წნევის გაზსადენი სათბობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ გაერთიანება „საქსამთოქიმიის“ სახსრებით იქნა შეყვანილი და მხოლოდ ურავის სამთო-ქიმიური კომბინატისათვის იყო გათვალისწინებული, ხოლო სოფლების გაზიფიკაცია საერთოდ არ იყო დაგეგმილი.

საზოგადოების უშუალო ჩარევით დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ღლოლა-ჭიორა-ღების გზის ახალი ტრასის მშენებლობა.

ჩვენი სახსრებით კეთდება სოფლების: ზედა ჟოშხის, პირველი და მეორე ტოლის, მრავალძალის გზები, თლუღის წყალსადენი, სირხონისის ტელეფონიზაცია, ბუგეულის სკოლის რემონტი და სხვა.

ფულადი დახმარება გავუწიეთ რაჭაში მცხოვრებ 5 ოჯახს, რომელთაც ხანძრისგან სახლები დაეწვათ.

საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით, მიმდინარე წლიდან რაჭის ორივე რაიონს ქალაქ ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელში ყოველწლიურად გამოეყოფა თხუთმეტ-თხუთმეტი ადგილი, რამაც უახლოეს წლებში ბოლო უნდა მოუღოს ექთანთა კადრების ქრონიკულ უკმარისობას.

მხოლოდ ჩვენი საზოგადოების ჩარევის შედეგად მოხერხდა ონის რაიონის სოფლების — ღებისა და ჭიორას გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა. 1991 წლიდან რაიონის სხვა სოფლებიც აუცილებლად უნდა გადავიდნენ მეურნეობის ამ პროგრესულ ფორმაზე, რასაც დიდი ხანია ითხოვენ ისინი ჩვენი საზოგადოების გამგეობის სახელზე გამოგზავნილ კოლექტიურ წერილებში.

საზოგადოების გამგეობამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი შაორის ხელოვნური ტბის პრობლემას. თუ ვინმეს ჩვენი აზრი აინტერესებს, ვიტყვით, რომ ჩვენ დიდი ხანია ვიბრძვით მისი დაშრობისათვის, რადგან ამ ტბამ აშკარად დაარღვია მიმდინარე ტერიტორიის ეკოლოგიური ბალანსი და ნიკორწმინდის უნიკალური ტაძრის დაავადებაშიც ლომის წილი უდევს. მან ეკონომიკურად კიდევ უფრო გაალარიბა ისედაც ღარიბი მხარე, რადგან წყლის ქვეშ აღმოჩნდა 1 800 ჰექტარი.

სწორედ ჩვენი საზოგადოების მოთხოვნით შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიასთან ამ პრობლემის შემსწავლელი კომისია (თავმჯდომარე აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე). ამ კომისიამ უკვე გამართა რამდენიმე სხდომა, მათ შორის ერთი უშუალოდ შაორზე. კომისია მალე წარუდგენს თავის დასკვნას საქართველოს უზენაეს საბჭოს და ფართო საზოგადოებას.

საზოგადოებაში გაერთიანებული სპეციალისტების მიერ შემუშავდა რაჭის სოციალ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, სადაც კონკრეტულად განსაზღვრულია, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, საზოგადოება „რაჭამ“ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

ეს პროგრამა ამჟამად დამტკიცების პროცესშია, თუმცა ზოგიერთი აქ გათვალისწინებული საკითხების შესრულება უკვე მიმდინარეობს.

„რაჭის“ დაფუძნების პირველსავე კვირას ჩვენთან ჩამოვიდა ქალაქ კისლოვოდსკის ქართველ მაცხოვრებელთა დელეგაცია, რომელსაც ნალჩიკის ქართველი მოსახლეობის დეპუტაციაც მოჰყვა. თხოვნა ერთადერთი იყო — დავხმარებოდით საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნებაში. სულ მალე ჩვენ თვითონ გავემგზავრეთ კისლოვოდსკში, ნალჩიკსა და ვლადიკავკაზში, სადაც ადგილზე შევხვდით ქართულ ოჯახებს. ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოვიტანეთ 4000 ოჯახის სია, რომელთაც დაუყოვნებლივ სურთ სამშობლოში დაბრუნება. მათთან შეთანხმებით ადგილებიც შევარჩიეთ და სათანადო წინადადებითაც შევედით საქართველოს მინისტრთა საბჭოში.

აი, არასრულად და ისიც ძალზე მოკლედ, რისი გაკეთებაც მოვასწარით დაფუძნებიდან გასული ათი თვის განმავლობაში.

მსჯავრი თქვენთვის მოგვინდია, პატივცემულო მკითხველო.

**ალკაზარ კაციტაძე**
საქველმოქმედო საზოგადოების „რაჭის“ თავმჯდომარე

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება საზოგადოება „რაჭის“ ფონდში.

---

**რედაქციისაგან:**

ამ წერილის ავტორს რომ საფუძვლიანად ვუპასუხოთ, ხელმეორედ უნდა გადმოვბეჭდოთ ადრე ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული სარედაქციო წერილის („რეგიონალური...“) ის ნაწილი, რომელიც რეგიონალურ საქველმოქმედო საზოგადოებებს ეხება. ამის გაკეთება, ცხადია, აზრი არა აქვს, ყველას შეუძლია ალკაზარ კაციტაძის წერილის „ფონზე“ კიდევ ერთხელ წაიკითხოს იგი.

ვფიქრობთ, წერილის ავტორმა კარგად ვერ გაიგო იმ პუბლიკაციის დედააზრი, თავისი მსჯელობა ქველმოქმედების კეთილშობილების დამტკიცებაზე ააგო, თითქოს ჩვენ ქველმოქმედებას ვებრძოდეთ. არადა, წერილში სულ სხვა რამ იყო ნათქვამი — ჩვენ მხოლოდ რესპუბლიკაში აშკარად გამოკვეთილ არაჯანსაღ ტენდენციაზე მივუთითეთ — როცა ქველმოქმედების საფარქვეშ კუთხურობა იმალება, როცა, ვთქვათ, „თბილისელი რაჭველები“ რაჭას „პატრონობენ“, თბილისელი „სხვაკუთხელები“ კი — თავთავიანთ კუთხეებს.

სარედაქციო წერილში ნათლად იყო მინიშნებული, რომ ჩვენ, ყველამ საერთო ძალით უნდა ვიბრძოლოთ ნამდვილი, დემოკრატიული სამშობლოს აშენებისათვის. ისეთი სახელმწიფო სტრუქტურა, ისეთი საზოგადოებრივი მექანიზმი უნდა შევქმნათ, რომელიც ძირშივე გამორიცხავს დემოგრაფიულ ანომალიებს, გამორიცხავს იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიც დღესაა ჩავარდნილი რაჭა, ხევსურეთი, თუშეთი... დღეს სოკოებივით წამომრავლებულ „მშობლიურ საზოგადოებებს“ კი ამ გზით არ მივყავართ, პირიქით — გლობალურ პრობლემებს ვშორდებით. ჩვენ არ გვეეჭვება „რაჭელთა“ კეთილშობილება და უანგარობა, მაგრამ ისიც გვწამს, რომ სოფლებიდან გამოქცეულთა თბილისური საზოგადოებები ამინდს ვერ შექმნიან. ჩვენ მთავარ ძალღვს უნდა მივაგნოთ და საერთო ეროვნული ძალებით უნდა ვმართოთ მოვლენები.

# საქართველო, ტფილისი

### საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

### საპასუხო წერილი მ. დ. ორახელაშვილს

## ლეო რუსაძე

ან თუ ჩიჩერინის კომუნისტობას არ ბღალავს ის ფაქტი, რომ ის ხშირათ გამოდის პოლონეთში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის დამცველათ, რათ უნდა ბღალავდეს ჩემს სოციალისტობას და მოწამლულ შოვინისტათ მხდიდეს დავით გარეჯის ისტორიის მოყვანა, აბო ტფილელისა და ნერსე ერისთავის გახსენება? მე არც ცოცხალი მღვდლების და ეკლესიის დაცვა შემრცხვებოდა, როცა საქმე ეხება ეროვნულ ჩაგვრას, მაგრამ მგონია რამოდენიმე განსხვავება მაინც არის პოლონეთის ეხლანდელ რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიის დაცვასა და ჩვენი ქართული ძველი ისტორიული საბუთების მოყვანას შორის. და რომ ზედმეტი არც ყოფილა ხანდახან ეროვნულ სიძველეებზედაც ლაპარაკი და გახსენება, ეს თუნდ იქიდანაც კარგათ სჩანს, რომ საქართველოში მიუხედავად თქვენი განცხადებისა, რომ ისტორიულ სიძველეებზე ზრუნავს განათლების კომისარიატთან არსებული კომისია, ამ მხრით მგონი ყველაფერი რიგზე არ არის. აილეთ მთავრობის ორგანო „ზარია ვოსტოკა“ № 601, ამა წლის ივნისის 18-სა, რომელშიდაც მოთავსებულია ინტერვიუ კულტურაზე და ეროვნებაზე ანატოლ ლუნაჩარსკისთან, რომელიც ასე ალტაცებით ლაპარაკობს განსაკუთრებით საქართველოს ეროვნული კულტურის გაცნობის სურვილზე და წაიკითხეთ იმავე გვერდზე ქვევით კორესპონდენცია სამხრეთ ოსეთიდან მოქ. ვლ. ტატიშვილისა, რომელიც მოგვითხრობს, რომ სამხ. ოსეთის ჯანმრთელობის კომისარი აბანოს შენებას შეუდგა XII საუკუნის ისტორიულ ტბეთის ტაძრისაგან და რომ ზოგიერთ ქვებზე მან შეამჩნია „შესანიშნავი მოტივები ძველი ორნამენტიკისა და ფრესკების კვალი“. მე მახსოვს როგორ ისტერიულათ იკივლა სწორეთ ანატოლ ლუნაჩარსკიმ, როდესაც სამოქალაქო ომის დროს ყუმბარამ გაკაწრა, თუ გაბზარა, არ ვიცი ვგონებ „ვასილი ბლაჟენის“ სამრეკლოს გუმბათი, თუ „უსპენსკის“ სობორო (რომელიც წითელ კრემლშია და რომელშიდაც აი ამ დღეებში, მგონი თვით კომინტერნის პარალელურათ, გაიხსნა რუსეთის სამღვდელოების კრებული), მაგრამ არ ვიცი რას ემზგავსებოდა მისი აღშფოთება, რომ ამ ძეგლების ჩუქურთმებიანი და ფრესკებიანი ისტორიული კედლები ვინმეს აბანოს საშენ ქვებათ დაერღვია და მოეხმარა?!. და ნუთუ გონია ვისმეს, ან არის სადმე ფანატიკოსი კიდევ, რომელიც კოსმოპოლიტიზმის უსაზო სივრცეში დასცურავს, რომ სირცხვილი და შოვინიზმია ლაპარაკი და წერა მისი ერის ისტორიაზე და უფლებებზე, რომ ყველას აქვს უფლება პატივი სცეს და დააფასოს მისი ეროვნული წარსული?!

ვინ იცის შეიძლება მართლაც ვცდებოდე და ვერ შევძელი ავსულიყავ თანამედროვე სამართლიანობის გაგებამდე. იქნებ თვით ტატიშვილის გულისტკენაც უბრალო გულუბრყვილობაა და ნამდვილათ კი სწორეთ ასე უნდა მომხდარიყო, რომ იქნებ შეიძლება საქართველოს არაფერი ხელი არა აქვს სამხრეთ ოსეთზე და იქ ეხლა სწორდება საუკუნეთა უსამართლობა, „ძირიან ფესვიანათ ითხრება ქართული დიდმპყრობელური“ შოვინიზმი „და სწორეთ ძველი ტაძრების დანგრევაც ამ ინტერნაციონალურ“ საქმეს ემსახურება?!. ამის სიმპტომები თითქოს სხვა რამეშიაც სჩინოთაა გამოხატული. „კომუნისტის“ მეათასე ნომრის სტატისტიკაში ამოვიკითხე, რომ სამხრეთ ოსეთში ოთხი ცალი ქართული გაზეთია გამოწერილით. ბარაქალა, რომ ოთხი ქართველი „შოვინისტი“ კიდევ დარჩენილა იქ, რომ ქართული გაზეთი გამოუწერიათ და ეს იმ დროს, როცა სამხრეთ ოსეთში შედის საგრძნობი ნაწილი ქართული სოფლებისა და თვით ცხინვალში, როგორც ეხლა უწოდებენ სატახტო ქალაქში, არა თუ რუსი არ მოიპოვება, არამედ ოსებიც კი ნაკლებათ მოიძებნებიან. მაგრამ ეს იჭვები ხომ უფრო გაბედულათ შეიძლება ითქვას აფხაზეთზედაც. იქნებ მართლა ტყვილა ვატარებ თუნდ ოდნავ იმედსაც კი, რომ მოკავშირე რუსეთი რამდენიმეთ მაინც დააკმაყოფილებს ჯიქეთში საქართველოს ეროვნულ და საარსებო ინტერესებს ტერიტორიალურ საკითხში, როცა თვით აფხაზეთზედაც ნაკლები იმედები უნდა დაგვრჩეს თურმე ამ მხრით. ასეთი იჭვებისთვის ხომ „კომუნისტის“ იმავე მეათასე ნომერში საკმაო საბუთია, თურმე მთელ აფხაზეთში ქართული გაზეთი გამოწერილია მხოლოდ 20 ცალი. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ იმ კუთხეში, სადაც მცხოვრებთა შედარებითი უმრავლესობა ქართველობაა, ხოლო ქალაქები კი ყოველთვის ქართულ ფერს ატარებდენ, სადაც თვით თვითმპყრობელობის დროსაც კი გადიოდა რამოდენიმე ასეული ცალი ქართული გაზეთისა, დღეს საბჭოთა წყობილების დროს, როცა გაზეთის გავრცელებას პარტიული დისციპლინის წესით რამდენიმეთ მაინც იძულებითი ხასიათი აქვს, მაშინ აფხაზეთში მხოლოდ ოცი ფოსტით გამოწერილი ქართული გაზეთი სა- და აი, არა საპოლემიკოთა და დიპლომატიურათ, არა საჯაროთ, არამედ თქვენი სინდისის წინაშე სთქვით, თუ ვის აქვს უფლება ისტორიული ეტნოგრაფიული, ეკონომიური და ყოველგვარი სამართლიანობის, რუსეთს თუ ამიერკავკასიას? ვინ უნდა დასახლდეს იქ: რუსები, ნემცები, იტალიელები და სხვა, თუ დამშეული რაჭველი და საერთოთ ქართველი გლეხობა, რომელსაც აღმოსავლეთითა და სამხრეთით მსოფლიო და საალმოსავლეთო რევოლუციის შემცდარი ინტერესებისათვის სული შეუხუთეთ და თვით ალაგირიდანაც კი აყარა ისინი რუსეთმა და სხვა? საით წავიდეს და რა ეშველება ქართველ უმიწო ხალხს? შეიძლება თქვენ უკვე ის განწირულათ მიგაჩნიათ და სთვლით, რომ მან უნდა თავის სხეულით გაანაკილოს და გააპოხიეროს „ულიჩების“ შთამომავალთა მაღალი კულტურა? შეილათ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს გულშემატკივრობა, სომხეთის უბედურ მდგომარეობის თანაგრძნობასთან ერთად, არა ნაკლებ არის საქართველოს გულშემატკივრობაც, ვინაიდან საქართველოს და სომხეთის ბედი ისტორიულად ძირითადად ერთი და იგივეა და ერთიმეორეზე გადაბმულია. და განა სოციალისტური და ინტერნაციონალური სამართალია, რომ მიწით მდიდარ ანატოლიას სომხეთის ადგილებზე მოყავდეს თურქები და ისედაც დამშეულ სომეხს უკანასკნელ ლუკმას აცლიდეს? სომხეთის საკითხი საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხიც არის. შეიძლება ვინმე მესამე პირების ინტერესებს შეადგენდეს, რომ სომხეთი ებრაელთა მსგავსათ ახალ ქუჩათ-მავალ ხალხათ გადაიქცეს, აითქვიფოს ამიერკავკასიის სხვა ერებში და რომანოვთა დინასტიის მიერ დატოვებული ხელოვნურათ და განსაკუთრებით საქართველოში კეთდება ნაციონალურ საკითხში ლენინიზმის სახელით. მითხრას, მაჩვენოს ვინმემ ერთი განაწერი ლენინისა, სადაც ის ამბობდეს, რომ ანატოლიის განმათავისუფლებელი მოძრაობა უთუოდ უნდა ნიშნავდეს სომხეთის და საქართველოს მიწა-წყლით გაძარცვას, რომ სოჭი-ტუაპსე შეიძლება დაასახლო ვისითაც გინდა, მაგრამ იქ ადგილს ვერ მისცემ ვერც ალაგირიდან აყრილ რაჭველებს და ვერც თვით რაჭაში შიმშილით წელგათრეულ გლეხებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროვინცია ისტორიულათ, გეოგრაფიულათ და თვით ეტნოგრაფიულათაც კი საგრძნობლათ ქართული და ამიერკავკასიურია. სად, რომელი ნაშრომი ლენინისა გულისხმობს ასეთ გულშემზარავ ძალადობას და ვის შეუძლია და-

ლდება? რას კითხულობს ქართველი გლეხობა და საერთოთ ქართველი მოქალაქენი აფხაზეთში? ნუთუ „ინტერნაციონალიზმია“ ის, სმენავეხელ პოტეხინის რჩევის არ იყვეს, რომ პატარა ერების შვილებმა „ინტერნაციონალური“ კულტურა, „გოლოს ტრუდოვოი აფხაზეთის“ რუსულით შეითვისოს?

მაგრამ მართლაც გულუბრყვილო უნდა ვიყვე ალბათ, თორემ როგორ არ მახსოვს ფ. მახარაძის მოწოდება 1921 წ. აფხაზეთისადმი, რომ საშუალება მოგვეცით რაჭის უმიწაწყლო დამშეული გლეხები თავისუფალ მიწებზე დავასახლოთო. სწორედ ისეთივე, შეიძლება უფრო თავმდაბალი თხოვნა იყო ეს, როგორც ეხლა ითხოვს მუსოლინი, ან გერმანელი კოლონისტები რუსეთისაგან დასასახლებელ მიწებს. და იქნებ მართლაც, საქართველოც ისეთივე დამოკიდებულებაშია აფხაზეთთან როგორც რუსეთი, იტალია და გერმანია ერთმანეთთან? საინტერესოა მაინც რა პასუხი მიიღო მაშინ ფ. მახარაძემ აფხაზეთიდან, ან შემდეგ მისმა მოადგილეებმა? ჩანს დიდი ნაყოფი გამოუღია მოსკოვის „პრავდის“ შეფობას აფხაზეთის რუსულ გაზეთზე!..

დიახ, შეიძლება მართლაც გულუბრყვილო ვარ, მაგრამ არა იმაში, რომ მაქვს გაგება ჩემი ეროვნული ინტერესებისა და ჩემ ისტორიულ, ეკონომიურ და კულტურულ უფლებებს ვიცავ, არამედ შეიძლება იმაში ვარ გულუბრყვილო, რომ ნაწილობრივათ მაინც მაქვს იმედი, მწამს დღეს არა ხვალ ცხოვრება გაიძულებთ და ობიექტიურათ დაგაცვევინებთ საქართველოს ტერიტორიალურ ინტერესებს, და თუ რუსეთი მართლა მოკავშირეა, ხელს აიღებს საქართველოს მიწაწყლის ნაძალადევად კოლონიზაციაზე, მით უმეტეს რუს გლეხს ჩვენი მიწების ნაკვეთები არც შია და არც სწყურია, მას თავისიც ბევრი აქვს თვალუწვდენელი ველები.

ყოველ შემთხვევაში ხომ ვერავითარი „ლეტაპისეცი“ ნესტორი და ვერც დღევანდელი რუსი დიპლომატი ვერ იტყვის, რომ ჯიქეთში როდისმე „სედიახუ“ ან „პრისედიახუ“ ყოფილან „ტივერცები და ულიჩები“, ან მათი რუსი შთამომავალნი. ვფიქრობ, რომ ვენეციასა (იტალია) და ოსმალეთზე მხოლოდ ხუმრობით შეიძლება ლაპარაკი, როგორც ამ ოლქის პრეტენდენტებზე, დარჩენ მხოლოდ რუსეთი და ამიერკავკასია საქართველოს სახით, როგორც მეტოქენი.

ძლება ეს ინტერნაციონალიზმისა და მსოფლიო პროგრესისათვის საჭიროა და მიზანშეწონილი, მაშინ სთქვით ასე, ვის ერიდებით. ხოლო თუ ეს ასე არ არის, მაშინ, თუ თქვენს პირობებში ამის საჯაროთ თქმა ძნელი და შეუძლებელია, **თქვენი სინდისის წინაშე მაინც გაეცით პასუხი: ვის ეკუთვნის სამართალით ჯიქეთი რუს გლეხობას, თუ ამიერკავკასიის გლეხობას, რუსეთს თუ საქართველოს?..**

და ის, რაც ითქმის სოჭი-ტუაპსეზე, განა კიდევ უფრო მტკიცეთ და გაბედულათ არ შემიძლია გავიმეორო სამხრეთ საქართველოში ოსმალეთის მიმართ? განა არტაანზე, ფოცხოვზე, შავშეთზე, ისპირ-თორთომზე და ჭანეთზე მთელი ჩემი ეროვნული და სოციალისტური შეგნებით არ შემიძლია ვსთქვა, რომ რა ხელი აქვს ოსმალეთს ამ საქართველოს უდავო ტერიტორიებზე, ამ ქართველი ერის დასაბამ კერაზე? ან განა რა არის ისეთი პარადოქსალური, როდესაც ვამბობ საინგილოზე, ყარაიაზე, ყაზახის მაზრის ნაწილზე და სხვა? განა იგივე საბჭოთა რუსეთი არ იყო ხელს რომ გვიწერდა 1920 წ. 7 მაისს საინგილოზე და იმავე წლის ივნისში უკვე რუსეთთან კავშირში შესული აზერბაიჯანი თანხმდებოდა ყაზახის მაზრის დასავლეთ ნაწილის ნეიტრალიზაციაზე, რითაც საქართველოს უფლებასაც ნაწილობრივათ მაინც ცნობდა ამ რაიონებში? და თუ ეს იყო მაშინ, როცა საქართველო დამოუკიდებელი იყო, როცა ის არ იყო სხვა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში, როგორც ის არის დღეს, და თუ მაშინ იყო კანონიერი და სამართლიანი ყველაფერი ეს საქართველოსათვის, მაშინ ნუთუ დღეს საქართველოს გასაბჭოება და სხვა სოც. რესპუბლიკების კავშირში შეყვანა მხოლოდ და მხოლოდ ტერიტორიალურად მის გაძარცვას უნდა ნიშნავდეს?

ან განა ის არის პარადოქსალური, რომ მე ამიერკავკასიის ერების მოწყობა და სამ რესპუბლიკათ ჩამოყალიბება ოცნებათ არ მიმაჩნია, რომ აუცილებლათა და სამართლიანათ ვთვლი სომხეთის საკითხის რადიკალურათ გადაჭრას, რათა მას დაუბრუნდეს მისი დამწვარი და აპარტახებული მიწაწყალი, რომ ე. წ. ოსმალურ სომხეთში კვლავ აღდგეს სომხეთის ეროვნული უფლებები? თქვენ იჭვებიც კი შეგაქვთ და ჩემ ცბიერობათ მიგაჩნიათ, რომ მე თითქოს გამოვდივარ სომხეთის ჭირისუფლის როლში, მაგრამ მე გულახდი-

შექმნილი ეროვნული დომხალი კიდევ უფრო აჭრელდეს, მაგრამ ეს არ შედის არც სომეხი ხალხის და არც ქართველი ხალხის არც ეროვნულ, არც სოციალისტურ და არც ინტერნაციონალურ ინტერესებში.

მართალი გითხრათ, როცა თქვენი წერილი წავიკითხე ცოტა შევცბი, იჭვმა გამკრა, იქნებ ყველაფერი ეს მართლაც განუხორციელებელია და კიდევ მეტი „კაცეჭამია შოვინიზმისა და მჟავე პატრიოტიზმის ჭაობში“ ჩავეფლეთქო, მაგრამ რაც უფრო მეტათ ვფიქრე ამაზე და შევეცადე თვით კომუნისტური თვალთახედვით გამესინჯა ეს დებულებები, მით უფრო დავრწმუნდი, რომ სიმართლე და სამართალი, ყოველგვარი სამართალი: მარქსიზმის, ლენინიზმის, ინტერნაციონალიზმის, სოციალიზმის, დიახ, ყველაფერი ეს, ვფიქრობ, ჩემს მხარეზეა. ხელში მაქვს ლენინის ახლად გამოქვეყნებული შესანიშნავი წერილები „ეკონომიურ იმპერიალიზმზე და მარქსიზმის კარიკატურაზე“. რომელიც „ზარია ვასტოკამ“ დაბეჭდა და „კომუნისტმა“, ვგონებ, არც კი გადაბეჭდა, ალბათ იმისთვის, რომ რა საჭიროა ქართულათ ნაციონალურ საკითხზე ასეთი წერილები, როდესაც უკვე ათასობით გვაქვს კრებების რეზოლუციები, რომ „საქართველოში რ. კ. პ. XII ყრილობის შემდეგ, უკვე გადაწყვიტა საბჭოთა ხელისუფლებამ ნაციონალური საკითხიო“. და, აი ამ წერილებში სრულიად შიშვლად, სადად და სიმართლით არის დაყენებული ეროვნული საკითხი.

საქართველოში ეს წერილი ბევრისათვის არის საჭირო, პირველ ყოვლისა, იმათთვის, ვინც ეს ოთხი წელია ყოველ გზაჯვარედინზე ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ, რომ ეკონომიურათ სუსტ და სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულ საქართველოს არ შეუძლია და არც შეიძლება დარჩეს პოლიტიკურათ დამოუკიდებელით. დღემდე ეს ყალბი აზრი ბევრს ჰქონდა გამბედაობა ემტკიცებინა ლენინიზმის სახელით, მაგრამ დღეს მაინც ხომ არის დრო ასეთმა პირებმა ჩაიხედონ ლენინის ნაწერებში და მის მიერ გაროზგილ და დაგმობილ „ეკონომიურ იმპერიალიზმს“ ზურგი შეაქციონ. ან ზურგს თუ არ შეაქცევენ, მორიდებით მაინც ამტკიცონ ეს ცრუმარქსისტული და არასოციალისტური შეხედულება. ლენინის ეს წერილი ერთი დაუსრულებელი საბრალდებო ოქმია იმაზე, რაც დღეს საბჭოთა კავშირის ფარგლებში

ამტკიცოს, რომ ეს შოვინიზმი და კაციჭამიობაა. მართალია, საუბედუროთ, ლენინის საქმეები ძლიერ დაშორდა მის სწორ სიტყვასა და თეორიას, მაგრამ ეს სხვა საკითხია. პირველ წერილში გწერდით, რომ ჩემი ასეთი რადიკალური მოთხოვნები ტერიტორიის საკითხში ან ზვიად მპყრობელს, ანდა მონას მოეჩვენება მეგალომანიათა და იმპერიალიზმათთქო. ამ წერილის დასაწყისში ვთქვი, რომ მე ამ შემთხვევაში რამდენიმეთ რომაელ მონის როლში გამოვდივარ-თქო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ისეთი მონა ვიყვე, რომ ჩემი მონობის შეგნება არ მქონდეს, და აქაც პირნათლად ვსთვლი ჩემს თავს იმ ლენინის წინაშე, რომელმაც თქვა:

«Никто не виновен в том, если он родился рабом, но раб, который не только нуждается в стремлении к своей свободе, но оправдывает и прикрашивает свое рабство, такой раб, вызывающий законное чувство негодования, презрения и омерзения, холуй и хам».

(იხ. გაზ. პრავდა № 142 ივნისის 26—24 წლისა, კალინინის სიტყვა კომინტერნის კონგრესზე)* დიახ, „ხოლუი“ და „ხამი“ ვიქნებოდი, რომ არ შემეგნო ჩემი მონობა და ათასჯერ ალბათ კიდევ უფრო საზიზღარი, რომ არ შემეძლოს ჩემი მონობის მიზეზების დასახელება და თქმა.

როდესაც მე მეუბნებიან, რომ საქართველოში თანამედროვე კულტურის ჩასახვა, თეატრი, პრესა, თანამედროვე სკოლა, საქართველოს ეკონომიური აღორძინება და ქართველი ხალხის ნაციათ გამოსახვა, მოქალაქეობრივობის განვითარება და კლასიური დიფერენციაცია, კლასთა ბრძოლის უმაღლესი ეტაპი და რევოლუცია — აბა როდის მოხდა ყველაფერი ეს, თუ არა რუსეთის ბიუროკრატიზმის ხელშიო, მე მაშინ შემიძლია ვუპასუხო მხოლოდ ის, რომ დიახ, ყველაფერი ეს მართლაც მოხდა საქართველოში მაშინ, როდესაც საქართველოზე რუსეთის ბიუროკრატია ბატონობდა, მაგრამ ვინ, რომელი მეცნიერი და მით უმეტეს რომელი მარქსისტი დაამტკიცებს იმას, რომ ეს მადლი მხოლოდ რუსეთის თვითმპყ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 1.

* ლენინის თხზულებანი, ტომი XIX, გვერდი 156.

(გაგრძელება მე-14 გვ.)

(გაგრძელება)

რობელობას და ბიუროკრატიას ეცხო, რომ ეს კეთილი და მეტად სასარგებლო საზოგადოებრივი განვითარების მოვლენები რუსეთის საკუთრება იყო და მან მოწყალება მოიღო ჩვენზე და გაგვაბედნიერა. არა, სწორედ წინააღმდეგი უნდა ითქვას, სწორედ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობას არ უნდოდა საქართველოს განვითარება, მისი კულტურულად წინსვლა, მისი ნაციად ჩამოყალიბება და წელში გამაგრება, სწორედ ამისთვის მიმართავდა ის უხეშ კოლონიალურ და ტლანქ გარუსების პოლიტიკას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მართლაც მოხდა საქართველოს, ევროპული დემოკრატიული განვითარების გზაზე გამოსვლა და მისი ნაციად ჩამოყალიბება, ვინაიდან მეცხრამეტე საუკუნე იყო კაპიტალისტური ურთიერთობის ხანა, როცა ღორძინდებოდა დემოკრატიული კულტურა და ერებიც ნამდვილი ნაციების სახეს ღებულობდნენ. და ეს ხანა, ეს საზოგადოებრივი განვითარება ისე ძლიერი იყო, რომ ის ვერც რუსეთის თვითმპყრობელობამ შეაკავა თავის ჟანდარმებით და ვერც საქართველოს საზღვრები დაიცვა მისი გავლენისაგან. აბა ვის მოუვა თავში აზრად, რომ ბალკანეთის ერები იმისთვის აღორძინდნენ, რომ იქ მეცხრამეტე საუკუნეში ოსმალეთი ბატონობდა, ან პოლონეთ-ფინეთი იმისთვის განვითარდა, რომ იქ რუსეთის ბიუროკრატიზმი იყო მპყრობელად, ან ჩეხოსლოვაკია იმისთვის გამოისახა ნაციად, რომ იქ ავსტრიის იმპერიალიზმი თარეშობდა, ან ირლანდიისთვის თითქოს ბედნიერება იყო ინგლისის იმპერიალიზმი?

თქვენ ამბობთ, რომ საქართველო სპარსეთის და ოსმალეთის პროვინციობას ვერ აცდებოდა, მაგრამ განა ის გარემოება, რომ ოსმალეთი და სპარსეთი დესპოტიური ქვეყნებია, რომ მათ ხელში საქართველოს შეიძლება უარესი დღე დადგომოდა, განა ეს ვინმეს აძლევს რაიმეს საბუთს, რომ რაკი რუსეთის თვითმპყრობელურმა და ნაციონალისტურმა იმპერიალიზმმა თათარს ჩვენი თავი არ შეაჭამა და სამაგიეროთ თვით შეგვჭამა, რომ ეს არის უდიდესი ბედნიერება და კეთილდღეობა? მართალია, რუსეთმა ვერ შეგვჭამა სავსებით, მან ვერ მოინელა ქართული კულტურა, ქართველი ხალხი და მისი უძველესი ენა და მწერლობა მეტად გამძლე გამოდგა და ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ასპარეზიდან განდევნილი ქართული სული მაინც გადარჩა, კიდევ მეტი, მეცხრამეტე საუკუნეში ის კიდეც გაიზარდა და მან თუმცა მრუდეთ და ელამათ, მაგრამ მაინც შეითვისა და გაიარა კაპიტალისტური განვითარების პირველი საფეხურები, მაგრამ ეს არ არის რუსეთის ბიუროკრატიის დამსახურება, არამედ ეს მოხდა რუსეთის თვითმპყრობელობის სამწუხაროთ და სავალალოთ.

განა მეცხრამეტე საუკუნის კაპიტალი თუ არა რუსეთის წინამძღოლობით, ვერ მიაგნებდა ბაქოს ნავთს და ჭიათურის მარგანეცს? განა რუსეთი რომ არა ინდო-ევროპული ტელეგრაფი, რკინის გზები და საერთოთ სამრეწველო და ევროპის პოლიტიკური გავლენა აცდებოდა ჩვენს ქვეყანას? ან იქნებ რუსეთმა თავისი კაპიტალები და სიმდიდრე ჩახდო ამიერკავკასიის მეურნეობაში? მაგრამ ვინ არ იცის, რომ რუსეთი თვითაც უცხოეთის კაპიტალით იბრუნებდა სულს და მას ჩვენში მოსატანი არაფერი ქონდა, გარდა იმისა, რომ დასტობით გვიგზავნიდა ჩინოვნიკობას და შემდეგ, წარმოების განვითარებისას, რუს მუშებსაც კი დაუწყო გზავნა, რომ ჩვენი მუშის ლუკმაც კი ჩამოეთალა. ბოლოს რუსიფიკატორული კოლონიზაციაც გააჩაღა, და ჩვენს მიწით დამშეულ გლეხობას სულის ამოხდა დაუწყო. და თურმე ეს კოლონიობა ბედნიერება ყოფილა!.. სამწუხაროთ ამ შავბნელი დროის კოლონიალური წარსულის რეციდივები დღესაც ძლიერათ აქვს ჩვენში მეორეთ მოსულ, უკვე გაკომუნისტებულ რუსეთს...

თქვენ მიმითითებთ ნოე ჟორდანიას პოლემიკაზე არჩ. ჯორჯაძესთან. ასეთ რამეს ქონდა ადგილი საპოლემიკო წერილებში, შეიძლება როდისმე გამოითქვა დაახლოებით ამის მსგავსი აზრიც, მაგრამ [illegible] ნოე ჟორდანიას იმ აზრს იცავთ, და თავგამოდებითაც იცავთ, რომელიც დღეს თვით ჟორდანიას მიერვეა შესწორებული და განმარტებული. ანდა საქართველოში რუსეთის ბიუროკრატიის შავი წარსულის დაცვა დღეს რადა ასეთი ორტოდოქსალური მარქსიზმი გამხდარა? მასე რომ იყვეს და ყველაფერი უცვლელათ რჩებოდეს, ისე როგორც დაიბადა, და აზრები და შეხედულებები კატეხიზმოს ტექსტათ იწერებოდეს, მაშინ ვინ იცის სად დაგჭირდებოდათ თქვენ დაბრუნება!.. ყოველ შემთხვევაში რუსეთის ბიუროკრატიის იმგვარი ხოტბა და მისი საქართველოს მხსნელათ გამოყვანა, როგორაც ეს თქვენს წერილშია, მართალი მოგახსენოთ, მე ჯერ არ შემხვედრია არც ქართულ და არც რუსულ, არამცთუ სოციალისტურ, არამედ უბრალო პროგრესიულ მწერლობაშიაც კი.

(დასასრული იქნება)

# სამაჩაბლოდან ლტოლვილებს

სამშობლოსა და მამულისათვის ვნებულნო და წამებულნო, სამაჩაბლოს მკვიდრნო, ბედის ბორბლის უკუღმართად ტრიალის გამო თქვენივე ცის ქვეშ — თქვენსავე მიწაზე — ლტოლვილნო, დებო და ძმებო, დედებო, მამებო და შვილებო, თქვენთან ერთად ვაებს და გლოვობს ყოველი ქართველი, რამეთუ დღეს ჩვენს ზედა-ყოველთა ქართველთა ზედა მოიწია ღვთის რისხვა.

დღეს აღბორგდა ვერაგი და მუხთალი მტერი. აქამდე იგი იყო მიმალული, მაგრამ ეხეც ვიკითხოთ — სად? ვისთან? ვის მიწაზე? ჰოი, საკვირველებავ! — ჩვენს ჭერ-ქვეშ, ჩვენს მიწაზე — შიდა ქართლში მკვიდრობდა იგი. ჩვენივე ნებით და კაცთმოყვარებით, სტუმართმასპინძლის ძველთუძველესი ადათის დაცვით შევიფარეთ კავკასიონის მთის ჩრდილო-ყინულოვანი კალთებიდან გამოქცეული და დამფრთხალი ოსები. მათ აღარ ედგომებოდათ თავიანთ კუთხეში. იმ დროს ისინი — ჯაყო და მისი ძმები — ისე დაეჩაგრა და დაეშინებინა მეზობელ ტომებს, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ. მოვიდნენ და ხოხოვეს მაჩაბლებს, ფალავანდიშვილებს და ერისთავებს: შეგვიბრალეთ და გვიხსენით სიკვდილის პირას მისულებიო. ასე შემოგვეხიზნენ, მაგრამ ვაი, რომ დღეს ჩვენ თვით ვიქეცით ჯაყოს ხიზნებად.

ნუ გაგაკვირვებთ, დებო და ძმებო, ეს ფაქტი: მსოფლიო ისტორიამ არა ერთი მაგალითი იცის საკუთარ სამშობლოში ხიზნად გადაქცევისა. მაგრამ ისიც კარგად იცის, თუ საბოლოოდ რა ბედი სწევია ფლიდსა და მუხთალს, სხვისი მიწის მიმტაცებელსა და ვერაგს. საკვირველება ის გახლავთ, რომ უფრო ხშირად რჩეული და ღვთივკურთხეული ერები ექცევიან დაჩაგრულის პოზიციაში. გავიხსენოთ, რომ მადლითა და სიკეთით სხვა ერებზე აღმატებული ერი — ისრაელი — ოცდაოთხი საუკუნის განმავლობაში იდევნებოდა. მისი დიდი ნაწილი გაიფანტა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მხოლოდ მცირედნი დარჩნენ აღთქმულ ქვეყანაში, მაგრამ უსაზღვროა განგება და სამართალი ღვთისა: ისრაელმა საბოლოოდ გადაიგდო მონობის უღელი.

სამაჩაბლოდან ლტოლვილებო, მინდა გაგახსენოთ, რომ ამ ხალხის — ისრაელის — ერთი ნაწილი თავის დროზე, თითქმის ორი ათასი წლის წინათ, შეიფარეთ თქვენც. თქვენმა წინაპრებმა ცხინვალის ჭერქვეშ დაუდეს ებრაელებს ბინა. ისინიც შეიწყალეთ და შეივრდომეთ, ოსების მსგავსად, მაგრამ მათ ეყოთ შინაგანი კულტურა და გონიერება — კეთილის წილ ბოროტი არასოდეს მოუგიათ ჩვენთვის. ჯაყოს შვილებმა და შვილიშვილებმა კი მადლობა ასე გადაგვიხადეს — ეს მიწა ახლა ჩვენი სამკვიდრებელიაო!

რას იტყვით მამულიშვილნო, მაჩაბელთა ძველთუძველესი გვარის შთამომავალნო! მივიღოთ და დავყაბულდეთ ამგვარ მადლობას? — ჩვენი წინაპრების ძვლებითა და სისხლით გაპოხიერებულ მიწაზე ვათარეშოთ ჯაყო, „ადამონ ნიხასის“ სახელით რომ მოგვევლინა და მათი წინაპრის — ბაყათარის — მსგავსად იძახის: ძალა მერჩის და მოვდივარო! ვეყმოთ და ვემონოთ ბაყათარს, თუ მივატოვოთ ჩვენი სამკვიდრო? — ნუ ვიზამთ ამას. თუ ოსი ბაყათარის შთამომავლები მტრის ბანაკში დღეს თავისუფლად დაპარპაშებენ, ჩვენს შორისაც ჩქეფს და ხმაურობს ვახტანგ გორგასლის სისხლი.

დიახ, მამულიშვილნო, ჩვენ ჩვენი სამკვიდროსათვის ვიბრძვით, იმ სამკვიდროსათვის, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს და გვიანდერძეს. ეს სამკვიდრო დიდხანს იცავდა საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრებს „გოგ და მაგოგის შემოსევებისაგან“. ამ სამკვიდროს მიწის ყოველი მტკაველი ჩვენი მამების და პაპების ძვლებითაა გაპოხიერებული. სხვა სამშობლო ჩვენ არ გვაქვს და არც არასდროს გვინატრია. ამ სამშობლოსა და სამკვიდროზე უთქვამს დიდ ქართველ პოეტს:

„სამშობლო, დედის ძუძუი,
არ გაიცვლების სხვაზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც,
ერთია ქვეყანაზედა“.

სამშობლოსათვის ბრძოლა კურთხეულია. საქართველოს სამოციქულო ეკლესია ყოველთვის გვერდით ედგა მამულისათვის თავდადებულ რაინდებს. როცა ქვეყანას გაუჭირდებოდა, თვით სასულიერო პირებიც კი იარაღს ჰკიდებდნენ ხელს და ასე იცავდნენ ერსა და ეკლესიას. „ქართლის ცხოვრებამ“ საამისოდ უამრავი მაგალითი შემოგვინახა. მარტო თორნიკე ერისთავის გახსენებაც კი საკმარისია.

დებო და ძმებო, სამაჩაბლოდან ლტოლვილნო, თქვენთანაა მთელი საქართველო: ამერ-იმერნი, ერი და ბერი, დიდი თუ მცირე. დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ერთსულოვნება და მხნეობა. მხნეობისა და ვაჟკაცობის მაგალითი კი არა ერთხელ და ორჯერ მოუცია ჩვენს წინაპრებს.

არ შეგვფერის ემოციებისა და გრძნობების აყოლა. უნდა ვიცოდეთ, რომ მტერი ჩასაფრებულია არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ყოველი ჩვენი ნაბიჯი მის მიერ დათვლილია. ამიტომ გვმართებს დიდი წინდახედულება. ვალდებულნი ვართ ვიმოქმედოთ თავშეკავებით, რათა ჩვენის მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგო საქციელს. ჩვენ გვაიმედებს ის ფაქტიც, რომ ყველა ოსი არ არის ბაყათარის შთამომავალი. ბევრი მათგანი ჩვენს ჭირს იზიარებს. ამიტომაც ყველა ოსს, განურჩევლად, მტრად ნუ შევრაცხავთ. გვწამდეს და გვჯეროდეს: დღეს უფალმა დიდი განსაცდელის წინაშე დაგვაყენა. უნდა გავუძლოთ ამ განსაცდელს. გამარჯვება საბოლოოდ ჩვენი იქნება, რადგან ღვთისა და კაცის წინაშე მართალნი ვართ; აუცილებელია „პირნა შიგან გამაგრება“.

ამინ!

**ნიკორწმინდისა და რაჭა-ტყიბულის მთავარეპისკოპოსი**

**ამბროსი** (კათამაძე)

გთხოვთ, ჰონორარი გადაირიცხოს სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში.

# გადმოსცემს უცხოეთი

მოკავშირეთა კოალიციამ 75-80%-ით გაანადგურა ერაყის ბაქტერიოლოგიური არსენალი, ქიმიური იარაღის წარმოება, რაც ერაყის ნავთობგადასამუშავებელ ძლიერებას შეადგენს. ეს მოკავშირეთა საჰაერო რეიდების ყველაზე დიდი წარმატებაა. სტამბულში აფეთქდა ორი ბომბი, რასაც სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომს უკავშირებენ.

●

მოსკოვს სურს მშრალად ამოსვლა წყლიდან — ქიმიური იარაღი ჩვენ არ მიგვიყიდიაო ერაყისთვის — და ცდილობს ყველაფერი გერმანიას გადააბრალოს. ისრაელში, რა თქმა უნდა, ახსოვთ ებრაელების განადგურება მეორე მსოფლიო ომის დროს. ამასწინანდელი დაბომბვის მერე იერუსალიმში გაჩნდა წარწერები: „ფრთხილად, ისევ გერმანული გაზი!“

●

ჯეიმზ ბეიკერისა და ალ. ბესმერტნიხის შეხვედრა სამ ძირითად საკითხს შეეხო: ომს სპარსეთის ყურეში, ბალტიისპირეთის საკითხს და აშშ და სსრკ პრეზიდენტების შეხვედრას უმაღლეს დონეზე. პრესკონფერენციაზე, ბუშთან შეხვედრამდე, ბესმერტნიხმა განაცხადა, რომ ბალტიისპირეთში აღარ არის ის ჯარი, რომელიც იქ ბოლო ხანებში შეიყვანეს. აშშ და სსრკ პრეზიდენტების შეხვედრა გად[illegible]დო გაურკვეველი დროით.

●

ისრაელმა კვლავ განიცა[illegible] ერო თავდასხმა ერაყის [illegible] და[illegible] ერაყმა სარაკეტო ცეცხლი დაუშინა საუდის არაბეთს. [illegible] თავდასხმას რაიმე ზარალი [illegible] და[illegible] მიანთა მსხვერპლი არ [illegible] ვია.

●

ანტიერაყული კ[illegible] რები გადაჰრით ვერაფერს [illegible] ერაყის თვითმფრინავ[illegible] კულ გადაფრენაზე ირან[illegible] ირანი ნეიტრალიტეტს დაიც[illegible] ამის დამთავრებამდე არც ერთ თვითმფრინავს არ მისცემს [illegible] ლობას აფრინდეს [illegible] ტორიიდან. ზოგი [illegible] რომ ჰუსეინი ცდილობს [illegible] ავიაციის შენარჩუნება[illegible] გან ეს არც მახობ[illegible] რობის გამოვ[illegible] ჩაითვალოს.

●

ერაყს [illegible] რი და ბაქტერ[illegible], რასაც შეუძლია ასეთ[illegible] ობით ადამიანის [illegible].

●

ყოველ წელს აშშ [illegible] ანგარიშით წარუდ[illegible] ახლახან ჯორჯ ბუშ[illegible] წინაშე ილაპარაკა [illegible] ყურეში მიმდინარე [illegible] რომ ყველაფერი გეგმით მიდის; აქვე იგი შეეხო აშშ-ის ეკონომიკის განუხრელ ზრდას.

●

ჟურნალი „ბარიერებს ზემოთ“: პარიზი გარეგნულად ისევ ბრწყინავს, აქ არაფერი შეცვლილა, არც ქუჩები, არც კაფეები, მაგრამ... მაინც ყველაფერი შეიცვალა. მთელი ევროპა სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომის ზურგად იქცა, ასეა პარიზიც. აქ ათასობით არაბი ცხოვრობს. ყველა არაბი ჰუსეინს უჭერს მხარს. ვიეტნამის ომი მადას უკარგავდა ხალხს, გუნებას უფუჭებდა. ომი სპარსეთის ყურეში უფრო ღრმად იჭრება ადამიანთა სულებში.

●

გასული წლის ნობელის პრემიის ლაურეატის (მშვიდობის დარგში) საყვარელი ფორმულა — სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოების კავშირი — როგორც რუსი ისე არარუსი დემოკრატების სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას იწვევს. ძალაშია ბისმარკის ფორმულაც — რაც უარესი, მით უკეთესი.

●

ახალი საპრეზიდენტო კანონი, რომელიც ძალაში შედის პირველი თებერვლიდან, ფაქტიურად საგანგებო მდგომარეობის შექმნას მოასწავებს რესპუბლიკებში.

●

სანამ მავზოლეუმი „ცოცხალია“, არაფერი შეიცვლება ე. წ. „პერესტროიკით“.

●

89 წლის ასაკში გარდაიცვალა მერაბ კვიტაშვილი. მრავალი წლის მანძილზე ბატონი მერაბი უძღვებოდა რადიო „ამერიკის ხმის“ გადაცემებს.

●

ბევრი ფიქრობს, რომ ბალტიისპირეთში სასიცოცხლო, ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესების გამო სსრკ ასე ადვილად არ მისცემს ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს კავშირიდან გასვლის უფლებას.

●

რა ეკონომიკურ ძვრებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა თვით მთავრობაა ინიციატორი ქაოსისა. არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტმა რეპრესიებს მიმართოს და ამისთვის ჯარი გამოიყენოს. რიგაში სახლების კედლებზე ასეთი წარწერებია: „გაწითლებას სიკვდილი გვირჩევნია“. კრემლი დაუბრუნდა სისხლიან მმართველობას, თუმცა თავისუფლებისაკენ სწრაფვის იარაღით ჩახშობა უფრო დააჩქარებს იმპერიის მსხვრევას.

●

ომი ახლო აღმოსავლეთში შეიძლება შეწყდეს, თუ ერაყი თავის თავზე აიღებს ქუვეიტიდან ჯარის გამოყვანის ვალდებულებას.

●

ასტროლოგების აზრით: 1991 წელს დაიწყება დიქტატურა, რაც მარტამდე გასტანს. თებერვალში ისევ თავისუფლება აიმაღლებს ხმას. აპრილში — რეფერენდუმები; ივნისში — ისევ სისხლისღვრა მოლდოვაში; 1993-94 წლები რესპუბლიკების თავისუფლების წლებია. აქვე შეხსენება: აუცილებლად საჭიროა ეკონომიკური რეფორმები. ახლავე ზრუნვა ხალხის კეთილდღეობაზე, უამისოდ წარმატება ვერ მიიღწევა.

რადიო „თავისუფლება“, „ამერიკის ხმა“.

# ნატანჯი კაცის გახსენება

ამ ცოტა ხნის წინ, საზოგადოება „თბილისელმა“ კიდევ ერთი კარგი საღამო მოაწყო, რომელიც მიეძღვნა მწერალ ლეო ბოლქვაძის ხსოვნას. ლეო ბოლქვაძე ერთი იმათთაგანია, ვინც თავისი საუკეთესო წლები „გულაგის“ ერთ-ერთ ბანაკში გაატარა. იგი დაიჭირეს ომის წლებში, 21 წლისა რომ იყო. ბანაკში სოლჟენიცინთან ერთად იჯდა და სწორედ ის ქართველი ფერშალია, რომელსაც სოლჟენიცინი თავის ერთ-ერთ რომანში მოიხსენიებს. მიუხედავად ახალგაზრდობაში გადატანილი ტანჯვისა, ლეო ბოლქვაძე მაინც არ გამტყდარა და თავისი კვალი დაამჩნია ქართული კულტურას.

მწერლის საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოება „თბილისელის“ თავმჯდომარემ, ბატონმა დავით ციციშვილმა. მან აღნიშნა: დღეს აქ შევიკრიბეთ, რათა მოვიგონოთ ბატონი ლეოს ნათელი ხსოვნა. მიუხედავად თავისი მძიმე ცხოვრებისა, მან ღრმა კვალი დატოვა ჩვენს მეცნიერებაში; იყო უკეთილშობილესი ქართველი ინტელიგენტი, ნიჭიერი და განათლებული პიროვნება, კარგი მეცნიერი და მწერალი.

საღამოზე მოგონებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ:

**ირაკლი აბაშიძე:** ამ საღამოსათვის მინდა მადლობა მოგახსენოთ საზოგადოება „თბილისელს“ და პირადად თქვენ, ბ-ნო დავით, რადგან ერთია ხსოვნის დღე იმ ადამიანებისა, რომელთაც სახელი მოხვეჭილი ჰქონდათ და სულ სხვაა ისეთი ადამიანების ხსოვნის აღნიშვნა, ვინც, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ მოასწრო თავისი ნიჭის სრულად ჩვენება. ასეთია სწორედ ლეო ბოლქვაძე, რომელმაც უბედურების გამო, ვერ შეძლო მთელი თავისი ნიჭის სრულად გამოვლენა. მოგეხსენებათ, რომ ლეო ბოლქვაძე მწერალი იყო, მას აქვს გამოცემული წიგნები. მაგრამ ამჯერად მე მის მწერლობაზე და შემოქმედებაზე არ ვისაუბრებ. მინდა მხოლოდ გავიხსენო ლეოს ენციკლოპედიაში მუშაობის ხანა. ენციკლოპედიაში დღიდან მისი დაარსებისა მოვიდა და დიდი როლი ითამაშა მის გამოცემაში. ლ. ბოლქვაძე იყო ენციკლოპედიის სამეცნიერო კონტროლი. ეს კი დიდი და საპასუხისმგებლო საქმეა, რადგან მის ხელში უნდა გაევლო თითქმის ყველა სტატიას. მე მინდა მადლობა ვუთხრა მას, ამ დიდი შრომისათვის და მადლობა ვუთხრა კიდევ ერთხელ საზოგადოება „თბილისელს“ ამ ჭეშმარიტი თბილისელის და ჭეშმარიტი ქართველის საღამოს მოწყობისათვის.

**როინ მეტრეველი:** მეც მინდა მადლობა ვუთხრა საზოგადოება „თბილისელსა“ და ბ-ნ დავითს ამ საღამოსათვის, რომლის ჩანაფიქრშიაც უკვე დიდი სიკეთეა ჩადებული. ლეო ბოლქვაძე ჩვენში იყო უპირველესი ენციკლოპედისტთაგანი. მისი არა მარტო დიდი ცოდნა და ინტელექტი ადგებოდა ენციკლოპედიას, არამედ მისი ყოფნაც კი ამ დაწესებულებაში, რომელსაც ქართული ენციკლოპედია ჰქვია. იგი იყო ადამიანი, რომელსაც უტყუარი ალღოთი შეეძლო მოვლენების შეფასება და, მიუხედავად განვლილი მძიმე ცხოვრებისა, შენარჩუნებული ჰქონდა არაჩვეულებრივი იუმორი. მისი ამ ქვეყნიდან წასვლა დააკლდა არა მარტო ენციკლოპედიას, არამედ თბილისსაც და ქართველ საზოგადოებრიობასაც.

**მარიამ ლორთქიფანიძე:** ბატონი ირაკლი და ბატონი როინი იხსენებდნენ იმ ლეოს, რომელიც გადასახლებიდან ჩამოსული დიდი ღირსებით წარსდგა ეროვნულ დაწესებულებაში — ქართულ ენციკლოპედიაში. მე კი მინდა მოვიგონო სხვა რამ. ლეო ჩემს სკოლაში, ჩემს მომდევნო კლასში სწავლობდა და ახლა, როცა აქ ვხედავ მის კლასის მეგობრებს, მათთან ერთად ყოველთვის ვხედავ ლეოსაც. ლეო იყო გამორჩეულად ნიჭიერი ბავშვი. იგი უნივერსიტეტიდანაც მახსოვს. ვიცი რა დიდ იმედს ამყარებდნენ; ხჯეროდათ რომ ის იქნებოდა ქართული ჰუმანიტარული ინტელიგენციის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი. და ისიც კარგად მახსოვს, როგორი თავზარდამცემი იყო, როცა ლეო და მასთან ერთად რამდენიმე ახალგაზრდა დააპატიმრეს. ამან, რასაკვირველია, მძიმე დაღი დაასვა მის შემდგომ ცხოვრებას. დაბრუნებისთანავე ლეოს მხარში ამოუდგნენ მისი მეგობრები და ის მალევე დადგა ფეხზე. ეს ის ხალხია, რომელთაც შეუმსუბუქეს ლეოს მძიმე ხვედრი და ჩვენ ვიცით, რომ იმ წლებში გადასახლებულთან მეგობრობა და ხელის გამართვა გმირობის ტოლფასი იყო.

**კოტე ჩოლოყაშვილი:** ლეო იყო უნიჭიერესი კაცი და გამოირჩეოდა თავისი ნიჭითა და ინტელექტით როგორც სკოლაში, ისე უნივერსიტეტში სწავლის დროსაც. ბატონმა არნოლდ ჩიქობავამ, სწორედ ამიტომაც, იმდენ სტუდენტებში ლეო ბოლქვაძე გამოარჩია, ეს იყო საოცარი რამ, ნათელმა ნათელი იპოვა. ლეო კარგადაც მღეროდა. სკოლაში გვქონდა საზოგადოება „სწავლა მოსწავლეთა“. გამოვეცით ორი ხელნაწერი ტომი. ლეოს არაჩვეულებრივი ლექსი ჰქონდა დაბეჭდილი, მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებისადმი. იგი დიდ სამამულო ომშიც იყო, მერე —გადასახლება... გადასახლება რომ არა, უფრო მეტს გააკეთებდა და თავის შესაძლებლობებს მეტად გამოავლენდა. დიდ მადლობას მოგახსენებთ ამ თბილი და ესოდენ გამორჩეული საღამოს მოწყობისთვის.

**ბიჭი ცინცაძე:** გადასახლებაში ლეოსთან ერთად ვიყავი. ერთად დაგვიჭირეს. ლეო იყო უნიკალური ნიჭის კაცი. ამის დასტურად მინდა მოვიგონო ერთი ეპიზოდი: გადასახლებაში მივყავდით „სტოლიპინის“ ვაგონებით. მივდიოდით თითქმის ერთი თვე. საშინელ პირობებში, ვაგონში თითქმის 150 კაცი იყო. გზაში ლეო შემეკითხა, რა უნდა გავაკეთო გადასახლებაშიო. მე ექიმი ვიყავი და ექიმი გადასახლებაშიც საჭიროა. შენ სიმღერა იცი, რუსულიც იცი. ჩამოაყალიბებ რაღაც გუნდს და იმღერებ-მეთქი. არაო, მიპასუხა ლეომ, ხომ არ აჯობებს, საავადმყოფო სანნაწილში ვიმუშაოო. ეს მეც დამიჯდა ჭკუაში და მთელი გზის მანძილზე 200 ლათინური რეცეპტის გამოწერა ვასწავლე ზეპირად, რადგან ქაღალდი და ფანქარი არ გვქონდა. ჩავედით ადგილზე, ცხოველებივით გადმოგვყარეს ვაგონებიდან და დაგვამწკრივეს, ვიღაცამ ჩამოიარა პატიმრების რიგი და ბრძანა, რომ ექიმი თუ ვინმე იყო, წინ გამოსულიყო. გადასახლებულთა ამ ნაკადში ოთხი ექიმი ვიყავით და ერთიც — თვითნასწავლი ლეო. გავიარეთ შემოწმება და ლეოც ჩარიცხეს სანნაწილში ფერშლად. მთელი გადასახლება ის ამ თანამდებობაზე მუშაობდა და კარგადაც ართმევდა თავს მოვალეობას.

**ბაადურ რაჭველიშვილი:** მე კი მოგიყვებით გადასახლებიდან ჩამოსვლის შემდგომ ამბავს. მაშინდელი წესისამებრ, თქვენ ალბათ იცით, გადასახლებიდან დაბრუნებულს თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა და ლეოც გურიის სოფელში, ლაითურში წავიდა მასწავლებლად. გავიდა ალბათ ორი წელი, ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან გახლდით. იქ იყო ბატონი აკაკი გაწერელიაც. ჩამოვარდა საუბარი და გაწერელიამ ბრძანა, რომ ლაითურიდან მიიღო რეცენზია გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ შესახებ. იგი აღფრთოვანებას ვერ მალავდა ამ რეცენზიის გამო. მე მაშინვე შევეკითხე, ბოლქვაძე ხომ არ იყო ავტორი ამ წერილისა-მეთქი. მან დამიდასტურა. ბატონ აკაკის ვუამბე ლეოს ამბავი. აკაკი გაწერელია შეგვპირდა, რომ ლეოს აიყვანდა თავის ასპირანტად. და აი შემოდგომაზე ლეო ასპირანტურაში ჩაირიცხა.

**ჯანსუღ ჩარკვიანი:** ამ შესანიშნავი საღამოთი, თქვენ კიდევ ერთხელ გვიჩვენეთ, რომ ამქვეყნად არაფერი იკარგება და ეს ცხოვრება სამზადისია მარადიული ცხოვრებისათვის. ლეო ბოლქვაძე სწორედ ის კაცია, ვინც ძვირფასი ცხოვრებით იცხოვრა, ისეთი ცხოვრებით, რომელიც დღევანდელობით უნდა დაგვირგვინებულიყო. ასეთი პიროვნებები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენი ცხოვრება უფრო ცუდი იქნებოდა.

**გიორგი ქორქოლიანი:** მინდა ხაზი გავუსვა, რომ ლეოს ნიჭის, გაქანების, მასშტაბურობის გამოხივებას ქართულ კულტურაში უკვალოდ არ ჩაუვლია. ენციკლოპედიის თანამშრომლები დამეთანხმებიან, რომ არა ლეო, ქართული ენციკლოპედია გარკვეულწილად ნაკლებად ინტელიგენტური, ნაკლებად დახვეწილი და ნაკლებად საინტერესო იქნებოდა. შემთხვევა რომ არა, შეიძლება ლეოს ნიჭი დაფანტულიყო. ბედმა ლეოს კლასის მეგობრებთან დამაკავშირა და სწორედ მათთან გავიცანი. მე ის მაშინვე მივიწვიე ენციკლოპედიაში და ბატონი ირაკლიც დავითანხმე ამაზე. ენციკლოპედიის შემდეგ ბევრგან მიმუშავია, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ იშვიათად შეიკრიბება ხოლმე ისეთი გუნდი თანამშრომლებისა, როგორიც ენციკლოპედიაში იყო. ასეთი ენთუზიაზმით, ასეთი მონდომებით ისინი რომ მუშაობდნენ, მე სხვაგან არ მინახავს. ბატონ ლეოს ლომის წილი უდევს იმ შრომაში, რასაც დღეს ქართული ენციკლოპედია ჰქვია. ლეოსთან ვმეგობრობდი და მან მომიყვა სოლჟენიცინთან გადასახლებაში ყოფნის ერთი ამბავი. გარკვეულწილად ხელს უწყობდნენ მას, რომ შეემსუბუქებინათ გადასახლების სიმძიმე. ამარაგებდნენ დალის ლექსიკონით, რადგან სოლჟენიცინი გამუდმებით კითხულობდა დალს. სოლჟენიცინს ერთხელ უთქვამს ლეოსთვის, თუ რა ძნელია ლექსის წერა (ეტყობა მას არ გამოსდიოდა). ლეოს უპასუხია, ლექსის წერა კი არ არის ძნელი, ახალი რითმის მონახვაა ძნელიო. და ლეომ მონახა თურმე იმწამსვე გასაოცარი რითმა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი სოლჟენიცინმა თავის რომანში „კიბოიანთა კორპუსი“ ვიღაც ებრაელს მიაწერა.

ვფიქრობ, ბატონ ლეოს ნიჭიერების, თავდადების შესანიშნავი ძეგლია ენციკლოპედია, რომელსაც ის უანგაროდ ემსახურებოდა სიცოცხლის ბოლომდე.

**მაკა ჯოხაძე:** პირველი ჩემი შეხვედრა ბატონ ლეო ბოლქვაძესთან იყო როგორც მწერალთან. მყავს 8 წლის ბავშვი და ვეძებდი მისთვის ქართულ წიგნს და წიგნის მაღაზიის თაროზე ვხედავ ჩემთვის უცნობი ავტორის წიგნს. — „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი.“ წამოვიღე წიგნი, დავიწყე კითხვა და უცებ აღმოვაჩინე, რომ ჩვენს სინამდვილეში, ჩვენს გვერდით ცხოვრობს დიდი საბავშვო მწერალი, რომელმაც დაწერა არაჩვეულებრივი წიგნი. ეს პოლიტიკური პამფლეტია ჩვენს სინამდვილეზე, ის რაც ხდებოდა ჩვენს ცხოვრებაში. ეს წიგნი დაწერილია წიგნიერი კაცისა და ინტელექტუალის მიერ. ნაწარმოებიდან აშკარად ჩანს, რომ ავტორს მძიმე და რთული ცხოვრება აქვს გამოვლილი. აქ არის რაბლეს სარკაზმიც და არის გონკურების მანერაც, რბილი ხელწერით, იუმორით. ეს არის ფერადოვანი, უფაქიზესი და თანაც მკაცრი წიგნი ჩვენს ცხოვრებაზე. როცა ბატონი ლეო გავიცანი, ძალიან გაგვეხარდა ორივეს. მე მიხაროდა რომ გავიცანი იმ წიგნის ავტორი, რომელიც ძალიან მომწონს, მას კი უხაროდა, რომ გაიცნო ადამიანი, რომელმაც მის წიგნზე რეცენზია დაწერა.

**რევაზ ბარამიძე:** მისთვის ჩვეული იუმორით ბატონი ლეო მეგობრებსაც ორ კატეგორიად ჰყოფდა: მოხვლამდე და მოხვლის შემდეგ. მე დავუმეგობრდი მოხვლის შემდეგ. როცა გავიცანი, ის უკვე ცხოვრებაგამოვლილი, ნატანჯი კაცი იყო. იმდენად გამჭვირვალე ბუნებისა იყო და იმდენი სიფაქიზე იგრძნობოდა მის ბუნებაში, რომ მალე დავუახლოვდი და შეგვიყვარდა კიდეც ერთმანეთი. ეს იყო კაცი, რომელიც საზოგადოებას სჭირდება, როგორც ზნეობრივი შუქნიშანი, ზნეობრივი კომპასი, როცა შენ მოქმედებ, ფიქრობ და ისევ რაღაც თვალი გდევს თან, ზნეობის თვალი, დიდი თვალი, რომ არაფერი შეგეშალოს. ასეთი იყო ჩემთვის ლეო ბოლქვაძე. შესანიშნავი წიგნია „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“. მინდოდა მასზე საუბარი, მაგრამ ქალბატონმა მაკამ ისე ამომწურავად, მისთვის ჩვეული პოეტურობით ისაუბრა ამ წიგნზე, რომ უკვე ძნელია რაიმეს დამატება. მაგრამ მინდა მაინც ერთი რამ ვთქვა: ეს საბავშვო მოთხრობაა, მაგრამ ეს არის სოციალური ტილო, სადაც საოცრადაა გაანალიზებული მთელი ჩვენი ცხოვრება. მინდა მადლობა ვუთხრა იმ კაცს, რომელმაც გაამდიდრა და გაალამაზა ჩემი ცხოვრება.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ ენციკლოპედიის თანამშრომლები ირაკლი ყიფიანი, თინათინ აფაქიძე. ლია მდივანმა და ლეო ბოლქვაძის ქალიშვილმა მარიამმა წაიკითხეს ლეო ბოლქვაძის ლექსები, კონსერვატორიის სტუდენტმა ეკა შანშიაშვილმა შეასრულა კლასიკოსთა ნაწარმოებები.

# თანამედროვეობის არქივიდან



## პაპის კვალზე?

„მე ვიცხოვრე ისე, როგორც პაპაჩემმა, — განუცხადა რეპორტიორებს 35 წლის მარგო ჰემინგუეიმ, — ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ ის ალკოჰოლმა თვითმკვლელობამდე მიიყვანა, მე კი — არა“.

„ჰემინგუეის მოდგმის ადამიანმა ყველაფერი უნდა გამოსცადოს“-ო, დასძენს იგი. ამით თითქოს ამართლებს თავის განვლილ ცხოვრებას, სადაც ბრწყინვალე აღზევებაც იყო და სამარცხვინო დაცემაც: მარგო ჰემინგუეიმ ამერიკის უპირველესი ფოტომოდელის კარიერის სიტკბოებაც იგემა და ნარკომანიისა და ლოთობის გამანადგურებელი ძალაც გამოსცადა.

ალკოჰოლიზმისგან განკურნების შემდეგ ნობელიანტის შვილიშვილი ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა. ახლა მას, ფილმში იღებენ, ამასთანავე, წერს წიგნს.

ერნესტ ჰემინგუეის ერთხელ უთქვამს: „მე შემიძლია ვწერო მხოლოდ იმაზე, რაც მინახავს და განმიცდია“-ო. როგორც ჩანს, ამავე პრინციპს იცავს მარგო ჰემინგუეიც. მის მომავალ წიგნს ეწოდება „დაბრუნება ჯოჯოხეთიდან“.

## ერთ მშვენიერ დღეს...

ამას წინათ რსფსრ-ის მწერალთა VII ყრილობაზე ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენელმა ქამალ ხოდოვმა განაცხადა: „რუსეთის მწერალთა ორგანიზაცია უნდა იყოს ერთიანი და მრავალეროვნული. მინდა ჩვენი დელეგაციის სახელით მოგახსენოთ, რომ ჩვენი მთავრობა, ოსეთის ხალხი, ლიტერატურა და მწერალთა ორგანიზაცია ყოველთვის იყვნენ და იქნებიან რუსეთის მწერალთა ორგანიზაციასთან ერთობის მოსურნენი“.

ირკუტსკის წარმომადგენელმა ვალენტინ რასპუტინმა ხაზგასმით აღნიშნა: „სამშობლო საფრთხეშია. შეიძლება, ხვალ საკუთარ ლოგინებში გავიღვიძოთ, მაგრამ უკვე — არა რუსეთში. გარშემო ყველაფერი ისევე დარჩება, როგორც იყო, მაგრამ იგი, მშობლიურ სულსა და აზრს მოკლებული, სხვისი იქნება“.

ვ. რასპუტინი ჭკვიანი კაცია და კარგად იცის საიდან ემუქრება რუსეთს საშიშროება.

## შოლოხოვი კვლავ გვაეჭვებს

ევგენი ევტუშენკომ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოაქვეყნა მოგონებები სათაურით — „ფარიკაობა ნეზვის გროვასთან“. სხვადასხვა ამბავთა შორის იგი მიხაილ შოლოხოვთან შეხვედრასაც იხსენებს და მეტად არასიმპათიურად ახასიათებს საბჭოთა ლიტერატურის ამ კლასიკოსის პიროვნებას, თუმცა, არა მარტო პიროვნებას...

ევგენი ევტუშენკო წერს: „როცა „წყნარ დონს“ ხელმეორედ მიუბრუნდები, თვალში გეცემა ბოლშევიკთა ხელოვნური სახეები, თითქოს ისინი ანაწყობის ჩაბარებამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩააკერეს, ან ჩაწერეს ვიღაცის დავალებით, ან თვითშთაგონებით — საერთოდ რომანის გადასარჩენად, ან ეს სხვამ დაწერა და არა შოლოხოვმა. ანდა, იქნებ მთელი სამწუხარო ახსნა იმაშია, რომ შოლოხოვი ორი იყო: ერთი — უნიკალური მხატვარი, მეორე კი — პატარა კაცუნა? ან ეგებ, ერთხელაც, დაპატიმრების შიშით ჩაიდინა დანაშაული ზნეობის წინააღმდეგ, შეუერთდა ასეთი ტიპის მოწოდებებს — „მტერი თუ არ გნებდება, მოსპე“ — და შემდეგ სწრაფად დაიწყო დეგრადირება როგორც პიროვნებამ და პროფესიონალმა მწერალმა? შოლოხოვის პროფესიონალური დეგრადაცია ყველა მხატვრისათვის ჭკუის სასწავლებელი მაგალითია, თუ ხელოვნებაში უზნეობა რაოდენ ულმობლად გადადის დეპროფესიონალიზაციაში“.

საინტერესოა, როგორ აღიქვამენ რუსი ლიტერატორები ევტუშენკოს ამ თვალსაზრისს — როგორც მწერლის გულწრფელ სიტყვას თუ როგორც ანტისემიტიზმით გალიზიანებული ებრაელის ნათქვამს?

თუმცა რუსეთი ახლა ისეა აჯაგრული, უთუოდ მეორე ვარიანტი გამართლდება.

## ბურთი და კალამი

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა ნობელის პრემიის ლაურეატს გაბრიელ გარსია მარკესს უცნაური თხოვნით მიმართა. კერძოდ, მან მწერალს შესთავაზა დაწეროს ფილმის სცენარი საფეხბურთო თემაზე.

კისინჯერმა, რომელიც ცნობილია როგორც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი, თავისი თხოვნა მარკესისადმი ასე ახსნა: მინდა ასეთი ფილმი აშშ-ის ეკრანებზე 1994 წლამდე გამოვიდეს, ვიდრე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი დაიწყება. მარკესს შეუძლია დაწეროს კარგი სცენარი, ფილმი კი უეჭველად გაალვივებს ამერიკელთა ინტერესს ფეხბურთისადმი, რაც იმის საწინდარია, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე სტადიონები გაივსებაო.

პაატა ცერცვაძე





მანეკენები. გურამ წიბახაშვილის ფოტო.

# არ გათეთრდების ყორანი...

**შეშფოთებული პედაგოგის ღია წერილი მისი სტუდენტის, მსოფლიოს ჩემპიონის რუსუდან ხოფერიასადმი, ყველა სპორტსმენი თუ არასპორტსმენი ახალგაზრდისადმი**

ძვირფასო რუსუდან! შემაშფოთა შენმა ამასწინანდელმა ერთმა საგაზეთო განცხადებამ: იხსენებდი რა მოსკოველი სპორტული ოფიციოზის ოინებს, ახკვნიდი: „იციან, როგორც არ უნდა ცუდ ფორმაში ვიყო, მაღალი სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშს შევასრულებ და მათ „ფალავნებს" ცუდად წაუვათ საქმე, ამიტომ, ცდილობენ, თავიდანვე მოაგვარონ ყველაფერი, ზედმეტად არ აიტკიონ თავი და ნაკრებში არ შემიყვანონ". მერე იმასაც გვახსენებ, თუ საქართველოს სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელთა დიდი ბრძოლისა და ძალისხმევის შემდეგ, როგორ ჩაგრთეს 1988 წლის მსოფლიოს პირველობაზე მონაწილე ბატუტისტთა გუნდში, მოიპოვე ყველა მაღალი ჯილდო, აბსოლუტური პირველი ადგილი, ხოლო შენი მთავარი მეტოქე, რუს მწვრთნელთა რჩეული ხლანოვა პირველ ოცეულშიც კი ვერ მოხვდა.

აი, შემდეგ კი ისეთი რამ განაცხადე, გული შემიქანდა და განმაწყო ამ წერილის დასაწერად. „სულ ცოტა, — წერ შენ, — ხუთჯერ მაინც გადავწყვიტე ჩამოვცილებოდი სპორტს, მაგრამ სურვილი, კიდევ ერთხელ დამემტკიცებინა ჩემი სიძლიერე და მათი უპატიოსნება სპეციალისტებისა და ჩემი გულშემატკივრებისათვის, არ მაძლევდა სარბიელიდან წასვლის უფლებას, მაგრამ ახლა, მგონი ამევსო მოთმინების ფიალა და სერიოზულად ვაპირებ შევწყვიტო ჩემი სპორტული კარიერა".

განა არ მესმის, საშინელებაა, როდესაც 18 წლის გოგონა ისე შეაწუხა საბჭოთა სპორტული ცენტრის ბინძურმა ხრიკებმა, რომ სპორტული კარიერის სტარტზევე აპირებ გაეცალო სპორტს და არავითარი ურთიერთობა აღარ გქონდეს გულბოროტ ღრიანკალთა ამ ბუდესთან, მაგრამ, ჩემო გოგონა, ეს არაა გამოსავალი, პირიქით, შენ სწორედ ახლა სჭირდები საქართველოს. მოსკოვი და იქ მოკალათებული ოფიციოზი არასოდეს შეწყვეტს მხგავს შემოტევებს, და თუ ყველა სპორტსმენმა უკან დაიხია, დავღუპავთ ქართულ სპორტს, რომელიც უკვე გაბედულად ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში.

ჩემო რუსუდან, ამასთან დაკავშირებით შენ და შენმა ახალგაზრდა კოლეგებმა, ჩვენმა გულმხურვალე ახალგაზრდობამ მინდა მოისმინოს ერთი ეპიზოდი ქართული სპორტის ახლო წარსულიდან, რომელიც მოგვითხრობს იმაზე, თუ ცენტრის ყოვლად ბინძური ხრიკების მიუხედავად, ქართველ სპორტსმენთა ერთმა ჯგუფმა როგორ მიაღწია სიმართლესა და გამარჯვებას, არც სპორტული არენა დაუთმია და, როგორც იტყვიან, პროვოკატორ ოფიციოზს პირში ჩალა გამოავლო....

...1964 წლის შემოდგომა იყო. საქართველოს სპორტკომიტეტის (მაშინ იგი სპორტკავშირად იწოდებოდა) თავმჯდომარის გიორგი სიხარულიძის კაბინეტში ქართული სპორტის მესვეურთა მცირე ჯგუფს მოეყარა თავი.

ბატონმა გიორგიმ მისთვის ჩვეული სიდინჯით თვალი მოავლო დამსწრეთ, მერე მაგიდაზე დაგდებულ ფურცელზე გადაიტანა მზერა და თქვა:

— დეპეშაა მოსკოვიდან. როგორც იქნა დათანხმდნენ გადამწყვეტი მატჩი ქვეყნის პირველობაზე თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" შორის ტაშკენტში ჩატარდეს. მატჩი 18 ნოემბრისაა დანიშნული.

იქ დამსწრეთა შორის ბევრმა, ალბათ, არც კი იცოდა, რა ფასად დაუჯდა სპორტკავშირს და მის ხელმძღვანელობას ამ თანხმობის მიღება. მოსკოვმა უარყო ყველა ქალაქის კანდიდატურა, რომლებიც კი საქართველოს სპორტკავშირმა წარადგინა. ბოლოს, დიდი დავისა და დარაბის შემდეგ, საკავშირო სპორტკავშირთან სატელეფონო ლაპარაკი შედგა.

— ჩვენ, — მოისმა საკავშირო ხელმძღვანელობის რომელიღაც წარმომადგენლის ხმა, — გადავწყვიტეთ მატჩის ნეიტრალურ სტადიონად შეირჩეს ლენინგრადის „დინამოს" სტადიონი.

ბატონმა გიორგიმ ცოტა შეიცადა, მერე კი წყნარად უპასუხა:

— ჩვენ სხვა აზრი გაგვაჩნია. აქ მოვითათბირეთ ამხანაგებთან და გადავწყვიტეთ მატჩი „დინამოსა" და „ტორპედოს" შორის ჩატარდეს ქუთაისში.

— როგორ, — გაისმა გაოცებული მოსკოველის ხმა, — ქუთაისი როგორ იქნება ნეიტრალური ქალაქი, იგი ხომ საქართველოშია?!

— თქვე შავრაზმელებო, — იფეთქა ბატონმა გიორგიმ, — ლენინგრადი რა, რუსეთი არ არის?

მოსკოველმა მოსაუბრემ ყურმილი დაკიდა.

მაგრამ შემდეგ რაც მოხდა, შექსპირის რიჩარდ, მესამესაც შეშურდებოდა ხრიკების ეს კასკადი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მოსკოვმა აქაც ვერ გაიტანა თავისი.

მატჩი 18 ნოემბერს იყო დანიშნული. 12 ნოემბერს კი ისევ გაისმა ტელეფონის ზარის ხმა:

— გიორგი ვასილის ძევ, — ნაძალადევი მოკრძალებით დაიწყო ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის წარმომადგენელმა, — 14 ნოემბერს ერევანში დანიშნულია საწვრთნელი მატჩი „არარატსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრებს შორის. თქვენგან ნაკრებში ორი მოთამაშე — მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველია შეყვანილი. გთხოვთ, დღესვე გაგზავნოთ ისინი ერევანში!

ბატონი გიორგი სდუმდა.

— ალო, რატომ სდუმხართ, რაშია საქმე? — მოისმა ტელეფონში.

— ერთ კვირაში ორივე ფეხბურთელს გადამწყვეტი მატჩი აქვთ ტაშკენტში, ახლა მათი მონაწილეობა რაიმე შეჯიბრებაში არ მიმაჩნია მიზანშეწონილად! — თავშეკავებით განუცხადა თავმჯდომარემ.

— როგორ, განა თქვენი ინტერესების სფეროშიც არ შედის საკავშირო ნაკრების უკეთ მომზადება? — ხმას აუწია მოსკოველმა მოსაუბრემ.

და აქაც, საერთოდ თავშეკავებულმა ბატონმა გიორგიმ ველარ მოითმინა და პირში მიახალა მოსაუბრეს:

— საბჭოთა სპორტის პატრიოტო, თქვენ ის გიჯობთ, გვითხრათ, მესხისა და მეტრეველის დამტვრევა და მწყობრიდან გამოყვანა ერევნის „არარატის" რომელ ფეხბურთელს დაავალეთ?

— ?!.

— ჩვენ მესხი და მეტრეველი გინდაც გავუშვათ ერევანში, ისინი უვნებელნი დაგვიბრუნდებიან, ერევნელი ძმები არ გაგვიმეტებენ, მაგრამ, რა ვიცით, თქვენი ოინები რას არ გააკეთებინებს კაცს! ისე რომ, საკავშირო ნაკრებმა ამჯერად ამ ორი ფეხბურთელის გარეშე ითამაშოს, არაფერი გადააბრალა, არაობიექტურად მსაჯობდაო. თუმცა, ცნობილი საფეხბურთო მიმომხილველი ლ. ფილატოვი „სოვეტსკი სპორტში" წერდა: „უნდა ითქვას, რომ ეს უმაღლესი სირთულის მატჩი მსაჯმა რუბენისმა უნაკლოდ ჩაატარა". ამ პატიოსანზე პატიოსან არბიტრს ფეხბურთის სამყაროდან გუდა-ნაბადი აუკრეს და საერთოდ აუკრძალეს მსაჯობა.

მაგრამ ყველას და ყველაფერს გადააჭარბა „მოსკოვსკი კომსომოლეცმა", რომელმაც მეორე დღესვე, 19 ნოემბერს, დაბეჭდა ვინმე ვ. ემელიანოვის წერილი „ქართული ფეხბურთის „ოქროს დღე", რომლიდანაც ნიაღვარივით გადმოდის არა მარტო ავტორის, არამედ იმ ხანად ყველა დაბოლმილი შოვინისტის სიმყრალით სავსე ბალღამი. „პერსპექტივაში უდავოა სადღეგრძელოები, გემრიელი მწვადები და გამარჯვების ცეკვა-თამაში", — მოლოცვის მაგიერ ქართულ ტრადიციებს გვიგინებდა და დაგვცინოდა ეს ნაძირალა. „1964 წელს ჩემპიონი გახდა კოლექტივი, რომელმაც უფრო ძლიერად ითამაშა ერთ მატჩში — 18 ნოემბერს. ამ შემთხვევაში ერთი მატჩის შედეგმა „გადაწონა" წინა 32 შეხვედრაში გამოვლენილი ძალა კოლექტივისა" — აგრძელებდა ბალღამის ნთხევას ტენდენციურობითა და ქართველთა ზიზღით თვალდაბნელებული ავტორი: არადა, იმ სეზონში „დინამომ" ყველა რგოლში დაჯაბნა „ტორპედო": პირველ წრეში მასთან ფრე (1:1) ითამაშა, მეორეში — მოუგო ანგარიშით 3:1, გადამწყვეტ მატჩში კი, როგორც იცით, სძლია 4:1-ზე. საერთო ანგარიში გახდა 8:3 „დინამოს" სასარგებლოდ. მაშინ ამ ვაჟბატონმა და მისი იდეებით გაჟღენთილმა რედაქციამ საკადრისი პასუხი მიიღო შედარებით პროგრესული გაზეთის „ფუტბოლისაგან".

ეს ყველაფერი, ჩემო კარგო რუსუდან, ჩემო ძვირფასო ახალგაზრდებო, იყო ნაგვიანევი მოთქმატირილი იმის გამო, რომ ქართული ფეხბურთის მიმართ ველარ გაიმეორეს 1953 წლის აუწერლად მკრეხელური აქცია, რის გამოც დაშავდება. საერთოდ კი, გაგახსენებთ: ეს მოთამაშეები მაშინ რატომ დაგვაიწყდათ, როდესაც ფეხბურთის ახი წლისთავთან დაკავშირებით ინგლისში შედგა მატჩი ინგლისის ნაკრებსა და მსოფლიოს ნაკრებს შორის. მაშინ ხომ ინგლისმა პერსონალური მოწვევა გამოუგზავნა მიხეილ მესხს, ეს მოწვევა კი საიმედოდ გადამალეთ!

— იცით, რა გითხრათ, — აენთო მოსკოველი, — ჩვენ იძულებული ვიქნებით თქვენი რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მივმართოთ!

— თქვენი ნებაა, მაგრამ საქმის კურსში გაყენებთ, რომ ცენტრალური კომიტეტის შენობა ჩვენგან ას ნაბიჯზეა და ვიდრე თქვენ დარეკავდეთ, ცეკას მდივანს უკვე ეცოდინება თქვენი ოინბაზობის შესახებ! — უპასუხა ბატონმა გიორგიმ და ყურმილი დაუკიდა აბეზარ მოსაუბრეს.

ერთი სიტყვით, მოვიდა სეტყვა და დასვდა ქვაო. საკავშირო სპორტკავშირს (და იქნებ უფრო ზემდგომ ორგანოებსაც, ვინ იცის!) კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მატჩი თბილისის „დინამოს" მთლიანი შემადგენლობით შედგა ტაშკენტში და, როგორც იცით, თბილისელთა აშკარა უპირატესობით (4:1) დამთავრდა.

ახლა უკვე, მოსკოვმა ყველაფერი მსაჯს, ბალტიისპირელ რუბენისს თბილისის „დინამოს" ხელიდან წაგლიჯეს თითქმის უკვე მოპოვებული პირველი ადგილი. გახსოვთ, კიდევ ერთხელ მოთმინებით, მომაპყროთ ყური და მოგიყვებით ერთი პატარა ნაწყვეტი ჩემი ადრე გამოქვეყნებული ერთი წერილიდან: 1953 წელს მოსკოვმა გააპროტესტა თბილისის „დინამოს" მიერ ყველა წესის დაცვით მოგებული თამაში იმავე მოსკოვის „ტორპედოსთან"; პროტესტი, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ მიიღო ფეხბურთის ფედერაციამ და დანიშნა განმეორებითი მატჩი. მატჩის წინ მსაჯმა ლატიშევმა გააფრთხილა დინამოელები, თქვენი წაგება უკვე მკაცრადაა დაპროგრამებული „ზემოდან" და ნულარ იფაფხურებთო. „დაიწყო გაპროტესტებული მატჩი და დასეთ უბედურებას: თბილისელებმა ბურთი გაიტანეს. აი, მაშინ მოხდა, რაც მოხდა. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, მსაჯმა სრულიად უმიზეზოდ მინდვრიდან გააძევა მახარაძე, ცოტა ხანში კი თოდრიაც ზედ მიაყოლა. არ გასულა ხუთი წუთი და ახლა გაგნიძეს ამოუგდეს მხარი, ტკივილით სახემოღრეცილი ფეხბურთელი საკაცით წაიყვანეს გასახდელში. მაყურებელმა კი თანაგრძნობის ნაცვლად, სტვენითა და ყვირილით („შავტუხავ, სტალინი და ბერია აღარა გყავთ, გეტირათ ყოფა!") გააცილეს. მისმა უხეშმა მეტოქემ კი ისე გააგრძელა თამაში, მსაჯს მისთვის სიტყვიერი შენიშვნაც არ მიუცია. მინდორზე ფაქტიურად რვა თბილისელი დარჩა, რომელთაგანაც რამდენიმე აშკარად კოჭლობდა. მაგრამ მინდორს ვერ ტოვებდნენ თამაშის თვითნებურად შეწყვეტის სანქციის შიშით. ამ წაგებით (1:4) „ტორპედომ" და ცენტრმა გზა გაუხსნეს და პირველ ადგილზე გაიყვანეს მოსკოვის „სპარტაკი". მე დანარჩენი კომენტარებისაგან თავს შევიკავებ, თუნდაც იმის გამო, რომ მაშინ ყველაზე მოხდენილი კომენტარი გააკეთა ერთმა ინგლისურმა გაზეთმა, რომლის ეს ინფორმაციაც მთელმა მსოფლიომ გადაბეჭდა. წერილს მიცემული ჰქონდა სათაური „ასი მილიონი თერთმეტის წინააღმდეგ" და ამით ყველაფერი თქვეს.

დიახ, 1964-ში ველარ გაიმეორეს 1953! უფრო ზუსტად, მათ არ მისცეს ამისი საშუალება, თორემ კადრებით, იცოცხლეთ, ყველაფერს იკადრებდნენ. ხომ გაგიგონიათ — „არ გათეთრდების ყორანიო"...

ეს ორიოდ ეპიზოდი, ჩემო რუსუდან, იმიტომ მოვიტანე, რომ დაგარწმუნო: ქართველი სპორტსმენები გამუდმებით განიცდიდნენ „ზემოდან" შევიწროვებას, დისკრიმინაციას და, თუ გნებავთ, — დაცინვასაც, მაგრამ, სადაც ჯიქურ დავუდექით, თავისი არ გავატანინეთ. შენ და შენს კოლეგებს წინ გიდევთ დიდი სპორტული გზა, და ვიდრე ჯერჯერობით ვიღებთ მონაწილეობას საკავშირო თუ საერთაშორისო ღონისძიებებში, ნუ დაეჩაგვრინებით ავის მსურველთ, მიბაძეთ ჩვენს წინაპრებს სულის სიძლიერეში, და, რაც მთავარია, ღღენიადაგ გახსოვდეთ: თქვენ სჭირდებით საქართველოს, თქვენი გამარჯვებების კიჟინა ერთ დიდ ექოდ შეუერთდება იმ ძახილს, რომელიც ახლა ერის გულიდან მოისმის!

მინდა ვიწამო, რომ უკან არ დაიხევთ!

თქვენი **ავთანდილ ციბაძე**

საქართველოს მწერალთა კავშირი და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაუგრძნობენ პოეტ ვაჟა ეგრისელს (დოლბაიას) ძმის

**ავთანდილ დოლბაიას**

გარდაცვალების გამო.


მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ შილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი





რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-54-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-87-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-08-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალებს ავტორებს არ უბრუნდებით.



ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO"
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA

გამოდის პარასკევობით



ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. 14.